კულტურული მემკვიდრეობის მეგლებისა და ისტორიული ქალაქების დაცვა



კულტურული მემკვიდრეობის მეგლებისა და ისტორიული ქალაქების დაცვა

შესავალი კურსი საბაზო და საშუალო კლასის მოსწავლეთათვის

დამხმარე სახელმძღვანელო
პედაგოგებისთვის საქართველოში

თბილისი 2014

ქართული გამოცემისათვის ორიგინალის ტექსტი გადაამუშავეს
და საილუსტრაციო მასალა მოამზადეს:

მანანა თევზაძემ | ციცინო ჩაჩხუნაშვილმა | ნატო ცინცაბაძემ

რედაქტორი:

თეა ქარჩავა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

თარგმანის ავტორი:

კონსტანტინე გეწაძე

გარეკანის დიზაინი:

მარინა ბალავაძე

ტექსტის კორექტორი:

ნინო გურასპაული

დაკაბადონება და დიზაინი:

თამაზ ჩხაიძე

გარეკანზე: თბილისი, ქვემო კალა, ეთერ მახათელაშვილის ჩანახატი

სახელმძღვანელოს მომზადება და გამოცემა დაფინანსებულია ევროკავშირისა
და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ.

პუბლიკაცია განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.
მის შინაარსზე პასუხისმგებელია ICOMOS საქართველო. წინამდებარე
წიგნში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირის პოზიციას.

© UNESCO-ICCROM 2003, 2006
© ICOMOS საქართველო, 2014

ბეთლემის აღმართი 16ბ, 0105, თბილისი
www.icomos.org.ge | info@icomos.org.ge
ტელ: +995 322 984527

ყველა უფლება დაცულია

ISBN: 978-9941-0-6612-2

2003 წელს იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სამმართველოს (პარიზი) და იუნესკოს ამანის ოფისის მიერ ინგლისურ და არაბულ ენებზე გამოიცა წიგნი სახელწოდებით – „გავაცნოთ ახალგაზრდებს მემკვიდრეობის ძეგლების მართვა და დაცვა: პრაქტიკული სახელმძღვანელო არაბეთის რეგიონის საშუალო სკოლის მასწავლებლებისთვის“ (**Introducing young people to heritage site management and protection: a practical manual for secondary school teachers in the Arab Region).**

2006 წელს იკრომმა მეორედ გამოსცა სახელმძღვანელო. 2014 წელს ICOMOS საქართველოს მიერ მომზადდა მეორე გამოცემის ქართული ვერსია – „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ისტორიული ქალაქების დაცვა: შესავალი კურსი საბაზო და საშუალო კლასის მოსწავლეთათვის“. პუბლიკაცია განხორციელდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამით დაფინანსებული პროექტის – „რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის“ – ფარგლებში. პროექტის კოორდინატორი – ნატო ცინცაბაძე. ICOMOS საქართველო პასუხისმგებელია ქართული გამოცემის სამეცნიერო ხარისხზე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 7

როგორ გამოვიყენოთ სახელმძღვანელო 10

თავი 1 13
კულტურული მემკვიდრეობის რაობა

თავი 2 27
ღირსშესანიშნავი ადგილის აღქმა

თავი 3 57
კულტურული მემკვიდრეობის საფრთხეები და დაზიანების მიზეზები

თავი 4 71
კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მართვა

თავი 5 83
სოციალურ-ეკონომიკური და ტურისტული განვითარება

თავი 6 95
ინფორმირებულობა და პოპულარიზაცია

თავი 7 107
მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა

სწავლება კონკრეტული მაგალითით – მცხეთა 121

ბიბლიოგრაფია 145

კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები 148

ტერმინების ლექსიკონი 151

შემოკლებები 153

საილუსტრაციო მასალა 154

მადლობები 155

შესავალი

კულტურული მემკვიდრეობის დაცვას მუდამ დიდი ყურადღება ექცეოდა ჩვენს ქვეყანაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მემკვიდრეობაზე ზრუნვის ყველაზე წარმატებული გზა ახალგაზრდა თაობებისათვის სიძველეების პატივისცემის გაღვივება და მათი დაცვის მექანიზმების სწავლებაა.

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს პირველ მცდელობას, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო გეგმებში შეტანილ იქნეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მართვისადმი მიძღვნილი თემატიკა და აქტივობები, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს აღნიშნული საკითხის ასახვას ეროვნული სასწავლო გეგმის მომავალ რედაქციაში, საკუთრივ საზოგადოებრივი მეცნიერებების კუთხით.

წარმოდგენილი პუბლიკაცია არის 2003 და 2006 წლებში UNESCO-ს (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) და ICCROM-ის (კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და რესტავრაციის კვლევის საერთაშორისო ცენტრი) მიერ შემუშავებული გამოცემების (Introducing Young People to the Protection of Heritage Sites and Historic Cities a pactical guide for school theachers in the Arab region) ქართული ვერსია, რომელშიც შენარჩუნებულია ორიგინალის შინაარსის ძირითადი მახასიათებლები და მოცულობა. ჩვენი ქვეყნის სინამდვილიდან გამომდინარე, ქართულ გამოცემაში შეცვლილია დედანში მოყვანილი მაგალითები.

დამხმარე სახელმძღვანელოს მომზადება შესაძლებელი გახდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის მხარდაჭერით ICOMOS საქართველოს (ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტი) მიერ განხორციელებული პროექტის „რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის“ ფარგლებში.

პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი (*ფართო საზოგადოების გათვითცნობიერება*) გულისხმობდა სემინარების ჩატარებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე. საპილოტედ შეირჩა ქ. მცხეთა, სადაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისათვის (ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის თანამშრომლები, ძეგლის მესაკუთრეები და მფლობელები, სკოლის პედაგოგები, მუზეუმის თანამშრომლები და მცხეთის საშუალო სკოლის უფროსკლასელები) ჩატარდა შეხვედრა-სემინარები შემდეგ თემებზე: 1. „კულტურული მემკვიდრეობა – წარსულის შენარჩუნება მომავლისათვის“ (კულტურული მემკვიდრეობის ტიპები, ღირებულებები, მის წინაშე არსებული საფრთხეები და დაცვის ძირითადი პრინციპები). 2. „მცხეთა, როგორც კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლი, მისი ღირებულებები და განვითარების სამომავლო შესაძლებლობები.“ სემინარები უფ-

როსკლასელთათვის (მე-7-9 და მე-10-12 კლასელები) ჩატარდა ქ. მცხეთის სამივე საშუალო სკოლაში. სასემინარო მასალა (მიწოდებული ინფორმაცია, გამოყენებული სავარჯიშოები, ფოტო-მასალა) მომზადდა წინამდებარე სახელმძღვანელოზე დაყრდნობით და შესაბამისად, წიგნის ერთგვარ პილოტირებადაც შეიძლება ჩაითვალოს. მოსწავლეებმა მოისმინეს ლექციები აღნიშნულ თემებზე და შეასრულეს ინტერაქტიული სავარჯიშოები. სემინარებმა დიდი დაინტერესება გამოიწვია როგორც მოსწავლეების, ისე პედაგოგებისა და სკოლის მესვეურების მხრიდან.

სახელმძღვანელოს გამოცემას აგრეთვე წინ უძღოდა არაერთი განხილვა პედაგოგებისა და განათლების სპეციალისტების მონაწილეობით. მცხეთის სემინარების პარალელურად 2013 წლის ოქტომბერში მოხდა სახელმძღვანელოს ქართული ვერსიის შექმნის იდეის გაცნობა განათლების პედაგოგებისა და დიდი მცხეთის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლებისათვის. 2013 წლის ნოემბერში სახელმძღვანელოს პროექტის წარდგენა მოხდა ორდღიანი სამუშაო შეხვედრის „როგორ ვასწავლოთ საერთო, საზიარო წარსული მულტიეთნიკურ საზოგადოებებში“ ფარგლებში ქ. ახალქალაქისა და ქ. ახალციხის სკოლის ისტორიის პედაგოგთათვის.

პუბლიკაციის მომზადების პროცესში მოეწყო განხილვა, რომელშიც მონაწილეობდნენ ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციის წევრი პედაგოგები და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ეროვნული სასწავლო გეგმების სამმართველოს წარმომადგენლები. 2014 წლის მარტში ჩატარებული ერთ-ერთი ბოლო განხილვა მიზნად ისახავდა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მოღვაწე სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დარგის სპეციალისტებისთვის წიგნის სამუშაო ვერსიის წარდგენას. განხილვის შედეგად პუბლიკაციას დაემატა ინფორმაცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისა და მისი დაცვის შესახებ, რამაც მეტი მრავალფეროვნება შესძინა სახელმძღვანელოს. წიგნის ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის პროექტის ვებ-გვერდზე www.rcchd.icomos.org.ge, ასევე – პედაგოგთა ინტერნეტ-გაზეთის www.mastsavlebeli.ge და ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციის www.imsa.ge გვერდზე. ხოლო ბეჭდური ვერსია დაურიგდება საქართველოს ყველა საჯარო სკოლას.

მიზნები

სახელმძღვანელოს მიზანია:

- წაახალისოს სკოლების მონაწილეობა და ჩართვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში;
- ჩართოს სკოლები დაცვით და საგანმანათლებლო პროგრამებში;
- კავშირები დაამყაროს მასწავლებლებსა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციასა და მართვაზე პასუხისმგებელ პროფესიონალთა შორის;
- გაზარდოს თანამშრომლობის მაჩვენებელი სკოლებსა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვაზე პასუხისმგებელ პირებს შორის;

- ხელი შეუწყოს გრძელვადიანი თანამშრომლობის მოდელის ჩამოყალიბებას სკოლებსა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე პასუხისმგებელ ორგანიზაციებს შორის.

წიგნი შემუშავდა როგორც პედაგოგთა დამხმარე სახელმძღვანელო. მასწავლებლებს, საჭიროებისამებრ, შეუძლიათ მისი მისადაგება მოსწავლეთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისათვის. ეს არის ამ ტიპის პირველი სახელმძღვანელო, რომლის ფოკუსია კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების დაცვა. იმედს გამოვთქვამთ, რომ სამომავლო პროგრამები, ორიენტირებული მოძრავი, სამუზეუმო ექსპონატების არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების დაცვაზე, შესაძლებელს გახდის მეტი სასწავლო მასალის აკუმულირებას და დაეხმარება პედაგოგებს, უფრო ფართოდ წარმოაჩინონ მემკვიდრეობის დაცვის თემატიკა გაკვეთილებზე.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელმძღვანელოს მიზანს არ წარმოადგენს მზა რეცეპტების მიწოდება. უმეტესად, ეს არის ერთგვარი გზამკვლევი, რომელიც გვთავაზობს გარკვეულ რჩევებს, თუ როგორ შევუწყოთ ხელი ახალგაზრდების მიერ საკუთარი ისტორიული გარემოს უკეთესად აღქმას/შემეცნებას და მათ ჩართვას მასზე ზრუნვის პროცესში.

სახელმძღვანელოს ბოლო თავი – *სწავლება კონკრეტული მაგალითით* ეძღვნება ქ. მცხეთას. პედაგოგებს თავისუფლად შეუძლიათ, აღნიშნულ თავში მოცემული სავარჯიშოები მოარგონ სხვა ისტორიულ ქალაქებსა თუ ძეგლებს. კონკრეტული სავარჯიშოები და ველზე შესასრულებელი სამუშაოები უნდა მიესადაგოს პედაგოგების მიერ შერჩეულ ადგილობრივ ძეგლს.

ძეგლთა დაცვისა და გაფრთხილების გარდა, მოსწავლეებმა თავისი წვლილი უნდა შეიტანონ ადგილობრივი ძეგლის პოპულარიზაციაში და ამდენად, ხელი შეუწყონ თავისი კუთხის ეკონომიკურ განვითარებასა და აღორძინებას. ამა თუ იმ ძეგლის თავისებურებებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს შეუძლიათ აირჩიონ კონკრეტული ძეგლის დაცვისა და პოპულარიზაციის ისეთი გზები და საშუალებები, როგორიც მცხეთის მაგალითში არ ყოფილა გამოყენებული და სპეფიციკური და ეფექტურია მათ ძეგლთან მიმართებაში.

სახელმძღვანელოში შემოთავაზებული პრაქტიკული სავარჯიშოები წარმოადგენს მხოლოდ რამდენიმე მაგალითს იმისათვის, თუ როგორ უნდა იქნეს მიღწეული წიგნის ყოველ კონკრეტულ თავში დასახული მიზანი. ამდენად, პედაგოგი თავისუფალია თავის არჩევანში, გამოიყენოს ისეთი მეთოდები და აქტივობები, როგორიც მიესადაგება კონკრეტულად შერჩეულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. წიგნის არსს წარმოადგენს, ერთი მხრივ, პედაგოგს შესთავაზოს მეტი მოქნილობისა და ვარიირების შესაძლებლობა, მაგრამ ამავდროულად უზუნველყოფილ იქნეს, კლასისთვის საბაზისო და აუცილებელი ცოდნის/ინფორმაციის მიწოდება. პედაგოგს თავისი საქმიანობის პროცესში მოუწევს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა მომზადების დონე და მოცემული ძეგლის თავისებურებანი, მათ შორის ძეგლის მართვის ფორმაც. ამ მიზნით, თითოეულ თავს ახლავს ინსტრუქციები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს პედაგოგმა თავის საქმიანობაში.

როგორ გამოვიყენოთ სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი დაყოფილია კონკრეტული თემებისადმი მიძღვნილ თავებად და წარმოგვიდგენს მათთან დაკავშირებულ სამუშაოებსა და სავარჯიშოებს, მეორე ნაწილში მოცემულია აღნიშნული თემების პრაქტიკული გამოყენების მაგალითები მცხეთის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან მიმართებაში. სახელმძღვანელო შედგება შვიდი თავისგან:

- თავი 1: კულტურული მემკვიდრეობის რაობა
- თავი 2: ღირსშესანიშნავი ადგილის აღქმა
- თავი 3: კულტურული მემკვიდრეობის საფრთხეები და დაზიანების მიზეზები
- თავი 4: კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მართვა
- თავი 5: სოციალურ-ეკონომიკური და ტურისტული განვითარება
- თავი 6: ინფორმირებულობა და პოპულარიზაცია
- თავი 7: მსოფლიო მემკვიდრეობა

ყოველი თავი იყოფა შემდეგ ქვეთავებად:

- ინსტრუქციები მასწავლებლებისთვის
- საბაზისო ინფორმაცია და ტერმინები
- სავარჯიშოები

თავი, რომელიც ეხება მცხეთას, შეიცავს სამუშაო ფურცლებს, რომელთა გამოყენება და მისადაგება შესაძლებელია მასწავლებლის მიერ შერჩეული სხვა ძეგლისთვის მისი თავისებურების გათვალისწინებით.

1. ინსტრუქციები მასწავლებლებისათვის

ამ ნაწილში პედაგოგები ეცნობიან, როგორ უნდა მოემზადონ თითოეულ თავში მოცემული სამუშაოსა და პრაქტიკული სავარჯიშოებისათვის (მაგ.: შეხვედრის ორგანიზება ძეგლის მენეჯერებთან ან ძეგლზე პასუხისმგებელ ადგილობრივ პირთან, რუკების შეძენა/მოძიება და დოკუმენტური საინფორმაციო მასალის მომზადება). ყოველივე ეს დაეხმარება მასწავლებელს ძეგლზე ვიზიტისათვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტაში.

2. საბაზისო ინფორმაცია და ტერმინები

ამ ქვეთავში მოცემულია საბაზისო ინფორმაცია სავარჯიშოებისა და პრაქტიკული სამუშაოებისათვის. აქვეა მიმოხილული თემასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები. თითოეულ თავში განხილული საკითხის სრულფასოვნად გასაგებად და სავარჯიშოებში მოცემული ტერმინების განმარტებისთვის, ქვეთავი მოიცავს ტერმინების მოკლე ლექსიკონს.

3. სავარჯიშოები

ეს ქვეთავი მიზნად ისახავს, შემოწმდეს, თუ როგორ აითვისა მოსწავ-

ლემ თითოეულ თავში განხილული საკითხის ძირითადი არსი. ამ ქვეთავში მოცემული სამუშაო ფურცლები, რომლებიც უნდა გამრავლდეს და დაურიგდეს მოსწავლეებს, თავს უყრის და ახარისხებს მოსწავლეთა მიერ არჩეულ ძეგლზე შეგროვებულ ფაქტობრივ მასალას.

წიგნის მეორე ნაწილში მოცემულია მცხეთის წმინდა ჯვრის მონასტრის შესახებ შემუშავებული სამუშაო და საინფორმაციო ფურცლები.

განხილული თემებისა და სავარჯიშოების თანმიმდევრობა იდენტურია წიგნის ორივე ნაწილში. იმედს გამოვთქვამთ, რომ სახელმძღვანელოს როგორც პირველ, ასევე მეორე, მცხეთასთან დაკავშირებულ თავში შემოთავაზებული სავარჯიშოები შთააგონებს პედაგოგებს, შეიმუშაონ მსგავსი პროექტები მათ მიერ შერჩეული ძეგლებისათვის.

სწავლების პროცესში სავალდებულო არ არის სავარჯიშოების მოცემული თანმიმდევრობის დაცვა; პედაგოგი თავისუფალია თავის არჩევანში და შეუძლია, თავად შეარჩიოს ის სავარჯიშო, რომელიც უკეთ მიესადაგება მის მიერ შერჩეული ძეგლის თავისებურებებსა და მოსწავლეთა ცოდნის დონეს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოს თითოეულ თავს თავისი კონკრეტული მიზნები აქვს, სრული კურსის გავლის შედეგად მოსწავლეებმა უნდა შეძლონ:

- ისტორიულ და ბუნებრივ გარემოს შორის არსებული კავშირების გაცნობიერება და მათი მომავალი თაობებისა და კაცობრიობისთვის შენარჩუნების აუცილებლობის დანახვა;
- შერჩეული ძეგლის ისტორიული, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ფასეულობების აღწერა და დახასიათება;
- იმ საფრთხეების ამოცნობა, რაც აზიანებს კულტურულ მემკვიდრეობას;
- არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სპეციფიკის გაანალიზება და მისი შენარჩუნების მნიშვნელობის გაცნობიერება;
- ძეგლის კონსერვაციისა და სწორი მართვის არსებული საშუალებებისა და მექანიზმების გაგება და ტურიზმით მიღებული სარგებლისა და შესაძლო საფრთხეების ამოცნობის უნარის გამომუშავება;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მართვასთან და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ჯგუფებისა და დაინტერესებული მხარეების გამოვლენა;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვასთან მიმართებაში მათი პირადი პასუხისმგებლობისა და საკუთარი წვლილის შეტანის საჭიროების გაცნობიერება.

პედაგოგი ყოველმხრივ უნდა შეეცადოს მოსწავლეთა სამუშაო პროცესში ჩართვას კურსის ყველა მოცემულ საფეხურზე. მაგალითად, თავად ძეგლის შერჩევა უნდა მოხდეს მასწავლებლისა და მოსწავლის ერთობლივი განხილვის შედეგად. შესაძლოა, შემუშავდეს კრიტერიუმები, რომლითაც აირჩევა სკოლასთან ახლოს მდებარე

ღირსშესანიშნავი ადგილები ან ძეგლები შესაძლებელია შეირჩეს კლასში გამართული კენჭისყრის გზით. მასწავლებელმა, რა თქმა უნდა, უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს საჭირო ინფორმაცია შესარჩევი ძეგლების შესახებ. მეტად მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა იგრძნონ, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მათი მონაწილეობით იქნა მიღებული. შესაძლოა ერთდროულად ორი ძეგლის შერჩევა და სასწავლო სემესტრის სათანადო პერიოდებად დაყოფაც. თუმცა, მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რა დროა გამოყოფილი სასწავლო პროექტის დასრულებისა და დასახული მიზნის მისაღწევად.

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისთვის გამიზნული სახელმძღვანელო პრინციპები და რეკომენდაციები. სანამ არ არსებობს მემკვიდრეობის დაცვის ცალკე საგანი, მისი გამოყენება შეუძლია ხელოვნების, ისტორიისა და/ან სამოქალაქო განათლების პედაგოგს. წიგნი იმგვარად არის დაწერილი, რომ პედაგოგს მიანიჭოს მეტი მოქნილობის უნარი და მოცემული ინსტრუქციები გამოიყენოს ახალი იდეების განსახორციელებლად. მასწავლებელს ასევე შეუძლია, მიზანშეწონილად ჩათვალოს გაკვეთილების კოორდინაცია იმავე სკოლის სხვა საგნების პედაგოგებთან, რათა შესაძლებელი გახდეს ჩასატარებელი სამუშაოების დაკავშირება ისეთ საგნებთან, როგორიცაა: ხელოვნება, ქიმია, გეოგრაფია, ისტორია და სხვა. ასეთი მიდგომის საშუალებით გამოაშკარავდება კულტურული მემკვიდრეობის ინტერდისციპლინარული ბუნება და სამომავლოდ გაიზრდება მოსწავლეთა მოტივაცია.

თავი 1

კულტურული მემკვიდრეობის რაობა

გაკვეთილის მიზანი

ამ თავის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს:

- კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ფასეულობებისა და მნიშვნელობის დადგენას;
- მემკვიდრეობის არსში წვდომას და წარსულში დაცული ინფორმაციის გადაცემას მომავალი თაობებისათვის.

1. მცხეთა, ხედი მცხეთის წმინდა ჯვრის მონასტრიდან. 1991 წლის ფოტო.

ინსტრუქციები მასწავლებლებისთვის

წინამდებარე თავში განხილულია კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა, ღირებულება, თუ რა ცოდნისა და მეხსიერების შემცველია იგი. ძალზე მნიშვნელოვანია, მოსწავლემ გაიაზროს, რომ ყოველი ცალკე აღებული ძეგლის ღირებულება არ არის თავისთავად აბსოლუტური კატეგორია, არამედ ინდივიდუალური აღქმისა თუ ისტორიული და სოციალურ-პოლიტიკური პროცესების შედეგადაა მიღებული. დაიწყეთ მოსწავლეთა ოჯახის კუთვნილი სახლის ან ნივთების ანალიზით, გამოავლინეთ მათი დამოკიდებულება ამ საგნების მიმართ, შემდეგ გააფართოეთ მსჯელობის არეალი და გადადით მათ საცხოვრებელ უბანსა და ქალაქზე, გაარკვიეთ, მემკვიდრეობის რომელი ძეგლი იმსახურებს მოსწავლეთა განსაკუთრებულ ყურადღებას და იმსჯელეთ მათი ამგვარი ინტერესის მიზეზებზე.

2. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სიმონ ჯანაშიაის სახელობის საქართველოს მუზეუმი, მთავარი ფასადი.

3. საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოფენა

4. განედლებული ჯვარი, ალავერდის ოთხთავი, 1054 წ.

5. კოლხეთის ეროვნული პარკი.

საბაზისო ინფორმაცია

ა) რა არის მემკვიდრეობა?

თუ ლექსიკონში ჩაიხედავთ, აღმოაჩენთ, რომ ზოგადად, მემკვიდრეობა არის ის, რაც მემკვიდრეობით გვერგო. ეს სიტყვა გამოხატავს კავშირს წარსულსა და მომავალს შორის. მემკვიდრეობად ითვლება ჩვენი წინაპრების დანატოვარი, რომელიც ჩვენ უნდა გადავცეთ მომავალ თაობებს.

კულტურული მემკვიდრეობა არის ადამიანის არსებობის და მისი სამყაროსადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების გამოხატულება შორეულ თუ უახლოეს წარსულსა და აწმყოში. ის მოგვითხრობს ქვეყნისა და მისი ხალხის ტრადიციების, რწმენა-წარმოდგენებისა და მიღწევების შესახებ.

არსებობს კულტურული მემკვიდრეობის ორი სახეობა: მატერიალური და არამატერიალური. პირველი გულისხმობს ფიზიკურად აღქმად, ხელშესახებ მემკვიდრეობას, როგორიცაა: ნაგებობა, ქანდაკება, მხატვრობის ნიმუში, ხელნაწერი წიგნი და სხვა.

6. ნიკო ფიროსმანაშვილი, მჯდომარე ლომი, ხელოვნების მუზეუმი.

7. ნაქარგობის კოლექცია მიტრა მიტროფანე მღვდელმთავრისა XVI-XVII სს-ის მიჯნა, ხელოვნების მუზეუმი.

8. ჭვირული თავსამკაული ვანიდან, სამარხი 24 ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევარი, საქართველოს მუზეუმი არქეოლოგიის ფონდი.

9. პეპელა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბუნების ისტორიის კოლექცია.

10. იაკობ გოგებაშვილის დედა ენა.

ხოლო მეორე სახეობას, არამატერიალურ მემკვიდრეობას, მიეკუთვნება, მაგალითად, ზეპირსიტყვიერი ტრადიციები, ხალხური მუსიკა და ცეკვები, სანახაობები, ენა, როგორც გამოხატვის საშუალება, ტრადიციული ცოდნა, წეს-ჩვეულებები, რელიგიური ცერემონიები, ტრადიციული წარმოდგენები, რიტუალები, ხელოსნობის ტრადიციები და სხვა, რომლებიც მისი მატარებელი თემისა თუ პირთა ჯგუფის მიერ აღიარებულია საკუთარ კულტურულ მემკვიდრეობად.

მატერიალური მემკვიდრეობა, თავის მხრივ, შედგება მოძრავი (რომლის გადაადგილებაც შეიძლება ერთი ადგილიდან მეორეზე. მაგ.: საგნები) და უძრავი მემკვიდრეობის ნიმუშებისაგან (რომლის გადაადგილებაც შეუძლებელია თავისი საწყისი ადგილიდან. მაგ.: შენობა-ნაგებობები). მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობა ერთი მთლიანი კულტურული ფენომენია. კულტურული მემკვიდრეობა თავისი მატერიალური თუ არამატერიალური კომპონენტებით უნდა დაუკავშირდეს იმ საზოგადოების კულტურულ ღირებულებებს, რომელმაც შექმნა ის.

კულტურული მემკვიდრეობის ცნებამ ბოლო ათწლეულების მანძილზე ცვლილებები განიცადა. თუკი თავდაპირველად ის მხოლოდ ისტორიული და მხატვრული ღირებულების მქონე შედევრებს აღნიშნავდა, ახლა ის უფრო ფართო გაგებით გამოიყენება და მოიცავს ყველაფერს, რასაც ხალხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

11. ხერთვისის ციხე-დარბაზი, X-XVIII სს. 2010 წლის ფოტო.

12. ვარძია, ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, XII ს. 2010 წლის ფოტო.

13. წმ. ნინოს ხატი შიომღვიმიდან, XVII-XVIII სს. (ხელოვნების მუზეუმი)

სიტყვა მემკვიდრეობა იხმარება როგორც კულტურული, ისე ბუნებრივი მემკვიდრეობის აღსანიშნავად. თუკი ჩვენ გვსურს მსოფლიოში არსებული კულტურული მრავალფეროვნების აღქმა, მაშინ არ უნდა განვაცალკეოთ კულტურა ბუნებისაგან. კულტურა და ბუნება ერთმანეთისაგან განუყოფელია. ადამიანმა შეცვალა გარემო, გარემომ კი გავლენა იქონია ადამიანის შემოქმედებაზე. მემკვიდრეობის ძეგლები შეიძლება დავყოთ კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობად, მაგრამ ზოგი ძეგლი აერთიანებს ორივეს და განეკუთვნება ახალ კატეგორიას – „შერეული მემკვიდრეობა“ (მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია).

ასევე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ზოგიერთი დარგის პროდუქტი მატერიალურია. ამის მაგალითია ტრადიციული ხელოსნობის ტექნოლოგიით შექმნილი ხალიჩა, რომელიც თავისთავად, უკვე მოძრავი მატერიალური მემკვიდრეობის კატეგორიას განეკუთვნება. ხელოსნობა დაკავშირებულია ცოდნასთან და უნარებთან, რომელიც ზეპირსიტყვიერი ტრადიციით თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ეს მემკვიდრეობა თავისი ბუნებით არამატერიალურ ღირებულებას წარმოადგენს, რომლის სიცოცხლისუნარიანობაც მის „ცოცხალ“ მატარებლებზეა დამოკიდებული.

ხშირად კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში აერთიანებს ორ ან მეტ კატეგორიას:

- არქიტექტურული ნაგებობები და ძეგლები
- ისტორიული ცენტრები
- ნაგებობათა ჯგუფები
- მუზეუმები
- არქივები
- ბიბლიოთეკები
- არქეოლოგიური ძეგლები
- კლდეში ნაკვეთი საცხოვრებლები
- კულტურული ლანდშაფტები
- ისტორიული პარკები და ბაღები
- ზოოლოგიური და ბოტანიკური ბაღები
- ინდუსტრიული არქეოლოგია

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და გამოხატვის ფორმები; მათ შორის ენაც, როგორც გამოხატვის საშუალება;
- საშემსრულებლო ხელოვნება;
- წეს-ჩვეულებები, დღესასწაულები, ზეიმები;
- ბუნებასა და სამყაროსთან დაკავშირებული ცოდნა და ჩვეულებები;
- ხელოსნობის ტრადიციულ დარგებთან დაკავშირებული ცოდნა და უნარ-ჩვევები.

ბუნებრივ მემკვიდრეობას განეკუთვნება:

- თვითნაბადი სილამაზის ლანდშაფტები;
- მეცნიერული ან ესთეტიკური ღირებულების გეოლოგიური და ფიზიკური ფორმაციები;
- ტერიტორიები, რომელიც მოიცავს გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ცხოველებისა და მცენარეების სამყოფელს, მაგალითად, ბუნებრივი საზღვაო პარკები;
- მღვიმეები.

მემკვიდრეობის სხვადასხვა კატეგორიაში უკეთ გარკვევის მიზნით იხილეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

კულტურული მემკვიდრეობა			ბუნებრივი მემკვიდრეობა
მატერიალური მემკვიდრეობა		არამატერიალური მემკვიდრეობა	მატერიალური და უძრავი მემკვიდრეობა
უძრავი	**მოძრავი**	ხალხური ცეკვა; ხალხური მუსიკა; დღესასწაულები და სანახაობები; ტრადიციული ცოდნა; ხელოსნობის ტრადიციები; რიტუალები; ზეპირი ტრადიციები; ტრადიციული წარმოდგენები; ადათ-წესები; კულტურული სივრცეები და სხვა.	ეკოლოგიურად ღირებული, ბუნებრივი და საზღვაო პარკები; გეოლოგიური და ფიზიკური ფორმაციები; გამორჩეული ბუნებრივი სილამაზის ლანდშაფტები.
არქიტექტურული ნაგებობები, ძეგლები; არქეოლოგიური ძეგლები; ისტორიული ცენტრები; შენობათა ჯგუფები; კულტურული ლანდშაფტები; ისტორიული პარკები და ბაღები; ბოტანიკური ბაღები; ინდუსტრიული არქეოლოგია.	სამუზეუმო კოლექციები; ბიბლიოთეკები; არქივები.		

რატომ არის მემკვიდრეობა მნიშვნელოვანი?

ადამიანების მოვალეობაა, გაუფრთხილდნენ საკუთარ კულტურულ მემკვიდრეობას, რადგანაც

- **ის ადამიანების ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი ღირებულებების (ისტორიული, მხატვრული, ესთეტიკური, პოლიტიკური, რელიგიური, სოციალური, მეცნიერული და სხვ.) მატარებელია;**

  არქეოლოგიური ძეგლები და მუზეუმები მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები წარსულში, ისინი ატარებენ ისტორიულ მეხსიერებას. ჰიროსიმის გენბაკუს გუმბათი (იაპონია) წარმოადგენს ატომური აფეთქების ტრაგიკული შედეგების თვალსაჩინო მაგალითს და, ამავე დროს, იგი ომის საწინააღმდეგო გაფრთხილებაა მომავალი თაობებისათვის. ეკლესიების, მეჩეთების თუ სხვა ტაძრების მნიშვნელობა მხოლოდ რელიგიური ფასეულობებით არ განისაზღვრება, ფასდება ასევე მათი მხატვრული და არქიტექტურული ღირებულებები. მაგალითად, მცხეთისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო ეკლესიები და მდიდარი არქეოლოგია, არამედ – კულტურული ლანდშაფტი, რომელიც მოიცავს მატერიალურ და არამატერიალურ მემკვიდრეობას. ყოველი სახის მემკვიდრეობა, შესაძლოა, ერთზე მეტი გზავნილისა ან ღირებულების მატარებელი იყოს, რაც იმ სოციალურ და ეკონომიკურ კონტექსტზეა დამოკიდებული, რომელშიც ჩაისახა და განვითარდა იგი. მემკვიდრეობის აღქმამ და შეფასებამ დროთა განმავლობაში შესაძლებელია განიცადოს ცვლილება.

14. რთველი.

- **ის წარმოადგენს სოციალური ჯგუფის თვითმყოფადობას;**

  ხალხი საკუთარ იდენტობას/თვითმყოფადობას ინარჩუნებს კულტურული მემკვიდრეობის მეშვეობით, იქნება ეს მატერიალური თუ არამატერიალური მემკვიდრეობა. ხშირად ესა თუ ის ქვეყანა გაიგივებულია მის რომელიმე ძეგლთან თუ ღირსშესანიშნაობასთან. მაგალითად, იტალია – პიზის კოშკთან, ვენეციასთან ან ფლორენციასთან; ეგვიპტე – პირამიდებთან; ინდოეთი – ტაჯ-მაჰალთან; გაერთიანებული სამეფო – შექსპირთან, თურქეთი – სტამბულთან, საქართველო კი – სვეტიცხოველთან, ღვინოსთან და ფიროსმანთან. ზოგჯერ განზრახ ხდება იერიშის მიტანა ქვეყნის იდენტობის განმსაზღვრელ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა თუ ღირსშესანიშნავ ადგილზე, მათი, როგორც ეროვნული სიმბოლოების განადგურების მიზნით. ასე მოხდა საომარი მოქმედებების დროს ყოფილ იუგოსლავიაში.

15. მძივი ავგაროზები, ყაზბეგის განძი
ძვ. წ. V ს.

- **ის წარმოადგენს ხალხთა მრავალფეროვნების შემეცნებ-ის, მშვიდობისა და ურთიერთგაგების განვითარების საშუალებას;**

  მემკვიდრეობა არის კულტურული მრავალფეროვნებისა და კულტურათა შორის არსებული კავშირების დანახვის საუკეთესო საშუალება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ხალხის თუ ერის კულტურა საზრდოობდა და თავისი წვლილი შეჰქონდა სხვა ხალხის კულტურაში.

- **არის ეკონომიკური განვითარების საშუალება;**

  მე-19 საუკუნიდან მოყოლებული მოგზაურებს ყველაზე მეტად იზიდავდა კულტურული მემკვიდრეობა. მემკვიდრეობის ტურიზმი საგრძნობლად გაიზარდა ბოლო პერიოდში და ბევრი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ რესურსად იქცა. სწორად მართული მემკვიდრეობის ტურიზმი ქმნის სამუშაო ადგილებს, იზიდავს უცხოურ კაპიტალს, აუმჯობესებს ადგილობრივ ინფრასტრუქტურას და ხელს უწყობს ურთიერთგაგებას. ამის საწინააღმდეგოდ კი, უკონტროლო მასობრივ ტურიზმს შეუძლია დამღუპველი ეფექტი იქონიოს ადგილობრივ მოსახლეობაზე.

- **არის უნიკალური და შეუცვლელი**

  კულტურული ფასეულობის განადგურება შეუვსებელი დანაკარგია მთელი კაცობრიობისათვის. განადგურებული საგანძურის განმეორება ან აღდგენა შეუძლებელია.

ტერმინები

არქეოლოგიური ძეგლი

ნებისმიერი ადგილი, რომელიც აღარ არის დასახლებული და სადაც ფიქსირდება ადამიანის წარსული ცხოვრებისა და საქმიანობის კვალი. ასეთი შეიძლება იყოს როგორც მარტივი საცხოვრისი, ასევე წარსული ცივილიზაციის მიტოვებული ქალაქები. ეს შესაძლოა იყოს გათხრილი ადგილი ან შემორჩენილი ნანგრევები; არქეოლოგიური ძეგლის კატეგორიას განეკუთვნება ასევე წყალქვეშ არსებული ძეგლები, გამოქვაბულის მოხატულობა და პალეონტოლოგიური ძეგლები.

არქეოლოგია

ჩვენი წარსულის კვალი ყველგანაა, მაგრამ ხშირად ეს არ არის ხილული და არ ჩანს. ნივთიერი დადასტურების მოსაპოვებლად საჭიროა შესაბამისი სამეცნიერო, კვლევითი სამუშაოების, გეოდეზიური გამოკვლევებისა და გათხრების წარმოება. არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების ამოცანაა, განმარტოს წარსული მისი ფიზიკური ნაშთების შესწავლის გზით როგორც მიწის ზევით, ასევე მიწის ქვეშ.

არქივი

ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტების კოლექცია, რომელიც სათანადოდ არის აღრიცხული, დაცული და სისტემატიზებული. არქივი წარმოადგენს ინფორმაციის მდიდარ წყაროს წარსულის შემეცნებისათვის, აქვს სამეცნიერო-საგანმანათლებლო მნიშვნელობა.

ბიბლიოთეკა

შენობა/ინსტიტუცია, რომელიც აერთიანებს წიგნების, ხელნაწერების, პერიოდული გამოცემების და ხანდახან აუდიო-ვიდეო კოლექციებს. ბიბლიოთეკაში შესაძლებელია დაცული მასალების ადგილზე გაცნობა და აგრეთვე თხოვება.

მუზეუმი

(მუზების ტაძარი) – საზოგადოებისთვის ღია სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულება, რომლის მიზანია მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების შეგროვება, დაცვა, შესწავლა და პოპულარიზაცია. მუზეუმი ემსახურება საზოგადოებას და მის განვითარებას. ის შეიძენს, იცავს, იკვლევს და გამოფენს ადამიანის ცხოვრებისა და ყოფის დამადასტურებელ მასალას კვლევითი, სასწავლო-საგანმანათლებლო და გართობის მიზნებისთვის. მუზეუმის კოლექციები აერთიანებს ისეთ არქეოლოგიური, ისტორიული, მხატვრული, ბუნებრივი თუ სამეცნიერო მნიშვნელობის ნივთებს, როგორიცაა: ფერწერა, ტექსტილი, ქანდაკება, სამეცნიერო ხელსაწყოები, მონეტები, არქეოლოგიური აღმოჩენები, კერამიკა და

სხვა. ტერმინი „მუზეუმი“ შესაძლოა, ასევე გამოვიყენოთ სამეცნიერო ცენტრებთან, პლანეტარიუმებთან, ბოტანიკურ და ზოოლოგიურ ბაღებთან და ვივარიუმებთან მიმართებაში.

კულტურული ლანდშაფტი

(გერმ. „Land“ – მიწა, „Schaft“ – სახე, იერი) – ბუნებრივ-გეოგრაფიული არეალი და/ან ბუნებისა და ადამიანის მოქმედებით შექმნილი მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების მომცველი ერთიანი სისტემა.

ბუნებრივი გარემო ან ტერიტორია, სადაც ადამიანის ჩარევაზე მიუთითებს ტრადიციული შენობები ან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა (ვენახის ან ხილის ტერასები, ზეთისხილის ან პალმის ჭალები, ციტრუსების ან ბამბის პლანტაციები, ბრინჯის ტერასები და სხვ.). აგრარული კულტურისა და ტრადიციული დასახლების არეალები ხდება ლანდშაფტის ნაწილი და აყალიბებს კონკრეტული რეგიონის სახეს.

ინდუსტრიული არქეოლოგია

წარსულში წარმოებისა და ფიზიკური შრომის კვლევა ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტური და ფიზიკური მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე. ის შეისწავლის ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად: „როგორ დაზგა-დანადგარებსა და ენერგიის წყაროებს გამოიყენებდნენ თქვენი წინაპრები?“ ანუ „როგორი იყო მათი სამუშაო პირობები და როგორი ტიპის შენობებში უხდებოდათ მუშაობა თქვენს წინაპრებს?“

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებელი

პირი ან პირთა ჯგუფი, რომელსაც გააჩნია არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ცოდნა ან/და უნარ-ჩვევები, რომლისთვისაც ეს ტრადიცია მისი ყოფისა და კულტურული იდენტობის განუყოფელი ნაწილია; გამორჩეული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მატარებლებს ხშირად „ცოცხალ საუნჯედ“ მოიხსენიებენ და როგორც ტრადიციის საუკეთესო შემნახველთ, განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებენ.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სივრცე

გეოგრაფიული არეალი, რომელიც დაკავშირებულია არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობასთან და წარმოადგენს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის არსებობისათვის აუცილებელ გარემოს.

სავარჯიშო 1
სამუშაო ფურცელი – მემკვიდრეობის ტიპები

მიზნები: მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას მემკვიდრეობის ნაირსახეობის შესახებ
ადგილმდებარეობა: საკლასო ოთახი
მიმდინარეობა: დაიწყეთ მემკვიდრეობის ნაირსახეობისა და მისი მნიშვნელობის ახსნით (კულტურული ან ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლები, ქანდაკებები, მუზეუმში გამოფენილი ექსპონატები და სხვ.), მიეცით თითოეულ მოსწავლეს სამუშაო ფურცელი და სთხოვეთ, გააკეთონ აღნიშვნა შესაბამის სვეტში და თავად დაასრულონ სიის შევსება.

(ნივთები/ობიექტები)	მოძრავი მემკვიდრეობა	უძრავი მემკვიდრეობა	არამატერიალური მემკვიდრეობა
თამარის ჯვარი	x		
ლეგენდა მირიან მეფეზე			
ბედიის ბარძიმი			
ბეთლემის უბანი თბილისში			
აწყურის ციხე			
ადიშის ოთხთავი			

დისკუსია:

მოსწავლეებს სთხოვეთ, აღწერონ ოჯახის კუთვნილი ნივთი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა, მაგალითად ბებია-ბაბუისაგან გადაეცა მათ მშობლებს და ა. შ. რა განსაკუთრებული ღირებულება აქვს ამ ნივთს მათთვის და რატომ? სთხოვეთ ახსნან, რას გულისხმობენ ისინი „ღირებულებაში“? ეს არის ფულადი, სიმბოლური თუ სხვა სახის ღირებულება?

სავარჯიშო 2
სწავლება საგნებზე დაკვირვებით

მიზნები	• განავითაროთ მოსწავლეების დაკვირვების უნარი; • ხელი შეუწყოთ მოსწავლეების ცნობისმოყვარეობის გაღვიძებას და სთხოვოთ, ამოიცნონ, თუ როგორ არის ესა თუ ის საგანი დამზადებული; • აუხსნათ მოსწავლეებს, რომ დროთა განმავლობაში საგნებმა შესაძლოა შეიცვალონ თავიანთი დანიშნულება;
ადგილმდებარეობა	საკლასო ოთახი
აღჭურვილობა	• განსხვავებული მასალისგან (ტექსტილი, მინა, ქვა, კერამიკა) დამზადებული ნივთების ფოტოები (უმჯობესია ფერადი). ზოგი მათგანი შესაძლოა იყოს თანამედროვე და საერთო მოხმარების; • თაბახის ფურცელი ან რვეული;
მიმდინარეობა	• აუხსენით მოსწავლეებს, რა ტექნოლოგიით მზადდებოდა წარსულში მასალები, კერძოდ, კერამიკა, მინა, შალი, აგური და სხვა; • დაყავით მოსწავლეები პატარა ჯგუფებად; • თითოეულ ჯგუფს დაურიგეთ კონკრეტული ნივთის ფოტო; • სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, აღწეროს ფოტომასალა და ყურადღება გაამახვილოს შემდეგზე: ა) ფიზიკური თავისებურება (რისგან არის დამზადებული? რა ფერისაა? ბუნებრივია თუ წარმოებული, გაცვეთილია თუ არა? და თუ კი, რატომ?); ბ) აგებულება (რა ხერხით არის დამზადებული? ხელნაკეთია თუ ქარხნული წესითაა დამზადებული? მასალის დამზადები წესი); გ) ფუნქცია (რა დანიშნულებისაა? გამოიყენება თუ არა ამჟამად? შეიცვალა თუ არა მისი გამოყენების წესი?); დ) დეკორი (როგორ არის გაფორმებული? მარტივი ნამუშევარია თუ რთული? რა დრო დასჭირდებოდა მის შესრულებას? მოგწონთ თუ არა?); ე) ღირებულება (რამდენად ღირებულია მისთვის, ვინც შექმნა? ვინც გამოიყენა? პირადად თქვენთვის? მუზეუმისთვის? თქვენი აზრით, ამ ნივთს ფულადი ღირებულება აქვს? რა ტიპის ღირებულება აქვს ამ ნივთს, თქვენი აზრით?). სთხოვეთ მოსწავლეებს, წარმოიდგინონ, თითქოს მოცემული ნივთი ჰყვება თავისი ისტორიის შესახებ (საიდან იღებს დასაბამს? რამდენ ოჯახში იარსება? რატომ არის ამჟამად დაცული მუზეუმში?). წაახალისეთ მოსწავლეები, გამოიყენონ წარმოსახვის უნარი; თითოეულ ჯგუფს სთხოვეთ, გააკეთოს პრეზენტაცია ჩატარებული სამუშაოს შესახებ კლასის წინაშე.

სავარჯიშო 3
დისკუსია: ურთიერთკავშირი კულტურასა და ბუნებას შორის

ბუნებრივ გარემოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია ადგილობრივი არქიტექტურისა და მშენებლობის სტილის ჩამოყალიბებაში. სთხოვეთ მოსწავლეებს, მიუთითონ ტრადიციულ შენობა-ნაგებობათა შორის არსებულ განსხვავებულ ნიშან-თვისებებსა და თავისებურებებზე (სამშენებლო მასალა, გადახურვის ტიპი, ფერი და სხვ.) მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. რამ იქონია ზეგავლენა ამ შენობათა განსხვავებულ სტილსა და მრავალსახეობაზე?

ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე ასეთი მაგალითი:

16. **ესპანეთი**
კრამიტის გადახურვა
თეთრი ფერი
ფანჯრები, დარაბები
რა ფაქტორებმა მოახდინა ზეგავლენა ამ სახლის სტილის ჩამოყალიბებაზე?

© ICCROM

17. **ნორვეგია**
ქანობიანი გადახურვა
სამშენებლო მასალა (ხე)
ნათელი ფერები
რა ფაქტორებმა მოახდინა ზეგავლენა ამ სახლის სტილის ჩამოყალიბებაზე?

© ICCROM

© ICCROM

18. **იემენი**
ბრტყელი გადახურვა
სამშენებლო მასალა
შენობის სიმაღლე და ფორმა
რა ფაქტორებმა მოახდინა ზეგავლენა ამ სახლის სტილის ჩამოყალიბებაზე?

19. **თუშური კოშკი**
გადახურვის ტიპი
გადახურვის მასალა
ნაგებობის ფორმა
რა ფაქტორებმა მოახდინა ზეგავლენა ამ ნაგებობის სტილის ჩამოყალიბებაზე?

© ICCROM

20. **ოკეანეა**
უფანჯრობა
სამშენებლო მასალა (ლერწამი) ისლი
რა ფაქტორებმა მოახდინა ზეგავლენა ამ სახლის სტილის ჩამოყალიბებაზე?

© შ. ლეჟავა

თავი 2

ღირსშესანიშნავი ადგილის აღქმა

გაკვეთილის მიზანი

ამ თავის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს:

- გაკვეთილზე მიღებული ისტორიული ინფორმაციისა და არქეოლოგიურ ან ურბანულ ძეგლებზე მიკვლეული მონაცემების ერთმანეთთან დაკავშირებას;
- შენობა-ნაგებობათა განსხვავებული არქიტექტურული სტილებისა და პერიოდების დადგენას და ამ ძეგლების ფრაგმენტების (არქეოლოგიური) იდენტიფიცირებას;
- ისტორიული ქალაქების გეგმარების დანახვას და აწმყოსთან მისი კავშირების დადგენას;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ტიპოლოგიურ მიმოხილვას.

21. უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარი

ინსტრუქციები მასწავლებლებისათვის

წინამდებარე თავი შეეხება არქეოლოგიურ ძეგლზე, ქალაქის ძველ უბანში ან ერთ კონკრეტულ ძეგლზე საველე გაკვეთილის ორგანიზებას. ძეგლის შერჩევას ძირითადად განაპირობებს:

- ძეგლის ან ისტორიული უბნის დაცვასა და მართვაზე პასუხისმგებელ სპეციალისტთა მზაობა, დახმარება აღმოუჩინონ პედაგოგებსა და მოსწავლეებს პროექტის განხორციელების პროცესში;
- პრაქტიკული სავარჯიშოს პროფესიონალთა/სპეციალისტთა ხელმძღვანელობით ჩატარების შესაძლებლობა;
- ძეგლის სიახლოვე სკოლასთან.

პედაგოგი წინასწარ უნდა შეხვდეს შერჩეული ძეგლის მენეჯერს ან ძეგლის დაცვაზე პასუხისმგებელ სპეციალისტს და შეათანხმოს დაგეგმილი საველე გაკვეთილის პროგრამა, შეარჩიოს ძეგლები, რომელიც მნიშვნელოვანია ადგილის ისტორიის აღსაქმელად და რომელთა მაგალითზეც შესაძლებელია კონსერვაციის კონკრეტული პრობლემების განხილვა. ამისათვის სასურველია, სპეციალისტმა წინასწარ მიაწოდოს მასწავლებელს ძეგლის ირგვლივ არსებული ისტორიული და არქიტექტურული ხასიათის ინფორმაცია, მოუთხროს თითოეული ძეგლის დაცვის მეთოდის შესახებ. აღნიშნულ ინფორმაციას პედაგოგი მოსწავლეებს ვიზიტამდე გააცნობს. სასარგებლო იქნება, თუ აღნიშნული სპეციალისტი ან მისი სამსახურის წარმომადგენელი შეძლებს, დაესწროს საველე გაკვეთილს და დაეხმაროს პედაგოგს ძეგლის კონსერვაციის კონკრეტული საკითხების გაცნობაში.

საბაზისო ინფორმაცია

საველე გაკვეთილამდე პედაგოგი მოსწავლეებს კლასში აწვდის საბაზისო ინფორმაციას მოსანახულებელი ძეგლის ისტორიისა და არქიტექტურული თავისებურებების შესახებ. საველე გაკვეთილისათვის შერჩეული ადგილი შეიძლება იყოს არქეოლოგიური ძეგლი ან ქალაქის ისტორიული უბანი და ა. შ. არსებითია, რომ მოსწავლეთათვის მიწოდებულ, შეძლებისდაგვარად გამარტივებულ ინფორმაციაში გამოკვეთილი იყოს ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები, რომელმაც გავლენა იქონია კონკრეტული მემკვიდრეობის ძეგლის განვითარებაზე.

ხაზი შეიძლება გაესვას შემდეგ საკითხებს:

- დრო/ისტორიული პერიოდი (ვინ იყვნენ პირველი მოსახლეები და როდის დასახლდა ძეგლის ტერიტორია პირველად?)
- ადგილმდებარეობა (სად მდებარეობს ძეგლი და რატომ აშენდა სწორედ ამ ადგილას?)
- ფუნქცია (ეს იყო რელიგიური, სამხედრო, კომერციული თუ პოლიტიკური ცენტრი?)
- კავშირები სხვა ღირსშესანიშნაობასთან რეგიონში
- ურბანული სივრცის მოწყობა (ცხოვრებისა და ყოფის რა ასპექტებისთვის იყო ძირითადად განკუთვნილი კონკრეტული ურბანული სივრცე: რელიგიური, საზოგადოებრივი, საცხოვრებელი და სხვ. ამ ადგილების ილუსტრირება ასევე შესაძლებელია ძეგლის დათვალიერებისას).
- რა გარემოებებმა იქონია ზეგავლენა კონკრეტული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის განვითარებაზე ან გამოიწვია მისი დაზიანება:
  - ა) პოლიტიკური, ეკონომიკური ან რელიგიური გარემოებები (მაგ.: ანტიკური კულტურის გავრცელება, გაქრისტიანება, რუსული ანექსია, ბიზანტიის იმპერიის დაცემა, სავაჭრო ურთიერთობები, თუ სხვა.)
  - ბ) ბუნებრივი მოვლენები (მაგ.: მიწისძვრები, წყალდიდობები, ნიადაგის დაჭაობება)
- პოლიტიკური წყობა
- რელიგია
- დაკრძალვის რიტუალები
- ძირითადი ნაგებობები (მაგ.: ქალაქის ზღუდეები, ციხესიმაგრეები, ტაძრები, სამონასტრო კომპლექსები, საზოგადოებრივი აბანოები, ბაზრები, საფლავები/სამარხები, საცხოვრებელი სახლები)

2

საქართველოს ისტორიული ქალაქები და ნივთიერი კულტურა

(ისტორიულ-არქიტექტურული მიმოხილვა)

22. **სტეფანწმინდა,** გერგეტის სამება.

ტერიტორია

ყოველი ქვეყნის ისტორიას დიდად განაპირობებს მისი მდებარეობა, რელიეფი, ბუნება და ხალხი. აღმოსავლური და დასავლური სამყაროს მიჯნაზე, მნიშვნელოვანი გზების გადაკვეთაზე მდებარე საქართველოს ადრიდანვე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ტრადიციით და კულტურით სრულიად განსხვავებულ მეზობელ და შორეულ სახელმწიფოებთან, რაც ხელს უწყობდა საკუთარი თვითმყოფადი კულტურის მუდმივ განახლებასა და განვითარებას.

23. **კოლხეთის ეროვნული პარკი.**

24. **ბაგინეთი ექვსაფსიდიანი ტაძარი, მარანი და აბანოს ფრაგმენტები.**
2010 წლის ფოტო.

25. **სარკინე, დიონისეს ტერაკოტული გამოსახულება, ძვ.წ. II ს.**

26. **მცხეთა, წმ. ჯვრის მონასტერი**
2010 წლის ფოტო.

ძველი დედაქალაქი

ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა ქართლის (იბერიის) სამეფო, ცენტრით მცხეთაში. აქედან მოყოლებული რვაასი წლის მანძილზე მცხეთა იყო ქართლის დედაქალაქი. მისი სატახტო ქალაქად ქცევა განაპირობა შესანიშნავმა ბუნებრივმა პირობებმა და დიდი სავაჭრო გზების გადაკვეთის ადგილზე მდებარეობამ. მტკვრისა და არაგვის ხეობაში, მაღალი მთებით გარშემორტყმული მცხეთა ბუნებრივად დაცული იყო.

ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით ქართველთა ეთნარქი ქართლოსი „...მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვის არაგვ მტკუარსა ...“, ხოლო მისმა ვაჟმა მცხეთოსმა „აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკვრისა და არაგვისასა და უწოდა სახელი თვისი მცხეთა“.

წერილობითი წყაროები, არქეოლოგიური გათხრები და ნივთიერი კულტურა მდიდარ მასალას გვაწვდის მცხეთის წარმოშობის, მისი ისტორიის, ძველი დროის რელიგიური წარმოდგენების, ქვეყანაში ქრისტიანობის დამკვიდრების შესახებ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნ-





27. **სვეტიცხოველი, XI ს.**

28. **სამთავრო XI საუკუნე.** 2013 წლის ფოტო.

29. **წმ. ჯვრის დიდი ტაძარი, სამხრეთი ფასადი.** 2007 წლის ფოტო.

ოს, რომ მცხეთა ჯერ კიდევ მრავალ საიდუმლოს ინახავს.

XIX საუკუნიდან დღემდე თითქმის უწყვეტად მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოძიებული მდიდარი მასალის მიხედვით მცხეთა და მისი მიდამოები დასახლებული იყო ძველი წელთაღრიცხვის III-II ათასწლეულიდან (ადრინდელი და შუა ბრინჯაოს ხანიდან). ამ ადგილებში არსებული სამოსახლოების შერწყმით წარმოიშვა ქალაქი – „დიდი მცხეთა“, რომელიც ერთიანი თავდაცვის სისტემით გაერთიანებული ცალკეული უბნებისაგან შედგებოდა. გაბატონებული მდებარეობა ეკავა არმაზციხეს, სადაც სამეფო რეზიდენცია იყო განლაგებული.

ქართველების გარდა ქალაქის მრავალეროვან მოსახლეობას

30. **მცხეთის წმ. ჯვრის დიდი ტაძარი, ჯვრის ამაღლება, სამხრეთი შესასვლელის ტიმპანი.**

შეადგენდნენ ებრაელები, სომხები, ასირიელები, სპარსელები, ბერძნები. მცხეთის ბინადარნი ექვს ენაზე ურთიერთობდნენ ერთმანეთში. საისტორიო წყაროების მიხედვით, ქალაქის მკვიდრი მოსახლეობის გარკვეული ფენა პრივილეგირებულ მოქალაქეებს წარმოადგენდა. ამგვარი უპირატესობის მინიჭება მეფის პრეროგატივა იყო. მას ეს წოდება უცხოელისთვისაც შეეძლო მიენიჭებინა.

ქართული წარმართული პანთეონი გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით. ამ მიმართულებით საგრძნობია იმ სამყაროდან მომდინარე ტენდენციები, რომლებთანაც ქართველურ ტომებს და შემდეგ ქართლის სამეფოს ჰქონდა ურთიერთობა. ქართლის ექვსივე მთავარი ღვთაების (არმაზი, ზადენი, გაცი, გაიმი, ანინა, დანინა) სამყოფელი მცხეთა-არმაზის მიდამოებში მოიაზრებოდა.

საისტორიო წყაროების მიხედვით ნათლად ჩანს მცხეთის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქრისტიანობის დამკვიდრების გზაზე ქართლში. წმინდა ნინოს მცხეთაში მოსვლამდე ახალი მოძღვრება მცხეთელ იუდეველ – ქრისტიანთა მიერ იქადაგებოდა. IV საუკუნის დასაწყისში ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს მოღვაწეობის შედეგად, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იქნა აღიარებული ქართლში. ახალმა რელიგიურმა მოძღვრებამ ქალაქის ტოპონიმიკაზეც იმოქმედა, გაჩნდა ქრისტეს ცხოვრებასთან დაკავშირებული წმინდა მიწიდან შემოსული ტოპონიმები. მათ რიცხვს მიეკუთვნება ანტიოქია, გეთსიმანია, გოლგოთა.

VI საუკუნიდან, ქართლის სატახტო ქალაქის თბილისში გადატანის შემდეგ, მცხეთის პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ეცემა, რასაც თან ერთვის უცხოელ დამპყრობთა გამანადგურებელი შემოსევები. საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა მცხეთის საზღვრები, ერთმანეთს ცვლიდა დამცრობა-აღმავლობის პერიოდები, თუმცა არასოდეს დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ მისი საკრალური მნიშვნელობა. მცხეთა მუდამ წარმოადგენდა ქვეყნის მთავარ ქრისტიანულ ცენტრს.

ქალაქის ბუნებრივი დომინანტები და ხუროთმოძღვრული ძეგლები – მთა ქართლისა, მტკვრისა და არაგვის შესართავი, აქვე აღმართული მთა, რომელსაც შვეული კლდის პირას მდგარი წმ. ჯვრის მონასტერი ასრულებს – ადამიანისა და ბუნების მიერ შექმნილ დიდებულ ანსამბლს წარმოადგენს. ეს ტერიტორია გაჯერებულია უწყვეტი ისტორიულ-კულტურული ცხოვრების ამსახველი არქეოლოგიური, ხუროთმოძღვრული და ნივთიერი ძეგლებით, რომელთა თარიღი უძველეს დროში იღებს სათავეს. ასეთია მთის თხემზე განლაგებული და მტკვრისკენ ტერასულად დაშვებული არმაზციხის ნაქალაქარი; ქალაქის პირდაპირ, მთაზე აღმართული ჯვრის მონასტერი; მდიდარი არქეოლოგიური მასალის შემცველი გამოვლენილი და ჯერ კიდევ გაუთხრელი ტერიტორიები; სვეტიცხოვლის კათედრალი და სამთავროს მონასტერი, რომლებიც იკრებს და თავს უყრის ქალაქის განაშენიანებას.

მცხეთის ძველი საცხოვრებელი შენობების დიდი ნაწილი გამქრალია. ჩვენ არ ვიცით, მაგალითად, როგორი იყო ბატონიშვილი ვახუშტის მიერ მოხსენიებული „დიდ-დიდი პალატნი“, რომლებიც ყოფილა „აღმოსავლით, არაგჳს კარსა ზედა“. აღარც სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი, მაღალი ოსტატობით ნაგები მრევლიშვილების და იმერლიშვილების დარბაზები ჩანს, რომლებიც გი-

ორგი ჩუბინაშვილმა გამოიკვლია 1920-იან წლებში.

ქალაქის ძველი გეგმარება ნაწილობრივ შენარჩუნებულია. სვეტიცხოვლის სიახლოვეს მდებარე საცხოვრებელი სახლები მოიცავს ადრეულ ფენებს, რომლებიც, თავის მხრივ, უფრო ძველი შენობების ადგილას დგას. ისინი ქალაქის ძველი უბნის განაშენიანების ნაწილია.

XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში გადაღებული ფოტოებიდან ჩანს ტერასულად განლაგებული მცხეთის საცხოვრებელი სახლები, რომელთა უმეტესობას ბანიანი გადახურვა ჰქონდა. XX საუკუნის დასაწყისიდან ქალაქში მომრავლდა დახრილსახურავიანი შენობები, ხოლო ამავე საუკუნის შუა ხანებში ბანიანი სახლები უკვე აღარ შენდებოდა.

ძველი მცხეთის გეგმარების და სივრცის მაორგანიზებელ მახვილებს ეკლესიები წარმოადგენს. მათ შორის მკვეთრად გამოიყოფა გალავნით შემოზღუდულ ვრცელ ეზოში მდგარი სვეტიცხოვლის კათედრალი, ჩრდილოეთით – სამთავროს მონასტერი, დასავლეთით – გეთსიმანიის ეკლესია, ხოლო სვეტიცხოვლის აღმოსავლეთით, მდინარის პირას – ანტიოქია. ქალაქს თითქოს გვირგვინად ადგას მტკვრისა და არაგვის შესართავთან აღმართული მთის დამასრულებელი წმინდა ჯვრის მონასტერი.

31. **თბილისი, კლდისუბანი.**

დედაქალაქი

ქართული საისტორიო ტრადიცია თბილისის დაარსებას მეფე ვახტანგ გორგასალს უკავშირებს, თუმცა თბილისი და მისი შემოგარენი გაცილებით უფრო ადრე იქნა სამოსახლოდ ათვისებული. შესანიშნავი ბუნებრივი მონაცემები და ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა ხელს უწყობდა ამ ადგილებში საქალაქო ცხოვრების ჩასახვას და განვითარებას. აქ ერთმანეთს ხვდებოდა ქვეყნის შიდა მხარეებისა და სხვა სახელმწიფოებთან დამაკავშირებელი არაერთი გზასაყარი.

თბილისის ქალაქად ჩამოყალიბება დაემთხვა ქვეყნის ისტორიის ფეოდალური პერიოდის საწყის ეტაპს. ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში თბილისი „ქალაქ-ციხეა“, ხოლო VI საუკუნიდან – სამეფოს დედაქალაქი. შესაბამისად, მცხეთიდან თბილისში ინაცვლებს ქართლის ერისმთავრის რეზიდენცია, რამაც, თავისთავად, გამოიწვია ქვეყნის უმაღლესი საზოგადოებრივი ფენის ძველი დედაქალაქიდან თბილისში გადმოსვლა. ქალაქის განვითარებისთვის ამ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საისტორიო წყაროები და არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი მასალა მოწმობს, რომ საზოგადოების სხვადასხვა ფენის საცხოვრებელი უბნები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა.



32. **თბილისი, კლდისუბანი, გომის ქ. 5/12.** ანაზომი

მტკვრის ხეობაში გაშლილი ძველი თბილისის ხუროთმოძღვრულ სახეს მნიშვნელოვნად განაპირობებდა და ახლაც განსაზღვრავს გარემომცველი მაღალი მთები, მდინარე და მათ შორის მოქცეული რთული, მრავალსახა რელიეფი, რომელზეც მორგებული შუასაუკუნეობრივი ქაოსური გეგმარება დღესაც იკითხება. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი არაერთგზის დაზიანდა მიწისძვრების და მტრის შემოსევების შედეგად, მის გეგმარებას, ცხადია, ბუნებრივ დომინანტებთან ერთად, საუკუნეების მანძილზე რადიკალური ცვლილება

33. **ნარიყალა, მეჩეთი და მიმდებარე განაშენიანება.**

34. **1809 წლის თბილისის რუკა**

არ განუცდია. ამას ემატება მრავალგზის განახლებული თავდაცვის ზღუდე-გალავნების სისტემა მტკვრისა და წავკისის ხევის შესაყართან ამართული მთავარი ციხის მოთავეობით, რომელიც საისტორიო წყაროებში სხვადასხვაგვარად მოიხსენიება: კალა, დედაციხე, თავადი ციხე, ნარიყალა.

შუა საუკუნეების კედლებს თბილისი ძირითადად XIX საუკუნის დასაწყისში, გარეთუბნის მიმართულებით გასცდა. ეს იყო ტერიტორია თბილისის ზღუდის გარეთ, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, რომლის საზღვრები დროთა განმავლობაში იცვლებოდა. მისი ათვისება ადრევე ხდებოდა, მაგრამ მტრის შემოტევების შემდეგ ქალაქის მოსახლეობა ისევ დამცავი ზღუდის შიგნით იკეტებოდა.

XIX საუკუნის დასაწყისში გარეთუბანში უკვე არსებობდა მომავალი განაშენიანების ორიენტირები: კალოუბნის, ქვაშვეთის და ლურჯი მონასტრის ეკლესიები. ამავე საუკუნის შუა ხანებში გამოიკვეთა თბილისის ზრდის პროცესი გალავნის კედლებს გარეთ. 1833-35 წლებში შემუშავდა გარეთუბნის განაშენიანების გეგმა, რომლის მიხედვით, რუსთაველის პროსპექტი – ქალაქის ისტორიული გზა, ამ განაშენიანების მთავარ ღერძად იქცა.

35. **მეტეხის ტაძარი და ქარვასლები.**
XIX-XX მიჯნის ფოტო.

36. **არშაკუნის სასახლე, საერთო ხედი.**
1884-1886 წწ.

37. **სასტუმროები „კავკაზი“ და „ინტერნაციონალი“.**
XX ს-ის დასაწყისის ფოტო.

სოლოლაკში, რომელიც ძირითადად სამეფო ოჯახის და თავადაზნაურთა კუთვნილ ბაღებს ეკავა, დაიგეგმა ქუჩების რეგულარული ქსელი, თანდათან წარმოიშვა არისტოკრატიის საცხოვრებელი უბანი. გარეთუბნის ცენტრალურ მაგისტრალზე, გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდელი შოთა რუსთაველის გამზირი) ადმინისტრაციულ-კულტურული დანიშნულების შენობები განლაგდა. ახლანდელ თავისუფლების მოედანზე, სადაც ადრე ტრადიციული ბაზრობა იმართებოდა, განთავსდა ბანკები და მაღალი კლასის სასტუმროები „კავკაზი“, „ინტერნაციონალი“ (შენობები განადგურდა 1991 წელს), მომრავლდა „ევროპული არქიტექტურით“ ნაგები შენობები. მოედნის ცენტრი დაიკავა თეატრმა, სადაც იტალიიდან მოწვეული საოპერო დასი მართავდა თავის გამოსვლებს (ამჟამად აღარ არსებობს). თავისუფლების მოედანზევე აიგო კავკასიის არმიის შტაბი (ახლანდელი თავისუფლების მოედანი, N4 შენობა), ცოტა მოშორებით – კავკასიის მთავარმართებლის სასახლე (დღევანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე), ხოლო ახლანდელი საკრებულოს შენობის ადგილზე – პოლიციის შენობა, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს გადააკეთეს.

ფართოდ გაშლილი მშენებლობები ნათლად აჩვენებდა, რომ კალაში მდებარე ქალაქის ძველმა ცენტრმა დაკარგა მნიშვნელობა, XIX

38. **ლ. გუდიაშვილის ქ. N2, 1830-1850 იანი წწ.**
2007 წლის ფოტო.

39. **XIX საუკუნის საცხოვრებელი სახლი ნინოშვილის და მაზნიაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე.**
2007 წლის ფოტო.

40. **ალ. ჭავჭავაძის ქუჩა**
2010 წლის ფოტო.

საუკუნის ბოლო ათეული წლებისთვის ქალაქის ცენტრმა გადაინაცვლა გოლოვინის პროსპექტსა და სოლოლაკის უბანში.

XIX საუკუნის 60-80-იანი წლებიდან გოლოვინის პროსპექტი იქცა კულტურულ-ადმინისტრაციულ და გასართობ ცენტრად. აქ აიგო შენობები ოპერის და საარტისტო საზოგადოებისთვის (ახლანდელი შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი). აქვე იყო გასართობი კლუბი – Тифлисский кружок (ახლანდელი ოფიცერთა სახლი), ხოლო N24/1 შენობის პირველი სართულის კუთხის დარბაზში 1906 წლიდან ფუნქციონირებდა ხილეული წყლების მაღაზია „ლაღიძის წყლები“. ცოტა მოშორებით, ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩაზე დაარსდა სამუსიკო სკოლა (ახლანდელი ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია).

თუ თვალს შევავლებთ თბილისის ძველი ნაწილის და XIX საუკუნის განაშენიანების რუკებს, აშკარად შევნიშნავთ მათ შორის სხვაობას. პირველ მათგანში შენარჩუნებულია შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი ქაოსური, რელიეფზე მორგებული გეგმარება. XIX საუკუნის თბილისი უკვე სხვაა, თვალში მოსახვედრია ქუჩების რეგულარული ქსელი. განსაკუთრებით ეხება ეს სოლოლაკის უბანს, თუმცა აქაც რელიეფი დიდად განაპირობებს ქალაქის მხატვრულ

41. **თბილისის სიონის, ჯვარისმამის, ნორაშენის ეკლესიები და მიმდებარე განაშენიანება**
2014 წლის ფოტო.

42. **ათეშგა. ზოროასტრული ნატაძრალი, IV-VII სს.**
2007 წლის ფოტო.

სახეს. ეს ფაქტორი თბილისისთვის მუდამ იყო განმსაზღვრელი და, იმედია, მომავალშიც ასე იქნება. ამ მხრივ, ქალაქს ჯერჯერობით შენარჩუნებული აქვს მთავარი რესურსი, რომელიც განაპირობებს მის თავისებურებას.

თბილისს დღესაც განსაკუთრებულ იერს სძენს საკულტო არქიტექტურა. მრავალეროვანი ქალაქის მონუმენტური სალოცავები განუყოფელია განაშენიანების გეგმარებითი და სივრცის ორგანიზაციის თვალსაზრისით. თბილისში შემონახულია ადრეულ შუა საუკუნეებში აგებული ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი – ათეშგა, რომელიც მოგვიანებით მეჩეთად გადაუქცევიათ.

წერილობითი ცნობების გარდა, რეალურად თითქმის არაფერი შემოგვრჩა ძველი თბილისური სასახლეებისაგან, რომლებიც ანჩისხატის უბანში მდებარეობდა. აქ მხოლოდ როსტომ მეფის სასახლის XVII საუკუნის არაერთხელ გადაკეთებული აბანოა შემონახული, სადაც მოგვიანებით ზარაფხანა იყო გამართული.

ცოტა რამ გადარჩა ასევე XIX საუკუნის სასახლეებიდან. საუკუნის შუა წლებში დღევანდელი ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩაზე, რომელსაც იმ დროს კომენდანტის ქუჩა ეწოდებოდა, ჩნდება თბილისის საპატიო მოქალაქის სასახლე, რომლის მფლობელად არშაკუნების საგვარეულოს წარმომადგენლები გვევლინებიან. მნიშვნელოვანი ცვლილებებით და დანაკარგებით ნაგებობა დღემდე შემონახულია (ალექსნადრე გრიბოედოვის ქ. N 22).

სასახლის დარბაზების მორთულობაში გვიანირანული მხატვრული ხერხებია გამოყენებული, ხოლო ფასადის გაფორმება ეფუძნება კლასიცისტურ, ისლამურ და ბაროკულ სტილიზაციას. ამ მხრივ, შენობა აგრძელებს გვიან შუა საუკუნეებში დამკვიდრებულ ტრადიციას, რაც გამოიხატება აღმოსავლური და ადგილობრივი არქიტექტურული ფორმებისა და მხატვრული დამუშავების ხერხების შერწყმაში.

1869-86 წლებში სასახლეში განთავსდა ე. წ. თბილისის „კრუჟოკი“ (Тифлисский кружок), სადაც იმართებოდა სასცენო წარმოდგენები, მეჯლისები და საოჯახო საღამოები. 1902 წელს, შენობის ახალი მფლობელის სურვილისამებრ, არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილის პროექტით განხორციელდა ფასადის ნაწილობრივი რეკონსტრუქ-

43. **პ. ინგოროყვას ქ. N6ა, ფასადის ფრაგმენტი და სკულპტურული დეკორი**
2007 წლის ფოტო.

44. **თბილისის „საარტისტო წრე“,** 1884-1886 წწ.

45. **თბილისი, ია კარგარეთელის ქ. 6. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი.** 2010 წლის ფოტო.

ცია, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში არშაკუნისეულ ძველ სასახლეში გაიხსნა სამხატვრო სკოლა, რომლის ბაზაზე 1922 წელს დაფუძნდა თბილისის სამხატვრო აკადემია.

XIX-XX საუკუნეების მიჯნას მიეკუთვნება მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ყოფილი ბაღის ქუჩაზე (ამჟამად ია კარგარეთელის ქუჩა N6), თბილისში დამკვიდრებული გერმანელი არქიტექტორის, პაულ შტერნის პროექტით აგებული სასახლე. დროის სხვადასხვა პერიოდში სასახლის მფლობელები იყვნენ საქართველოში „პრინც ოლდენბურგად“ წოდებული, გერმანული საიმპერატორო გვარის წარმომადგენელი კონსტანტინ ფრიდრიხ პეტერ ფონ ჰოლშტეინ-გოტორპ, ოლდენბურგის ჰერცოგი (1850-1906) და სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის უმცროსი ვაჟი ანდრია დადიანი (1850-1910). ნაგებობა დროის გარკვეული პერიოდებით დაშორებული სამი სამშენებლო ეტაპის მომცველ ხუროთმოძღვრულ მთლიანობას წარმოადგენს. ამჟამად აქ განთავსებულია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი. სასახლის ინტერიერი თავდაპირველად მორთული იყო ნაძერწი დეტალებით და კედლის მხატვრობით. დიდი დარბაზის იატაკს ბროლის საფარი ჰქონდა, რის გამოც წყლის ეფექტი იქმნებოდა.

თბილისური საცხოვრებლის XIX საუკუნემდელი ნიმუშები ძალზე ცოტაა შემონახული. ზოგი მათგანი ფრაგმენტულადაა ჩართული მრავალგზის გადაკეთებულ-განახლებულ ნაგებობებში. ისტორიული ცნობების მიხედვით, ქალაქის უბნების ძირითადი ნაწილი ბრტყელსახურავიანი, ბანიანი სახლებისაგან შედგებოდა. უფრო შეძლებული ფენა დარბაზებს იშენებდა.

XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში ჩამოყალიბდა თბილისური სახლის ტიპი, რომელშიც შერწყმულია მშენებლობის ოფიციალური, სავალდებულო ნორმები, შუა საუკუნეებიდან მომდინარე გეგმარებითი კომპოზიციები და ტრადიციული ხელოვნება.

გვიანი შუა საუკუნეების ქალაქი

სიღნაღი

კახეთის ის მხარე, სადაც ქალაქი სიღნაღი მდებარეობს, ძველი კამბეჩოვანის ტერიტორიას წარმოადგენს. უძველესი დროიდან კამბეჩოვანი ძალზე მნიშვნელოვანი რეგიონი იყო. აქ გადიოდა ქართლის, ალბანეთის და სომხეთის დამაკავშირებელი მაგისტრალური გზები. გვიან შუა საუკუნეებში სიღნაღის გაქალაქებას ხელი შეუწყო მნიშვნელოვანი გზების გადაკვეთაზე მდებარეობამ და რეგიონის ხელსაყრელმა სამეურნეო შესაძლებლობებმა.

„სიღნაღი“ თურქული სიტყვაა და ნიშნავს თავშესაფარს. ეს სახელწოდება მას უნდა შერქმეოდა მაშინ, როდესაც მეფე ერეკლე მეორის ბრძანებით ქალაქს გალავანი შემოავლეს, სადაც ომიანობის დროს იხიზნებოდა მოსახლეობა. ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისთვის მეფე აუცილებელ ფაქტორად მიიჩნევდა ვაჭრობის განვითარებას, ამისათვის კი საჭირო იყო ქალაქების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და კეთილმოწყობა.

საქართველოს ძველი ქალაქების უმეტესობისაგან განსხვავებით, სიღნაღი არ მდებარეობს მდინარის ხეობაში, მას არ გააჩნია შიდა ციხე. რელიეფთან ერთად ქალაქის სილუეტის განმსაზღვრელია გალავანი, რომელიც საკმაოდ დიდ ტერიტორიას იკავებს. სიღნაღში არ იყო მეფეთა თუ სხვა წარჩინებულ პირთა სასახლეები, რომლებიც ერთგვარ „შემკრებ“ ფუნქციას ასრულებს შუა საუკუნეების

46. **სიღნაღი, პანორამა.**
2010 წლის ფოტო.

47. **სიღნაღი**
2010 წლის ფოტო.

48. **სიღნაღი ვ. სარაჯიშვილის ქუჩა**
2005 წლის ფოტო.

49. **ბათუმი, პანორამა.**
2013 წლის ფოტო.

50. **რუკის ფრაგმენტი ბათუმის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმიდან**
2005 © გეოგრაფიკი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი.

51. **ბათუმი, გენერალ მაზნიაშვილის და ფარნავაზ მეფის ქუჩების გადაკვეთაზე, XX საუკუნის დასაწყისი.**
2007 წლის ფოტო.

ქალაქის გეგმარებასა თუ სივრცით ორგანიზაციაში. სიღნაღი თავიდანვე ჩამოყალიბდა როგორც ვაჭარ-ხელოსანთა ქალაქი, სადაც არ იყო დიდი ქარვასლები და საბაზრო მოედნები. ბაზარს ქმნიდა დუქნების მწკრივი, რომელიც როგორც სავაჭრო, ასევე სახელოსნოების ფუნქციას ითავსებდა.

სიღნაღის მხატვრულ სახეს მნიშვნელოვნად განაპირობებს ქალაქის მდებარეობა, რელიეფი, ევროპული ხუროთმოძღვრული დეტალებით დამშვენებული, ადგილობრივ ტრადიციაზე დამყარებული საცხოვრებელი სახლები და დიდი ციხე-გალავანი, რომლის მსგავსი საქართველოს არც ერთ ძველ ქალაქში არ გვხვდება.

XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქალაქი

ბათუმი

შავი ზღვის პირას მდებარე ქალაქი ბათუმი ძირითადად XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში გაშენდა, თუმცა ადამიანის ცხოვრების კვალი მის მიდამოებში უძველესი დროიდან დასტურდება. შუა საუკუნეებში ბათუმი და მისი მიდამოები სადავო ტერიტორია ოყო ოსმალეთსა და ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის. ბატონიშვილი ვახუშტის მიხედვით, „ზღვის შესართავზედ და ჭოროხის ჩრდილოთ კიდურზედ არს ბათომი, მცირე ქალაქი და ციხე კარგი, აწ უპყრავთ ოსმალთა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ., 792).

52. **ბათუმი, სანაპიროს (ახლანდელი გოგებაშვილის) ქუჩა, სასტუმროები „ბელ-ვიუ“ და „ორიენტალი“. XIX-XX სს-ის მიჯნა.**

53. **ბათუმი, ი. გოგებაშვილის ქუჩის განაშენიანება.**
2007 წლის ფოტო.

54. **ბათუმი, საცხოვრებელი სახლი კომახიძის ქ. 4.**
2007 წლის ფოტო.

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულები მნიშვნელოვანი ცვლილებების ხანაა ქალაქის ისტორიაში. 1873 წელს ნიკო ნიკოლაძე ასე ახასიათებს იმდროინდელ ბათუმს: „ბათუმი ქალაქი ასიოდე სახლს და ქოხს ჰქვიან. ზოგი მათგანი დაბწნილი და შეტკეჩილი ფაცხაა, ზოგი ფიცრულია. ორიოდე შენობა ქვითკირისაც მოიძებნება“ („კრებული“, 1873, N4, გვ., 31). 1890-იან წლებში კი თედო სახოკია აღნიშნავს, რომ ბათუმში, „...რომელსაც მივარდნილი სოფლის სახელი უფრო შეჰფეროდა...“ „შეტკეჩილი ფაცხების“ ალაგას წარმოზიდულია ორ-სამსართულიანი სახლები, გაყვანილია მშვენიერი მოკირწყლული ქუჩები, ვაჭრობა გაჩაღებულია, მთელს მსოფლიოსთან მიმოსვლაა გამართული, გახსნილია საქალაქო და სავაჟო გიმნაზიები და სხვა დაბალი სასწავლებლები, საკრედიტო დაწესებულებები, ქარხნები. თვალს გიტკბობთ ტროპიკული მცენარეებით შემკული ბაღები“ (მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ., 249).

ბათუმის მნიშვნელოვან საპორტო ქალაქად გადაქცევას ხელი შეუწყო მისმა ბუნებრივმა პირობებმა, ბათუმის ყურის დიდი შესაძლებლობების მქონე ნავსადგურად გადაქცევამ, რაც XIX საუკუნის

55. **ბათუმი, საცხოვრებელი სახლი.**

56. **ბათუმი, გორგასლის ქ. 62.** 2007 წლის ფოტო.

57. **ბათუმი, საცხოვრებელი სახლის შესასვლელის გაფორმების ფრაგმენტი.**

ბოლო ათწლეულებში ჯეროვნად იქნა შეფასებული. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე 1878 წელს ბერლინის ტრაქტატით გათვალისწინებული ე. წ. „პორტო ფრანკოს“ გაუქმებას 1886 წელს, რის შემდეგაც ბათუმი უკვე აღარ წარმოადგენდა ევროპის კაპიტალის გასაღების ბაზარს.

XIX საუკუნის ფოტოებზე კარგად ჩანს, რომ ამ დროს ზღვისპირა განაშენიანება სანაპიროსგან ათიოდე მეტრით იყო დაშორებული. აქ მდებარეობდა საზღვაო სანაოსნოს მისადგომები, შუქურა, სამხედრო ფორტი, საბაჟო. აქვე იყო ჩარიგებული რენესანსულ-კლასიცისტურ სტილში გადაწყვეტილი სავაჭრო რიგი და მაღალი კლასის სასტუმროები – „ბელ-ვიუ“ და „ორიენტალი“. ბათუმის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროდ ითვლებოდა „ლონდონი“ (არც ერთი შენობა აღარ არსებობს).

მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ბათუმში უკვე იდგა მართლმადიდებლური, კათოლიკური, სომხური ეკლესიები და სინაგოგა, რაც მოსახლეობის სხვადასხვა აღმსარებლობაზე მიუთითებს. ქალაქი უზრუნველყოფილი იყო სათანადო ინფრასტრუქტურით. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ბათუმს გააჩნდა საკუთარი ფოსტა (ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა). იგი განთავსებული იყო რენესანსულ-ბაროკული არქიტექტურით ნაგებ ორსართულიან შენობაში, რომელიც დომინანტურ როლს ასრულებდა უბნის განაშენიანებაში (ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მემედ აბაშიძის ქუჩაზე მდებარე ნაგებობიდან მხოლოდ ფასადებია გადარჩენილი).

ბათუმი ძირითადად რეგულარულადაა დაგეგმარებული, მხოლოდ ზღვისპირა ძველ უბანში, ახლანდელი ხულოს ქუჩის მიდამოებში, იგრძნობა ადრეული განაშენიანების ასიმეტრიულობა. ქალაქი ძირითადად იმ დროს გაშენდა, როდესაც მსოფლიოს არქიტექტურას გადაუარა ეკლექტიკის ტალღამ. ბათუმშიც შევხვდებით არაერთ რენესანსულ-კლასიცისტურ, ბაროკულ, მოდერნის და კონსტრუქტივიზმის სტილში გადაწყვეტილ შენობას.

საეკლესიო ხუროთმოძღვრება

IV საუკუნეში, ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდეგ, აშკარად დადგა საღვთისმეტყველო ლიტერატურის თარგმნის და ეკლესიების მშენებლობის აუცილებლობა, რაც მოითხოვდა წმინდა მიწაზე არსებულ პირველ ქრისტიანულ სავანეებთან მჭიდრო კულტურულ კავშირებს.

ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ეტაპზე ქრისტეს საფლავის ტაძარში შემუშავებული ღვთისმსახურების წესი წარმოადგენდა აუცილებელ კანონს საეკლესიო რიტუალისათვის, ხოლო VII საუკუნიდან კონსტანტინეპოლი გახდა უძლიერესი ცენტრი, რომელმაც თავისი გავლენა გაავრცელა აღმოსავლეთის სხვა ეკლესიებზე.

ეკლესიების მშენებლობაში დამკვიდრდა ორი ხუროთმოძღვრული ტიპი: ბაზილიკური და ცენტრული ნაგებობები, თუმცა ეს არ იყო სწორხაზოვანი და მარტივად განვითარებული პროცესი. ყველა ქვეყანა ითვალისწინებდა საყოველთაოდ მიღებულ წესებს, მაგრამ ეკლესიებს საკუთარი ტრადიციისა და კულტურის შესაბამისად აგებდა. ქართველმა ოსტატებმა არა მარტო შეითვისეს გარედან შემოტანილი არქიტექტურული თემები, არამედ შემოქმედებითად განავითარეს და გარდაქმნეს ისინი. VI საუკუნეში ადგილობრივ ნიადაგზე შეიქმნა ე. წ. სამეკლესიიანი ბაზილიკა, რომლის მხოლოდ ერთეული ნიმუშების მოძიება შეიძლება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ხოლო საქართველოში ამ ხუროთმოძღვრულმა თემამ განვითარების უწყვეტი გზა განვლო.

VI-VII საუკუნეებში მთელ საქრისტიანოში ბაზილიკური ნაგებობების ნაცვლად გუმბათიან ხუროთმოძღვრულ თემას ენიჭება უპირატესობა. ძველი ქართული არქიტექტურის განვითარების შედეგად ამ მიმართულებითაც უნიკალური, მსოფლიო დონის შედევრები შეიქმნა მცხეთის წმინდა ჯვრის და წრომის ტაძრების სახით.

საეკლესიო მშენებლობაში არქიტექტურასთან მჭიდრო კავშირშია ქვის რელიეფები, რომლის ადრეული ნიმუში V საუკუნიდან ჩანს (ბოლნისის სიონი), VI-VII საუკუნეების მიჯნაზე კი უკვე მაღალ საფეხურზე ადის, რის მწვერვალსაც მცხეთის ჯვრის სკულპტურული გამოსახულებები წარმოადგენს. X-XI საუკუნეების მიჯნაზე რელიეფები საგანგებოდ შემუშავებული, ერთიანად გააზრებული პროგრამის მიხედვით იქმნება, რომელიც ჩართულია ტაძრის დეკორაციულ სისტემაში და რაც ყველაზე კარგად ნიკორწ-

58. **ბოლნისის სიონი. აღმოსავლეთი ფასადი, 478-493 წწ.**

59. **ურბნისის ბაზილიკა, V-VI სს.** 2010 წლის ფოტო.

60. **ბოლნისის სიონი, ინტერიერი.** 1938 წლის ფოტო.

61. **ატენის სიონი, VII ს.**
1985 წლის ფოტო.

62. **მანგლისის ტაძარი, XI ს.**
2007 წლის ფოტო.

63. **ზედა ვარძიის ორნავიანი ეკლესია, X-XI სს-ის მიჯნა**
2007 წლის ფოტო.

64. **მანხუტის ეკლესია, (VI ს.)**
2009 წლის ფოტო.

მინდის ტაძარმა (1010-1014 წწ.) შემოინახა.

განვითარების თავისებური გზა განვლო კედლის მხატვრობამ. ცხადია, აქაც საგრძნობია ბიზანტიის გავლენა, თუმცა ქართული ქრისტიანული მონუმენტური ფერწერა გამოირჩევა თვითმყოფადობით, რაც ვლინდება როგორც შესრულების მანერაში, ასევე თემების შერჩევაში. აღსანიშნავია, რომ გარდა ზოგადქრისტიანული შინაარსის მქონე კომპოზიციებისა, საქართველოში შემუშავდა ეროვნული წმინდანების ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებების მთელი ციკლები.

65. **ვარძიის მონასტრის მთავარი ტაძარი, სამრეკლო და გამოქვაბულები**
2010 წლის ფოტო.

კლდის ძეგლები

ვარძია

საქართველოში მრავალი კლდეში ნაკვეთი ძეგლია – მონასტრები, ეკლესიები, ქალაქი და სოფლები. მათ შორის გამორჩეულია ვარძიის მონასტერი, რომელიც მდებარეობს ქვემო ჯავახეთში. მისი მშენებლობა უკავშირდება თამარ მეფეს (1184-1213). როგორც თამარის უცნობი ისტორიკოსი აღნიშნავს: „ესე ვარძია პირველად დაეწყო სანატრელსა მამასა მისსა გიორგის, გარნა ვერ სრულ ქმნა“. კლდეში გამოკვეთილი ვარძიის მონასტერი მტრისაგანაც საიმედოდ იყო დაცული.

გამოქვაბულების ფასადი ამჟამად ჩამოქცეულია. მიწისძვრებისგან თუ შემოსევებისგან დაზიანებული ვარძიის კლდეში ნაკვეთი მონასტერი საბოლოოდ გაუკაცრიელდა XVI საუკუნეში.

ვარძიის მშენებლობა ძირითადად XII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIII საუკუნის დასასრულამდე მიმდინარეობდა. მონასტრის მთავარი ეკლესიის მოხატულობა, რომელიც ქართლის ერისთავის, რატი სურამელის სახსრებითაა შესრულებული, ზუსტად თარიღდება 1184-1185 წლებით.

კლდის საშუალო ფენაში გამოკვეთილი ვარძიის სამონასტრო ანსამბლი გადაჭიმულია 500 მეტრის სიგრძეზე და მოიცავს 600-ზე მეტ სათავსოს, რომლებიც იარუსებადაა დალაგებული (5-7, ზოგან – 13 იარუსი). გამოქვაბულების ფასადი ამჟამად ჩამოქცეულია. თავდაპირველად მათ გასწვრივ განლაგებული იყო გადახურული დერეფნები, ხოლო სართულები ერთმანეთს უკავშირდებოდა ჭერში გაჭრილი ხვრელებითა და საიდუმლო გვირაბებით.

გამოქვაბულების ფონზე მკვეთრად გამოირჩევა სამრეკლო და კლდეში ნაკვეთი მთავარი ეკლესიის კარიბჭის ორთაღედი. ღმრთის-

66. დავითგარეჯის მონასტრები, წმ. დავითის ლავრა

67. დავითგარეჯის მონასტრები, უდაბნოს მონასტრის მთავარი ტაძარი, წმ. დავით გარეჯელი, ლუკიანე ირმები, XI ს.

მშობლის ტაძრის მოხატულობა შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური ფერწერის გამორჩეულ ნიმუშს წარმოადგენს. მის ჩრდილოეთ კედელზე წარმოდგენილია ქტიტორთა პორტრეტები, სადაც გამოსახულია სამეფო ოჯახი: გიორგი მესამე (1156-1184) და ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა თამარი.

კომპლექსის დასავლეთით განლაგებულია X-XII საუკუნეების კლდის სოფელი ანანაური, რომელიც საერთო ანსამბლშია ჩართული. აქ გვხვდება საინტერესო კლდის სახლები და ეკლესია XIII, XV საუკუნეების მოხატულობით.

ვარძიის გადასარჩენად 1930-იან წლებში დაარსდა მუზეუმ-ნაკრძალი. იმავე წლებში გაიწმინდა გამოქვაბულები ჩამონგრეული მასისაგან. დაცვითი ღონისძიებები დღემდე მიმდინარეობს.

ციხესიმაგრეები

საქართველოში არ არის არც ერთი ხეობა და მნიშვნელოვანი გზა, რომლის გაყოლებაზე არ იდგეს სათავდაცვო ნაგებობის რომელიმე სახეობა: ციხე, ციხე-დარბაზი, გალავანი ან ცალკე მდგომი კოშკი, რომლებიც ლანდშაფტის განუყოფელ ქმნილებებს წარმოადგენს. ამჟამად ნაგებობები უფუნქციოა, მაგრამ წარსულში მათ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

68. **თბილისის დედაციხე.**
2002 წლის ფოტო.

69. **აწყურის ციხე**
2009 წლის ფოტო.

70. **ხერთვისის ციხე**
2008 წლის ფოტო.

სახელმწიფოს ძლიერების პერიოდში ციხეები უმეტესად ქვეყნის სასაზღვრო ზოლში შენდებოდა, ხოლო ქვეყნის სისუსტისა და მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში – მის შიდა ტერიტორიაზე. უმნიშვნელოვანესი ციხესიმაგრეები ერთიან თავდაცვით სისტემას ქმნიდა. მათ შორის განლაგებული კოშკების თავზე ანთებული კოცონის სახით გადაეცემოდა განგაშის სიგნალი, რაც მტრის შემოსევის დროს ხელს უწყობდა ქვეყნის საბრძოლო მზადყოფნაში სწრაფად მოყვანას.

გარდა სახელმწიფოს ძლიერებისათვის აუცილებელი სათავდაცვო ნაგებობებისა, ციხეს სხვა მნიშვნელობაც გააჩნდა. მისი ფლობა აუცილებელ პირობას წარმოადგენდა საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად. შუა საუკუნეებში სასიმაგრო ნაგებობები გააჩნდა არისტოკრატიის შედარებით მცირე შეძლების მქონე პირებსაც. მაგალითად, აზნაური არ იწოდებოდა აზნაურად, თუ მას არ გააჩნდა რაიმე სახის სასიმაგრო ნაგებობა, თუნდაც კოშკი. მსხვილი ფეოდალები კი ციხე-დარბაზების სახით ვრცელ რეზიდენციებს აგებდნენ, სადაც გარდა კოშკებიანი გალავნისა სასახლე და კარის ეკლესიაც იყო.

71. **ხერთვისის ციხის გეგმა და აქსონომეტრიული ნახაზი**

72. **შატილი**
2013 წლის ფოტო.

ციხე-დარბაზებს ბუნებრივად მიუვალ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებზე აგებდნენ. აუცილებელ პირობას წარმოადგენდა აგრეთვე, რომ მის მფლობელს მნიშვნელოვანი გზების გაკონტროლება შეძლებოდა. განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო ციხე-დარბაზების აგება ორი მდინარის შესართავთან – "ხერთვისებში", რადგან გარდა ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, იგი ორი მდინარის გაყოლებაზე არსებულ გზების შესაყარზეც ექცეოდა. „ხერთვისი" წარმოადგენს ზმნა „ერთვის" ხანმეტ ფორმას.

ასეთივე სახელწოდება აქვს საქართველოში არსებულ ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ და სახელგანთქმულ ციხე-დარბაზს, რომელიც მდებარეობს ქვემო ჯავახეთში, მტკვრისა და ჯავახეთის მტკვრის შესართავთან. ხერთვისი შედარებით კარგად შემონახული სათავდაცვო ნაგებობაა, რომელიც თითქმის რვაასი წლის მანძილზე უწყვეტად ფუნქციონირებდა, თუმცა საისტორიო წყაროები მის კიდევ უფრო დიდ სიძველეზე მოგვითხრობს, მაგრამ მისი ისტორია უფრო მეტად X საუკუნიდანაა ცნობილი.

ციხე-დარბაზმა არაერთი განახლება განიცადა საუკუნეების მანძილზე. შესაბამისად, იცვლებოდნენ მისი მფლობელებიც. სხვადასხვა დროს ხერთვისის ყველა მფლობელმა შეიტანა გარკვეული ცვლილებები მის ხუროთმოძღვრულ ორგანიზმში. განახლების ინიციატორები იყვნენ მაღალი წრის საერო პირები ან დამპყრობლები, რომლებიც ხანგრძლივად ფლობდნენ ციხეს.

ქვეყნის სასაზღვრო ზოლში განლაგებული იყო ციხე-სოფლები, როგორიცაა შატილი და მუცო.

73. **გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ ოდა-სახლი, აბაშის რაიონი**
2010 წლის ფოტო.

74. **ალპანა, ტრადიციული ხალხური საცხოვრებელი**
2010 წლის ფოტო.

საცხოვრებელი და გარემო

ადამიანის საცხოვრებელი დიდად არის დამოკიდებული გარემოზე. საქართველოს მრავალსახოვანი ბუნება განაპირობებს საცხოვრებელი ნაგებობების არაერთი ტიპის არსებობას.

შუა საუკუნეების საქართველოში არსებობდა საცხოვრებლის რამდენიმე ტიპი: კოშკი, დარბაზი, ბანიანი სახლი და შენობები ანფილადური გეგმარებით, რომელსაც გააჩნდა ერთმანეთის გვერდზე მწკრივად დალაგებული სათავსები.

ანფილადური გეგმარება აქვს ფეოდალებისა და სასულიერო პირების VIII-IX საუკუნეების სასახლეებს (კვეტერა, ნეკრესი, ვანთა, ვაჩნაძიანი და სხვ.). ამ ტიპის შენობის მთავარი პრინციპია გარე სამყაროსთან კონტაქტის მაქსიმალურად დამყარება. იგი არ არის ჩაკეტილი და აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილმდებარეობის შერჩევას.

ნაგებობა იგებოდა ისეთ ადგილზე, საიდანაც ფართო პანორამა იშლებოდა. სასახლეს აუცილებლად გააჩნდა დიდი, იატაკიდანვე გაჭრილი სარკმლები. მსგავსი ტიპის სასახლეები გვიან შუა საუკუნეებში და XIX საუკუნის დასაწყისშიც შენდებოდა (ნინოწმინდა, ხობი, ახალგორი, ბოდბის სასახლე). ისიც აღსანიშნავია, რომ ძირითადად ანფილადური გეგმარება დაედო საფუძვლად მეცხრამეტე საუკუნის საცხოვრებელ სახლებს თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში.

თავისებურად აისახა აღმოსავლური (ირანული) გავლენები გვი-

75. **კვეტერა, საეპისკოპოსო სასახლე IX-X სს.**
2010 წლის ფოტო.

76. **საკირე, კარმიდამო**
2000 წლის ფოტო.

ანი შუა საუკუნეების საცხოვრებელ არქიტექტურაზე. ტრადიცია იმდენად ღრმა და ძლიერი იყო, რომ იგი მხოლოდ შენობათა გაფორმებაში გამოვლინდა, გეგმარება და საერთო მასები განვითარების ძველ ხაზს აგრძელებდა.

დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა ხალხური შემოქმედება, სრულიად განსხვავებულია მთისა და ბარის საცხოვრებელი. სასაზღვრო ზოლში (სვანეთი, თუშეთი, ხევსურეთი, ზემო რაჭა) შემონახულია ტრადიციული კოშკური საცხოვრებლების მთელი კომპლექსები, რომლებიც საცხოვრებელთან ერთად თავდაცვით ფუნქციასაც ითავსებდა. აღსანიშნავია აგრეთვე მათი მდგრადობა ბუნებრივი კატაკლიზმების მიმართ (მიწისძვრები, ზვავები). როგორც ბატონიშვილი ვახუშტი აღნიშნავს, მთიელები „...აღაშენებენ სახლთა უსარკმლოდ, და მრავალსა ერთმანეთსა ზედა, და კოშკსა ფიქალთა ქვათაგან მიწით, მაღალს კლდე-გორიანსა ზედა, ვინაბთგან გამოუნახავთ უმჯობესად ზუავისა კუეთებისათჳს, რამეთუ არღარა ეკუეთვის, გარნა ავიდეს რა კაცი კოშკსა შინა, ირყევის და არა დაირღუევის, არამედ დგას მტკიცედ“ (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973).

77. **საკირე, სასიმინდე**
2000 წლის ფოტო.

78. **საკირე, ტრადიციული ხალხური საცხოვრებელი**
2000 წლის ფოტო.

სავარჯიშო 1
საველე გაკვეთილი არქეოლოგიურ ძეგლზე

საველე გაკვეთილამდე მასწავლებელმა მოსწავლეებისათვის უნდა მოიძიოს შერჩეული ძეგლის რუკა, აუხსნას მათ შეთავაზებული მარშრუტი და მიაწოდოს აუცილებელი ინფორმაცია ძეგლის ისტორიისა და ურბანული ხასიათის უკეთ აღსაქმელად. ძეგლის დათვალიერებისას მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს დღემდე შემორჩენილ სიძველეებზე და ისეთ დეტალებზე, როგორიცაა: მხატვრული გადაწყვეტა, აბანოები, ამფითეატრები, სანათლავი, ა. შ.

მიზნები	• ისწავლონ რუკის წაკითხვა და შეძლონ ძეგლის ტერიტორიაზე ორიენტირება; • მოსწავლეებმა შეძლონ ძეგლის ისტორიული და არქიტექტურული კონტექსტის აღქმა.
ადგილმდებარეობა	• საკლასო ოთახი • ძეგლი
აღჭურვილობა	• ძეგლის არეალის რუკა (A3 ფორმატი) • რვეული/თაბახის ფურცელი • კალამი/ფანქარი
მიმდინარეობა	ველზე ყოფნისას: • სთხოვეთ მოსწავლეებს, რუკაზე აღნიშნონ მარშრუტი და ყველა ძირითადი ძეგლი, რომელსაც დაათვალიერებენ. ძეგლის მონახულების შემდეგ საკლასო ოთახში: • სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩამოწერონ ფურცელზე, თუ რამ მოახდინა მათზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება (მაგ.: ნანგრევების დიდებულებამ, ისტორიამ, ლანდშაფტის მომხიბვლელობამ, ძეგლის ფიზიკურმა მდგომარეობამ, ა. შ.); • მიამაგრეთ ფურცლები კედელზე და ერთმანეთს შეადარეთ განსხვავებული შეხედულებები ძეგლის შესახებ; მოსწავლეებთან ერთად გამოყავით ძეგლის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები და განიხილეთ, რამდენად ღირებულია ეს მათთვის.

სავარჯიშო 2
გასეირნება ძველ ქალაქში

79. **ფლორენცია, ისტორიული ცენტრის ნაწილის ხედი.**

80. **თბილისი, ისტორიული ცენტრის ნაწილის ხედი.**

ძველი ქალაქის მონახულებამდე მასწავლებელმა უნდა დაურიგოს მოსწავლეებს ძველი ქალაქის რუკა, აუხსნას მარშრუტი და მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია ქალაქის ისტორიისა და მისი განვითარების გასაცნობად.

მიზნები	• ისწავლონ რუკის წაკითხვა და შეძლონ ისტორიული ქალაქის ტერიტორიაზე ორიენტირება და ისტორიული და არქიტექტურული კონტექსტის აღქმა.
ადგილმდებარეობა	• საკლასო ოთახი • ძეგლი
აღჭურვილობა	• ძეგლის რუკა (სასურველია A3 ფორმატის) • რვეული/თაბახის ფურცელი • კალამი/ფანქარი
მიმდინარეობა	საველე გაკვეთილზე: • სთხოვეთ მოსწავლეებს, რუკაზე აღნიშნონ მარშრუტი და ყველა ძირითადი ძეგლი, რომელსაც დაათვალიერებენ. საკლასო ოთახში: • ძეგლის მონახულების შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩამოწერონ ფურცელზე, თუ რამ მოახდინა მათზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ძველი ქალაქის დათვალიერებისას (მაგ.: ძეგლის ისტორიამ, დიდებულებამ, ძეგლთან დაკავშირებულმა ლეგენდამ ან ისტორიულმა პიროვნებამ, ადგილის სულმა*, ქუჩების სივიწროვემ). რა მოეწონათ ან არ მოეწონათ? და რატომ? რომელმა შენობებმა მიიპყრო მათი ყურადღება და რატომ? მოსწონთ ისტორიულ ქალაქში ცხოვრება ან ისურვებდნენ ისტორიულ უბანში/ქალაქში ცხოვრებას? • სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოთქვან თავიანთი თვალსაზრისი ქალაქის ცენტრში ცხოვრების დადებით და უარყოფით მხარეებზე; • მიამაგრეთ ფურცლები კედელზე და შეადარეთ განსხვავებული აზრები; მოსწავლეებთან ერთად გამოყავით ისტორიული უბნის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები და გაიგეთ, რის შენარჩუნებას ისურვებდნენ ისინი ყველაზე მეტად.

* ადგილის სული (Genius loci) – კულტურული მემკვიდრეობის დარგში გამოიყენება, როგორც ღირსშესანიშნავი ადგილის, კომპლექსური, მრავალ ფორმაში გამოხატული ხასიათის აღმნიშვნელი ტერმინი. ადგილის სულს ქმნის მატერიალურ და არამატერიალურ ფასეულობათა ერთობლიობა. ადგილის სული ამა თუ იმ ფორმით, პრაქტიკულად, სამყაროს ყველა კულტურაში არსებობს.

სავარჯიშო 3
საველე მოკვლევა და მონიტორინგი

ძეგლის მენეჯერებმა მასწავლებლებთან ერთად მოკვლევისათვის უნდა შეარჩიონ განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტი. თუ შესაძლებელია, ძეგლზე პასუხისმგებელი პირები უნდა ჩაერთონ პროცესში და დაეხმარონ მოსწავლეებს.

მიზნები	• მოსწავლეთა დაკვირვების უნარის სტიმულირება; • მოსწავლეთა დახმარება ძეგლის არქიტექტურული ელემენტების ამოცნობასა და მათი კონსერვაციის მდგომარეობის განსაზღვრაში.
ადგილმდებარეობა	• ძეგლი • საკლასო ოთახი
აღჭურვილობა	• ფოტოაპარატი; • დასაკეცი სიგრძის საზომები, მარკერები • სახატავი რვეული და ფურცელი • კალამი/ფანქარი
მიმდინარეობა	ძეგლზე ყოფნისას: • დაყავით მოსწავლეები პატარა ჯგუფებად და სთხოვეთ, გამოიკვლიონ ძეგლი სხვადასხვა საშუალებით: გადაიღონ ფოტოები, გააკეთონ ჩანახატები, შეასრულონ აზომვითი სამუშაოები და შეადგინონ შეძლებისდაგვარად ზუსტი გეგმა; • მოსწავლეები კვლევას დაასრულებენ ტექსტის დაწერით, რომელშიც აქცენტები უნდა დაისვას შემდეგ საკითხებზე: 1) ისტორია (როდის და ვის მიერ აშენდა ძეგლი? როგორ იცვალა მან სახე დროთა განმავლობაში?); 2) მშენებლობა (როგორ არის ძეგლი აგებული? რა მასალაა გამოყენებული? როგორია სამშენებლო ტექნიკა?); 3) დანიშნულება (რა იყო მისი თავდაპირველი ფუნქცია? როგორ შეიცვალა მისი ფუნქცია საუკუნეების მანძილზე?); 4) სტილი (რომელმა სტილმა იქონია გავლენა არქიტექტურაზე? რა დამახასიათებელი ელემენტები აქვს ამ შენობას? როგორია მისი მორთულობა?); 5) კონსერვაციის მდგომარეობა (დაზიანებულია თუ არა ძეგლი? შესამჩნევია თუ არა დაზიანების ან რესტავრაციის კვალი, სად? რაში მდგომარეობს ძეგლის და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაცვის პრობლემები? 6) ღირებულება (გააჩნია თუ არა ძეგლს განსაკუთრებული ღირებულება ან მნიშვნელობა მოსწავლეთათვის? და თუ კი, კონკრეტულად რა? საველე გაკვეთილის შემდეგ, საკლასო ოთახში: • სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, გააკეთოს პრეზენტაცია ჩატარებული სამუშაოს შესახებ მთელი კლასისთვის.



81. თბილისი, საცხოვრებელი სახლი, გომის ქ. 5,12 ანაზომი

82. თბილისი, საცხოვრებელი სახლი, ასკანის I ჩიხი N4, რესტავრაციის პროექტი



83. მცხეთის წმ. ჯვრის დიდი ტაძარი ჭრილი, ხედი აღმოსავლეთით, კროკი.



84. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი „ქარვასლა“ აღმოსავლეთი ფასადი, ფასადის კროკი და ანაზომი

სავარჯიშო 4
ჰიპოთეზის ფორმულირება

არქეოლოგის ერთ-ერთი ამოცანაა, მიაგნოს სამხილს წარსულის სურათის აღსადგენად, რომელიც ხშირად ყოველდღიური მოხმარების საგნებში იმალება. შემოთავაზებული თამაში მიზნად ისახავს არქეოლოგთა მიერ გამოყენებული დედუქციის მეთოდის გამოყენების წახალისებას, რათა მოსწავლემ შეძლოს ჰიპოთეზის დონეზე აღადგინოს წარსული.

მიზნები	• მოსწავლეთა დაკვირვების და კვლევა-ძიების უნარის სტიმულირება; • მოსწავლეთა დახმარება ჰიპოთეზის ფორმულირებაში შეგროვილი/მოკვლეული მასალის ანალიზის საშუალებით.
ადგილმდებარეობა	• საკლასო ოთახი
აღჭურვილობა	• ორი ცალი სამომხმარებლო ნარჩენების პარკი, რასაც მასწავლებელი გამოიყენებს ინფორმაციის შესაგროვებლად იმ ოჯახზე, ვისაც ეკუთვნის აღნიშნული ნარჩენები (მაგ.: რძის ყუთი, დახეული კონვერტი, ტუჩსაცხი, გამსკდარი ბუშტი, თოჯინა, სიგარეტის ნარჩენები, ნაწერი ფურცლები, და ა. შ.).
მიმდინარეობა	პირველ ყოვლისა, მოიფიქრეთ, როგორ შექმნათ წარმოსახვითი ოჯახის სურათი (ოჯახის წევრთა რაოდენობა, თითოეული მათგანის ასაკი, მათი საქმიანობა, როგორ იკვებებიან, და სხვ.). შემდეგ ამ წარმოსახვითი ოჯახის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, აავსეთ პარკები ყველა იმ ელემენტით, რაც იძლევა ინფორმაციას მათი ცხოვრების წესზე; • დაყავით კლასი ორ ჯგუფად და დაურიგეთ მათ ნარჩენებით სავსე პარკები; • სთხოვეთ მოსწავლეებს, გააანალიზონ პარკების შიგთავსი და აღმოჩენილ მასალაზე დაყრდნობით ააგონ ჰიპოთეზა ამ ოჯახის შესახებ; • სთხოვეთ მოსწავლეებს, მიამაგრონ ფურცლები კედელზე და შეადარონ მათ მიერ ჩამოყალიბებული პასუხები.

თავი 3

კულტურული მემკვიდრეობის საფრთხეები და დაზიანების მიზეზები

გაკვეთილის მიზანი

ამ თავის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს:

- გააცნობიეროს, რომ კულტურული მემკვიდრეობა სათუთი ფენომენია და მოითხოვს სათანადო დაცვას;
- გაარკვიოს და მოახდინოს კლასიფიკაცია იმ ძირითადი საფრთხეებისა, რის წინაშეც ზოგადად დგას კულტურული მემკვიდრეობა; გაარჩიოს იმ დაზიანების ფორმები, რაც გავლენას ახდენს კონკრეტულ არქეოლოგიურ ძეგლზე ან ისტორიულ განაშენიანებაზე.

85. **ტაბაკინი, XVI-XVII საუკუნის კედლის მხატვრობა, დასავლეთი კედლის მოხატულობის კომპოზიციის ფრაგმენტი**
2010 წლის ფოტო.

3

ინსტრუქციები მასწავლებლებისათვის

ეს თავი მიზნად ისახავს, მოსწავლის ყურადღება გაამახვილოს იმ საშიშროებებზე, რაც საფრთხეს უქმნის კულტურულ მემკვიდრეობას ისევე, როგორც მათთვის პირადი ფასეულობის მქონე საგნებს სახლში.

ველზე, ძეგლის დათვალიერებისას პედაგოგმა უნდა მიუთითოს (სადაც ეს შესაძლებელია) ძეგლების დაზიანების და მათი კონსერვაციის ასპექტებზე. ამ დავალების შესრულებაში დაეხმარება ძეგლის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს მათ საჭირო ინფორმაციით.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეს ავუხსნათ, რომ ყველა ტიპის მასალა, შინ თუ გარეთ, ზიანდება ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ზემოქმედების შედეგად.

კლასში ჩატარებული პრაქტიკული ექსპერიმენტები დაეხმარება მოსწავლეებს, აღიქვან მასალებზე გარკვეული ზემოქმედების შედეგად მიღებული რეაქციები, როგორიცაა: კრისტალიზაცია, დაბინძურება და ა. შ.

საბაზისო ინფორმაცია

რა საფრთხის წინაშე დგას ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა დღეს?

ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა არ არის მუდმივი. მისი დაზიანება შეუქცევადი პროცესია, რომელიც შეგვიძლია დროში გავწელოთ, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ ავიცილებთ. ადამიანები ვერ აცნობიერებენ ამ ფაქტს. ვინაიდან მემკვიდრეობა გადაურჩა ასწლეულებს და ათასწლეულებსაც კი, ხალხს ჰგონია, რომ ის მარადიულია. სინამდვილეში, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტრადიციები იკარგება, ხოლო ნებისმიერი წარმოშობის მასალა, რისგანაც შექმნილია ძეგლი, თუ საგანი, დროთა განმავლობაში ზიანდება ფიზიკური, ბიოლოგიური ან ქიმიური ზეგავლენების შედეგად.

დაზიანებას განსაზღვრავს გარემო, შენახვის პირობები და მასალა, რომლისგანაც ის მზადდება. მაგალითად, გრანიტი და პორფირი მაგარი და უკიდურესად გამძლე ქვებია. ქვიშაქვა კი პირიქით, შედარებით მყიფეა და ადვილად ექვემდებარება ქარითა და წყლით გამოწვეულ ეროზიას. როგორც წესი, მდგომარეობის გაუარესება შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს, თუკი ძეგლის გარემო და საგნის შენახვის პირობები მეტ-ნაკლებად სტაბილურია.

ამ ბოლო ასი წლის განმავლობაში კულტურული მემკვიდრეობა სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, არა მხოლოდ ბუნებრივი პროცესების, არამედ ისეთი სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების გამოც, როგორიცაა: ურბანული განვითარება, მზარდი ტუ-

86. **ქვის ეროზია.**
მცხეთის წმინდა ჯვრის დიდი ტაძარი, ჯვრის ამაღლების კომპოზიცია, ფრაგმენტი.
2007 წლის ფოტო.

დაზიანებები საომარი მოქმედებების შედეგად:

87. მოსტარი, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორია.

88. სასტუმრო თბილისი, ყოფილი სასტუმრო „კავკაზი“, 1991 წ.

რიზმი და ეთნიკური ან რელიგიური კონფლიქტები. ანალოგიური ფაქტორები სერიოზული რისკის ქვეშ აყენებს არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას: ზეპირსიტყვიერ ტრადიციებს, ადათ-წესებსა და ხალხურ ხელოვნებას.

ამასთანავე, მსოფლიოში კულტურულ მრავალფეროვნებას უმნიშვნელოვანეს საფრთხეს უქმნის გლობალიზაცია, რაც განსაკუთრებულ აქტუალობას სძენს ადგილობრივი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, როგორც ეროვნული თუ რეგიონული იდენტობის განმსაზღვრელი ღირებულების დაცვის საკითხს.

ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის წინაშე მდგარი საფრთხეები როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანური ფაქტორით შეიძლება იყოს განპირობებული. ეს საფრთხეები რისკის ქვეშ აყენებს ნაგებობებს, ძეგლებს, ისტორიულ და არქეოლოგიურ ადგილებსა და მუზეუმებში დაცულ ხელოვნების ნიმუშებს. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე ასეთი მაგალითი:

- **კლიმატი (ყინვა, მზე, წვიმა)**

  დღე-ღამის განმავლობაში ტემპერატურის ხშირი ცვალებადობა (როცა ტემპერატურა ციკლურად 0°-ის ფარგლებში იცვლება) იწვევს კედლის წყობაში შეღწეული წყლის აორთქლებას და კონდენსირებას ან მის გაყინვასა და დნობას. მსგავსი გაყინვა/დნობის ციკლები დროთა განმავლობაში საგრძნობლად აზიანებს ნებისმიერ მასალას.
- **დაბინძურება (სამრეწველო და გაზის გამონაბოლქვები)**

  დამაბინძურებლების წვიმის წყალთან (მჟავე წვიმა) შერევა იწვევს საშენი მასალის ჩაშავებას და ეროზიას. დაბინძურება არის ძეგლის დაზიანებისა და ცვეთის უმთავრესი მიზეზი. განსაკუთრებით მარმარილოს, კირქვისა და კირხსნარით ნაშენი ნაგებობებისათვის. დაბინძურება სერიოზულ ზიანს აყენებს ბრინჯაოსაც.
- **გათბობის, სანთლების, ბუხრის და მსგავსი ენერგიის წყაროების ზემოქმედებით შესაძლოა დაბინძურდეს შენობების შიდა ატმოსფეროც.**
- **მიწისძვრები, წყალდიდობები და ვულკანური ამოფრქვევები**
- **ომები, ვანდალიზმი**
- **სინათლე**

89. **სასტუმრო თბილისი საომარი მოქმედებების შემდეგ, 1991 წ.**

90. **იკორთის ტაძარი (1172 წ.) დაზიანება 1991 წლის მიწისძვრის შემდეგად.**

91. **აბასთუმანი, სამეფო სასახლე, 2007 წლის ხანძრის შემდეგ**

ხილული და ულტრაიისფერი სხივები ისევე, როგორც ნათებით გამოყოფილი სითბო, იწვევს ორგანული წარმოშობის ობიექტების (ქაღალდი, ხე, ტექსტილი, ფოტოსურათები და სხვ.) გამოშრობას, ხმობას, გახუნებას და გაუფერულებას.

- **ტენიანობა, ნესტი და აღმავალი ნესტი.**

  კონკრეტული მასალის მახასიათებლების შესაბამისად, ჭარბ-ტენიანობას სხვადასხვა სახის ზემოქმედების გამოწვევა შეუძლია. მაგალითად, ის იწვევს მეტალის კოროზიას, ქაღალდის გაბერვას და ხის მასალის გაფართოებას. წყალი სახლის საძირკვლის და აგურის ან ქვის წყობის დაზიანების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. წყალი აძლიერებს დამაბინძურებელი ნივთიერებების ურთიერთქმედებას, ხელს უწყობს მიკროორგანიზმების და სარეველა მცენარეების ზრდას, ხავსის მოკიდებას და გამოყოფს ხსნად მარილებს, რაც წარმოშობს ეროზიას.
- **ცხოველები (ჩიტები, პარაზიტები, მავნებლები და სხვ.)**

  ხე, ტყავი, მატყლი და ქაღალდი თაგვების, ვირთხებისა და სხვადასხვა ტიპის მწერებისთვის სასურველი საკვებია. ჩიტის და ღამურას სკორე შეიცავს მჟავებს, რაც ქვისა და ბრინჯაოს კოროზიას იწვევს.
- **უყურადღებობა და/ან მიტოვება**

  როცა შენობა აღარ გამოიყენება კონკრეტული დანიშნულებით, ამ შემთხვევაში საგრძნობლად უარესდება მისი საერთო მდგომარეობა და მკვეთრად იზრდება დაზიანებისა და ცვეთის ხარისხი, ვინაიდან უკვე აღარავინ არის დაინტერესებული ამ შენობის მოვლა-პატრონობით.
- **სათანადო კანონმდებლობის ნაკლებობა**
- **განძის მაძიებლები**

  განძის მაძიებელთა მიერ წარმოებული არალეგალური გათხრები და ლითონის დეტექტორის გამოყენება დიდ ზიანს აყენებს არქეოლოგიური მემკვიდრეობის ძეგლს. მეცნიერული ზედამხედველობის გარეშე ჩატარებული გათხრები ანადგურებს ისტორიულ ინფორმაციას და მასალას. აღნიშნული ხელს უშლის არქეოლოგებს წარსულის სწორად ინტერპრეტაციაში. ასეთი ვითარება, თავის მხრივ, ხელსაყრელ პირობას ქმნის სიძველეთა არალეგალური ვაჭრობისათვის, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან

იძარცვება ქვეყნის ისტორიული წარსული.

- **ურბანული განვითარება**

  მოსახლეობის მატების მზარდი ტემპი და გაფართოებაზე მოთხოვნა იწვევს უკონტროლო ურბანულ განვითარებას, რის შედეგადაც ნადგურდება უძველესი და თვითმყოფადი ხასიათის ნაგებობები. არქეოლოგიური ძეგლების შემთხვევაში, მოჭარბებული ტურიზმით განპირობებული ურბანული განვითარება ემუქრება ძეგლის გარშემო ლანდშაფტის სილამაზესა და მთლიანობას.

აღნიშნული ფაქტორების კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შედეგი განსხვავებულია. ზოგი მათგანი ძეგლს მყისიერად და სამუდამოდ აზიანებს (მაგალითად, მიწისძვრები, ხანძარი და ომი), სხვები კი თანდათანობით და შესაბამისად, მათი ზემოქმედების შედეგიც მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ ხდება ხილული, როგორც კოროზიის, ნესტის, სინათლისა ან დაბინძურების შემთხვევებში.

არქეოლოგიური ძეგლები განსაკუთრებით დაუცველია კლიმატური პირობების, ქურდობის, ვანდალიზმის, არალეგალური გათხრებისა და ტურიზმის ნეგატიური ზეგავლენისაგან, მაშინ, როდესაც ისტორიული ცენტრების ძირითად საფრთხეს უკონტროლო ურბანული განვითარება (ახალი გზების, ავტოსადგომების, ახალი ნაგებობების, დამატებითი სართულების მშენებლობა), შეუფერებელი მოდიფიკაციები ან ფუნქციის შეცვლა, გადატვირთული მოძრაობა, დაბინძურება, ტურიზმი და სათანადო კანონების ნაკლებობა განაპირობებს.

კულტურული მემკვიდრეობის წინაშე მდგარი საფრთხეების უკეთ გასაგებად იხილეთ ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა:

კულტურული მემკვიდრეობის საფრთხეები



92-93. **ძეგლის დაზიანება ვანდალიზმის შედეგად**

ტერმინები

ორგანული მასალა

ეს ტერმინი აღწერს ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის (ყოფილი საარსებო წყარო) მასალებს. ასეთებია: სპილოს ძვალი, მატყლი, ტყავი, ხე, ქაღალდი და სხვა. ორგანული წარმოშობისაა აგრეთვე პლასტმასისაგან დამზადებული მასალები, როგორიცაა: პოლიეთილენი (PE), რომელიც მინერალური წყლის ბოთლისთვის გამოიყენება, ან პოლივინილის ქლორიდი (PVC), რომელიც საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოიყენება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნავთობიდან კომპლექსური ქიმიური პროცესის გზით მიიღება.

არაორგანული მასალა

ეს ტერმინი აღწერს არაცოცხალი წარმოშობის ანუ მთის ქანების ან მინერალებისგან (არაცოცხალი წყარო) წარმოშობილ მასალებს, როგორიცაა: მარმარილო, ოქრო, რკინა, თიხა, ბრინჯაო, აგური და სხვა. როგორც წესი, არაორგანული წარმოშობის მასალები გაცილებით მდგრადი და გამძლეა (ლპობა, გახრწნა), ვიდრე ორგანული წარმოშობისა.

დაზიანება/ცვეთა

ეს არის დაზიანების ნელი პროცესი, რომელსაც ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური ფაქტორები განსაზღვრავს. სათანადო ზომების გატარებამ შესაძლოა შეაჩეროს ან შეანელოს ეს მოვლენა.

ბიოდაზიანება

ეს ტერმინი აღნიშნავს მასალაში არასასურველ ცვლილებებს, რომელიც გამოწვეულია მიკროორგანიზმებისა და ორგანიზმების აქტივობით. ასეთებია: ბაქტერია, სოკო, წყალმცენარე, ლიქენი, ხავსი, ხეები, სარეველა მცენარეები და ცხოველები. ამათგან, ზოგი პირდაპირ საკვებად იყენებს გარკვეულ მასალებს (მწერები, თაგვები და



94. ქვის დაზიანება, გელათის წმინდა გიორგის ტაძარი

95. მარილის კრისტალიზაცია ქვის ზედაპირზე, ატენის სიონი

96. საფასადო ქვის დაზიანება (ალვეოლიზაცია), მცხეთის წმინდა ჯვრის დიდი ეკლესია

97. ქვის დაზიანება (კიდეების ჩამოტეხვა), გელათის წმინდა გიორგის ტაძარი

სხვ.). დანარჩენი კი ქიმიური რეაქციების ზემოქმედებით მჟავასა და კოროზიულ ნივთიერებებს წარმოქმნის და მასალაზე მხოლოდ ირიბად მოქმედებს. ზოგმა შესაძლოა, იგი ფიზიკური ან მექანიკური ზემოქმედებით დააზიანოს (მაგ.: ხის ფესვებს შეუძლია, დაბზაროს მიწისქვეშა მილები, ხოლო მხოხავი მცენარეები აზიანებს ნაგებობის კედლებს). ისეთი გარემო ფაქტორები, როგორიცაა: წყალი, სინათლე, სითბო და ქარი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ამ მავნე მიკროორგანიზმების განვითარებას, რომლებიც აქტიურ როლს ასრულებენ როგორც ორგანული ასევე არაორგანული მასალების დაზიანებაში.

ფორიანობა

ფორი არის ბუნებრივ ქვასა და ხელოვნურ საშენ მასალაში (კირხსნარი ან აგურები) არსებული ერთგვარი, ცარიელი სივრცე. ფორიანობა განისაზღვრება კლდოვან ქანში ან მასალაში არსებული ამ ცარიელი სივრცეების მთლიანი რაოდენობით (მოცულობა, რომელიც შეიძლება შეიცავდეს სითხეს). ზოგიერთი ქანი, მაგ., კირქვა და ქვიშაქვა, ძალიან ფოროვანია, სხვა ქანები, მაგ., გრანიტი ან მარმარილო – ნაკლებად. წყალსა და ფორიანობას შორის მიმდინარე ურთიერთქმედების პროცესი ქვის დაზიანების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. წყა-

ლი მასალაზე სხვადასხვა გზებით ზემოქმედებს, მისი გაყინვა და დნობა უარყოფითი დატვირთვაა. წყალი შეიძლება მავნე მარილების მატარებელი იყოს (იხ. კრისტალიზაცია), ან წარმოქმნას ქიმიური რეაქცია განსაკუთრებით, დამაბინძურებელი ნივთიერებების შემთხვევაში.

კრისტალიზაცია

კრისტალიზაცია არის სითხისგან კრისტალების შექმნის პროცესი. შენობის ქსოვილში მარილების კრისტალიზაცია ამ ნაგებობის დაზიანების უმთავრესი მიზეზია. წყალი გაჯერებულია მარილებით, რომელიც თავის მხრივ, ან სამშენებლო მასალაშია, ან მიწიდან არის შეწოვილი, ან ატმოსფერული წარმომავლობისაა. არსებობს სხვადასხვა სახეობის ხსნადი მარილები და მათ მიერ მიყენებული ზიანიც შესაძლოა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. წყლის მთლიანად აორთქლებასთან ერთად იწყება მარილების კრისტალიზაციის პროცესი, რაც იწვევს ისეთ მოვლენებს, როგორიცაა: გამომარილება, ბზარების გაჩენა, კოროზია, ინკრუსტაცია, ქრომატული ცვლილებები და სხვა. მარილების თითოეული ნაირსახეობა იწვევს განსხვავებული ხასიათის რეაქციასა და დაზიანებას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს შენობის ზედაპირსა და სტრუქტურაზე.

ქვა და კლდოვანი ქანები

ქვა და კლდოვანი ქანები შესაძლოა, ერთი ან მეტი მინერალის ერთობლიობისგან შედგებოდეს. მათი კლასიფიცირება შემდეგნაირად შეიძლება:

- ვულკანური წარმოშობის ქანების ფორმირება ხდება *მაგმას*[1] გაცივებისა და *სოლიდიფიკაციის*[2] გზით (მაგ.: გრანიტი, ბაზალტი, პორფირი). როგორც წესი, ვულკანური წარმოშობის ქანები რეზისტენტულია მჟავა ნივთიერებათა მიმართ და ძალიან გამძლეა;
- დანალექი ქანები ადრე არსებული ქანების დაშლის ან ქიმიური პროცესების ზემოქმედების შედეგად წარმოიშობა და ილექება ქარის, წყლისა და მყინვარების მეშვეობით (მაგ.: ქვიშაქვა, ვულკანური წარმოშობის ტუფი, კირქვა, ტრავერტინი[3]). შემადგენლობიდან გამომდინარე, დანალექი ქანების ფიზიკური თვისებები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც ართულებს მათი გამძლეობის და მჟავა ნივთიერებათა მიმართ რეზისტენტულობის დადგენას;
- მეტამორფული[4] ქანები წნევისა და სითბოს ზეგავლენით ადრე არსებული ქანების ტრანსფორმაციის გზითაა მიღებული. ამ კატეგორიაში ყველაზე ცნობილია მარმარილო, რომელმაც ფართო აღიარება მოიპოვა ანტიკურ ეპოქაში და გამოიყენებოდა პრესტიჟულ ნაგებობებსა და ძეგლებში. მარმარილო მგრძნობიარეა მჟავა ნივთიერებათა (დამაბინძურებელთა) მიმართ.

1 მაგმა [Magma] – ვულკანის მოქმედების შედეგად დედამიწის სიღრმიდან ამოტყორცნილი გამდნარი სილიკატური მასა.
2 სოლიდიფიკაცია [Solidification] – ნივთიერების მყარ მდგომარეობაში გადასვლის პროცესი – მაგ.: თხიერი სახიდან მყარში გადასვლა.
3 ტრავერტინი [Travertine] – ფორიანი, მცირე სიმკვრივის ნახევრად კრისტალური მყარი წვრილმარცვლოვანი ქანი, რომელიც წარმოიქმნება ცხელი ან ცივი წყაროებისგან.
4 მეტამორფიზმი [Metamorphism] – გეოლ. ქანების აგებულებასა და შემადგენლობაში მიმდინარე ცვლილებათა პროცესი.

სავარჯიშო 1
როგორ ზიანდება მასალები

ყოველდღე როგორც სახლში, ასევე გარეთ, ცხადად ვხედავთ ფიზიკურ, ქიმიურ თუ ბიოლოგიურ მიზეზთა გამო, ჩვენ მიერ გამოყენებული ან ჩვენ გარშემო არსებული მასალების დაზიანების მტკიცებულებებს. ხალიჩები ცვდება, ქსოვილი ხუნდება, მანქანები იჟანგება, ფეხსაცმელი ზიანდება წვიმის გამო და სხვა.

მიზნები	• იმ ძირითადი ფაქტორების გარკვევა, რაც ზიანს აყენებს ძველ მასალებს, მათ შორის იმ მასალებსაც, რაც ჩვენს გარემოცვაშია; • წაახალისეთ მოსწავლეები, გამოიკვლიონ, თუ როგორ რეაგირებს მასალები ამ ფაქტორებზე.
ადგილმდებარეობა	• საკლასო ოთახი
აღჭურვილობა	• რვეული/თაბახის ფურცელი • კალამი/ფანქარი
მიმდინარეობა	• დაიწყეთ იმის ახსნით, თუ როგორ აზიანებს მასალებს სითბო, წყალი, სინათლე, ცხოველები და ასევე ყოველდღიური გამოყენება; • სთხოვეთ მოსწავლეებს, აღწერონ დაზიანების და მდგომარეობის გაუარესების სულ ცოტა ხუთი მაგალითი, რომელსაც ისინი სახლში აკვირდებოდნენ (ქსოვილი, ქაღალდი, ტყავი, ლითონი, ბათქაში, ხე და სხვ.) და დაადგინონ დაზიანების გამომწვევი მიზეზები; • განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად, რა ზომები უნდა იქნეს მიღებული სახლის პირობებში განსხვავებული დაზიანებების თავიდან ასარიდებლად. უთხარით მოსწავლეებს, შეეკითხონ მშობლებს, როგორ ეპყრობიან, ინახავენ ან იცავენ შენობას და მის შემადგენელ ელემენტებს, ავეჯს, ქსოვილებს და სხვა ღირებულ ნივთებს ოჯახში.

სავარჯიშო 2
ექსპერიმენტი კლასში: კრისტალიზაცია და დეგრადაცია კაპილარული ზემოქმედების გზით

წყალში ხსნადი მარილების არსებობა ფოროვან სამშენებლო მასალებში კონსერვაციის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ქვემოთ მოყვანილი ექსპერიმენტი კრისტალიზაციის პროცესის ნიმუშია.

მიზნები	• მოსწავლეთა დახმარება, შეისწავლონ კაპილარული ზემოქმედების და კრისტალიზაციის ფენომენი სამშენებლო მასალებში.
ადგილმდებარეობა	• საკლასო ოთახი
აღჭურვილობა	• 1 ცალი აგური • 1 თასი (საკმარისი ზომის აგურის მოსათავსებლად) • 1500 მლ. წყალი და 540 გრ. სოდიუმის სულფატი ან სუფრის მარილი • რადიატორი ან მხურვალე მზის სხივები
მიმდინარეობა	• შეავსეთ თასი თბილი წყლით ისე, რომ წყლის დონე არ აღემატებოდეს 10 სმ-ს; • დაამატეთ ცოტ-ცოტა სოდიუმის სულფატი და მოურიეთ, სანამ მარილები მთლიანად არ გაიხსნება და თქვენ მიიღებთ ხსნარს. თუ არ გაქვთ სოდიუმის სულფატი, შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩვეულებრივი სუფრის მარილი (sodium chloride); • წყლიან თასში ვერტიკალურად მოათავსეთ აგური და დატოვეთ იქ ერთი ან ორი დღე; • როგორ უნდა მოხდეს დაკვირვება და რას უნდა დავაკვირდეთ? • გააშრეთ აგური მზეზე ან დაადეთ რადიატორს 24 საათით; • აგური მთლიანად ჩადეთ ხსნარში 24 საათით; ამოიღეთ, დაბერტყეთ ნარჩენი წყლისგან და კვლავ გააშრეთ მზეზე შემდეგი 24 საათის განმავლობაში; • გაიმეორეთ ეს პროცედურა მინიმუმ სამჯერ ან მანამ, სანამ შენიშნავთ დეგრადაციის ნიშნებს. • რა მოხდა? • აღწერეთ ექსპერიმენტის სხვადასხვა ფაზები, მისი მიზანი და შედეგები.

სავარჯიშო 3
ექსპერიმენტი კლასში: გაზარდეთ ობი

ატმოსფეროში არსებული წყალი მრავალგვარი სახის მასალაზე მოქმედებს. ნესტით გამოწვეულ პრობლემებს კიდევ უფრო ამძიმებს სითბო/სიცხე. ობი და სოკო ადვილად იკიდებს ფეხს და ვითარდება ცხელსა და ნოტიო კლიმატურ გარემოში, ზემოქმედებს ისეთ ორგანულ მასალებზე, როგორიცაა: ქაღალდი, ხე, ტყავი, ბუნებრივი ქსოვილები და სხვა.

მიზნები	• იმის ჩვენება და განმარტება, თუ როგორ ვრცელდება სოკო თითქმის ყველგან, სადაც მაღალი ტემპერატურა და სინესტეა.
ადგილმდებარეობა	• საკლასო ოთახი
აღჭურვილობა	• 3 ცალი ჯამი; • 3 ცალი ჭიქა; • ორგანული მასალის 3 ნაირსახეობა (ქაღალდი, ბამბა/მატყლი/შალი, ხე).
მიმდინარეობა	• მოათავსეთ სველი ქაღალდის ნაჭერი ერთ-ერთ ჯამში, რომელშიც ოდნავ ასხია წყალი და ჩადებულ მასალას დააფარეთ ჭიქა; • მოათავსეთ წყლით გაჟღენთილი ბამბა ან შალის ნაჭერი მეორე ჯამში, რომელშიც ოდნავ ასხია წყალი და ჩადებულ მასალას დააფარეთ ჭიქა; • მოათავსეთ წყლით გაჟღენთილი ხის ნაჭერი მესამე ჯამში, რომელშიც ოდნავ ასხია წყალი და ჩადებულ მასალას დააფარეთ თავზე ჭიქა; • ოთხი, ხუთი დღის შემდეგ კარგად დააკვირდით თქვენს ნიმუშებს. • რა მოხდა? • სთხოვეთ მოსწავლეებს, აღწერონ, რა შედეგი იქონია ჩატარებულმა ცდამ მასალებზე.

სავარჯიშო 4
ვირტუალური სესია: დამთვალიერებელთა ქცევის წესები კულტურის ძეგლზე

არქეოლოგიური ძეგლები განსაკუთრებით დაუცველია კლიმატური ცვლილებების, ძარცვის, ვანდალიზმის, უკანონო გათხრებისა და ტურიზმის ნეგატიური ზეგავლენისაგან. ძეგლის გადარჩენაზე ზრუნვა ყველა ჩვენგანს ეხება და ნაწილობრივ, ჩვენს მოქმედებებზეც არის დამოკიდებული მათი ბედი. როგორ უნდა მოვიქცეთ ძეგლის დათვალიერებისას?

მიზნები	• გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება ადამიანის მიერ მიყენებულ ზიანზე (დამთვალიერებლები/ადგილობრივი მოსახლეობა); • წაახალისეთ მოსწავლეები, იფიქრონ და გადაწყვიტონ, თუ რა ზომების მიღებაა საჭირო ძეგლის დასაცავად.
ადგილმდებარეობა	• საკლასო ოთახი
აღჭურვილობა	• ქაღალდის თაბახი (ერთზე მეტი შენიშვნისთვის) • კალამი/ფანქარი
მიმდინარეობა	• დაყავით კლასი ორ ჯგუფად და სთხოვეთ, უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს: • ვინ ათვალიერებს ძეგლს? (სკოლის მოსწავლეები, ადგილობრივი მოსახლეობა, ტურისტები) • როგორია დამთვალიერებელთა წვლილი და რა სახის ზიანს აყენებენ ისინი ძეგლს? • რა არ უნდა გააკეთონ დამთვალიერებლებმა ძეგლზე სტუმრობისას? • როგორ უნდა შეიტანონ წვლილი ძეგლის დაცვაში? • რატომ არის საზიანო არალეგალური, ფარული გათხრები? • რას ნიშნავს სიძველეებით უკანონო ვაჭრობა და როგორ ხდება მისი წახალისება? • თუ იცით, არსებობს თუ არა სათანადო კანონი სიძველეთა არალეგალური ვაჭრობის წინააღმდეგ? • შეაგროვეთ სამუშაო ფურცლები და მიამაგრეთ კედელზე; • შეადარეთ და განიხილეთ პასუხები მოსწავლეებთან ერთად და განსაზღვრეთ შესაძლო ინიციატივები ტურისტების საზიანო ზემოქმედებისგან ძეგლის დაცვის მიზნით.

დაზიანება ვანდალიზმის შედეგად (დამთვალიერებელთა მინაწერები).

98. **დავითგარეჯის მონასტრები, უდაბნოს მონასტრის მთავარი ტაძარი, წმ. დავით გარეჯელის სასწაული – XI ს.**

თავი 4

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მართვა

გაკვეთილის მიზანი

ამ თავის დასრულების შემდეგ მოსწავლე:

- შეძლებს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებასთან და მართვასთან დაკავშირებული საკითხების გაგებას;
- ისწავლის, რომ საჭიროა იმ ქალაქის ან სოფლის დასახლების განვითარების კონტროლი, სადაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები მდებარეობს; გაეცნობა ამ პროცესისთვის აუცილებელ გარკვეულ სამართლებრივ და ადმინისტრაციულ მექანიზმებს;
- გაერკვევა დამთვალიერებელთა ჯგუფების სწორად მართვის და ძეგლის პრეზენტაციის სპეციფიკასა და დამთვალიერებელთა მოქცევის წესებში.

99. ლ. ნინოშვილი, ჭულეს კედლის მხატვრობის კონსერვაცია

ინსტრუქციები მასწავლებლებისათვის

მასწავლებელი, წინა გაკვეთილების მსგავსად, წინასწარ უნდა შეხვდეს ძეგლის მენეჯერს ან ძეგლზე პასუხისმგებელ პირს, რათა განსაზღვროს ამ თავით გათვალისწინებული სამუშაოები. მათ ერთად უნდა შეარჩიონ ის ძეგლები, რომლებსაც უტარდება რესტავრაცია ან საჭიროებს კონსერვაციის ისეთ მარტივ ღონისძიებებს, როგორიცაა: კონსოლიდაცია, გაწმენდა, მოვლა-პატრონობა. ძეგლის მენეჯერი აცნობს მასწავლებელს ძეგლის დაცვით ღონისძიებებს, ტურისტთა მიერ ძეგლის მონახულების სიხშირეს, აწვდის ინფორმაციას მიმდინარე საკონსერვაციო სამუშაოებისა და/ან კონკრეტული ძეგლის დაცვის გეგმებზე. კარგი იქნება, თუ ძეგლის მენეჯერი ან მისი თანამშრომელი დაეხმარება მასწავლებელს პრაქტიკული სავარჯიშოების ჩატარებაში.

მოსწავლეთათვის ძეგლზე საველე გაკვეთილისა და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება დამოკიდებული იქნება ისეთ გარემოებებზე, როგორიცაა:

- შერჩეულ ძეგლზე მომუშავე სპეციალისტთან/მენეჯერთან ურთიერთობის შესაძლებლობა, ვინც დაეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეებს იმ სამუშაოების განხორციელებაში, რაც მოითხოვს სპეციალისტის ან რესტავრატორის მეთვალყურეობას;
- ძეგლის ან ღირსშესანიშნავი ადგილის სიახლოვე სკოლასთან;
- პრაქტიკული საკონსერვაციო სამუშაოებისათვის აუცილებელი მასალებისა და ხელსაწყოების ქონა.

ტურისტების შთაბეჭდილებების, ასევე ტურიზმის უარყოფითი გავლენის სათანადოდ შესაფასებლად, საველე გაკვეთილისათვის საჭიროა შეირჩეს დღის ისეთი მონაკვეთი, როდესაც ჯგუფები სტუმრობენ ძეგლს. ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, შესაფერისი მომენტი შეარჩიონ ტურისტებთან ინტერვიუს ჩასაწერად.

საბაზისო ინფორმაცია

წინა თავში ახსნილი იყო ის სხვადასხვაგვარი საფრთხე, რაც კულტურულ მემკვიდრეობას ემუქრება. ეს თავი შეეხება იმას, თუ როგორ გავუმკლავდეთ აღნიშნულ საფრთხეებს კულტურული მემკვიდრეობის სისტემური მართვით და ძეგლზე კონსერვაციული მეთოდოლოგიის გამოყენებით. არქეოლოგიური ძეგლების დაცვა და სწორი მართვა აუცილებელია ბევრ მიზეზთა გამო. კულტურული მემკვიდრეობა წარმოადგენს ადამიანის მოღვაწეობის მატიანეს. ადამიანის მოღვაწეობის განვითარების ეტაპების გააზრებას ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება კაცობრიობის კულტურული და სოციალური ფესვების იდენტიფიკაციაში და წარსული გამოცდილების გათვალისწინებაში აწმყოსა და მომავლისთვის. კულტურული მემკვიდრეობა შეუცვლელია და კაცობრიობისთვის იგი განათლებისა და სიამოვნების მიღების ამოუწურავ წყაროდ გვევლინება, რომელიც ამდიდრებს ჩვენს ყოველდღიურ ყოფას და ამაღლებს ცხოვრების დონის ხარისხს. შესაბამისად, მემკვიდრეობა წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მონაპოვარს და ხელმისაწვდომი უნდა იყოს დამთვალიერებლისათვის მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან.

ჩვენი ისტორიული და არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვა ეყრდნობა კონსერვაციისა და მართვის პრინციპებს, რაც თავისთავად ბევრ განსხვავებულ ასპექტს ითვალისწინებს და მოითხოვს ფართო სპექტრის პროფესიონალურ უნარ-ჩვევებს. ძეგლის მართვა ანუ მენეჯმენტი წარმოადგენს ძეგლისა და მისი ღირებულებების დაცვისათვის საჭირო ზომების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესს. დაგეგმვის პროცესი უნდა შეიცავდეს შემდეგ საფეხურებს:

1 ძეგლისა და მისი ღირებულებების (იქნება ეს ესთეტიკური, არქიტექტურული, ისტორიული, ბუნებრივი, რელიგიური, სამეცნიერო და/ან სოციალური) ანალიზი და შეფასება. ფასეულობების გამოვლენა წარმოადგენს პირველ ნაბიჯს ადეკვატური კონსერვაციის გეგმის შესამუშავებლად;
2 ძეგლის დოკუმენტაცია: ფოტოფიქსაცია, დეტალური გეგმების შედგენა, ინვენტარიზაცია, ისტორიული ინფორმაციის მოძიება, აღნუსხვა, კვლევა და სხვა;
3 ისტორიული შენობებისა თუ არქეოლოგიური ძეგლის ნანგრევების კონსერვაციის მდგომარეობის ანალიზი და დაზიანების გამომწვევი მიზეზების დადგენა პრიორიტეტების განსაზღვრისა და საჭირო სარესტავრაციო ღონისძიებათა გატარების მიზნით;
4 იმ პირებისა და ორგანიზაციების განსაზღვრა, ვინც დაინტერესებულია ობიექტის ბედით (ადგილობრივი ხელისუფლება, ურბანული დაგეგმარების სპეციალისტები, ადგილობრივი მოსახ-

ლეობა და ა. შ.) და ძეგლის დაცვისათვის საჭირო ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად მათთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა;

5 ძეგლის ყოველდღიური მოვლა-პატრონობისათვის საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსების, ასევე მისი მარეგულირებელი კანონმდებლობის შეფასება. კანონმდებლობა, ქალაქგეგმარება და ძეგლის სტატუსი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მემკვიდრეობის დასაცავად. მაგალითად, ურბანული დაგეგმარების სპეციალისტებს შეუძლიათ, მოითხოვონ არქეოლოგიური ძეგლის ან ისტორიული უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, მათი დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით, ტრანსპორტით გადაადგილების შეზღუდვა ან აკრძალვა. ძეგლისათვის სტატუსის მინიჭება და ძეგლთა რეესტრში შეტანა იძლევა გარანტიას, რომ მისი დანგრევა ან რაიმე სახით შეცვლა შეუძლებელი იქნება;

6 ისეთი სტრატეგიების შემუშავება, რაც მაქსიმალურად დააკმაყოფილებს ხელისუფლების და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებს. სტრატეგიებში იგულისხმება: საზოგადოებისათვის ძეგლის ღირებულებათა წარდგენა, დამთვალიერებელთა ნაკადის შესწავლა, ტურისტული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა (ტუალეტი, ავტოსადგომები, მაღაზიები და რესტორნები) ძეგლის ესთეტიკური თუ სხვა ღირებულებების შელახვის გარეშე.

ვინაიდან არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, მატერიალური კულტურული მემკვიდროებისგან განსხვავებით, წარმოადგენს ცოცხალ ტრადიციას, რომელიც თავის თავში მოიცავს მუდმივ ინტერპრეტაციას, მისი დაცვის მექანიზმიც სრულიად განსხვავდება მატერიალური ძეგლების დაცვისთვის სპეციფიკური კონსერვაციული მიდგომისგან. შესაბამისად, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში ძირითადად მოიაზრება:

- კვლევა და ინვენტარიზაცია:
- საზოგადოებაში პოპულარიზაცია;
- არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებელთა სოციალური დაცვა;
- ფორმალური და არაფორმალური სწავლების ხელშეწყობა;

ყოველივე ეს, თავის მხრივ, განაპირობებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის თაობიდან თაობაზე გადაცემას და ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობას.

ტერმინები

ფასეულობები და მნიშვნელოვნება

ძეგლის და მისი მიმდებარე გარემოს ესთეტიკური, ისტორიული, მეცნიერული ან სოციალური მნიშვნელობა და სხვა განსაკუთრებული ასპექტები.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტისა თუ ძეგლის მნიშვნელობა ადგილობრივი თემის იდენტობისა და კულტურული მრავალფეროვნების ფორმირებაში.

კონსერვაცია (მემკვიდრეობის დაცვის პროცესი)

ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც გამიზნულია კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაზიანების ტემპის შესაჩერებლად. კონსერვაციის მიზანია, აგრეთვე, მემკვიდრეობის ძეგლის ისტორიისა თუ მნიშვნელობის მიწოდება საზოგადოებისათვის.

მოვლა-პატრონობა

ძეგლის ქსოვილის (ქსოვილი – ძეგლის ან ადგილის სრული ფიზიკური შემადგენლობა და მისი ყველა კომპონენტი) შემადგენლობისა და გარემოს უვნებელი, გრძელვადიანი, სისტემატიური მოვლის პროცესი მისი დაცვის მიზნით. მასში იგულისხმება მტვრის გადაწმენდა, სახურავის გადათოვლა, გაწმენდა, სხვ.

შენარჩუნება

ძეგლის ქსოვილის შენარჩუნება არსებულ მდგომარეობაში.

100-101. **ფიტარეთის ტაძრის (XIII ს-ის დასაწყისი) გუმბათის ყელის 1939 წლის გამაგრების საინჟინრო გადაწყვეტა, ინტერიერი და ფასადი.**
2009 წლის ფოტოები.



102. **ბოდბის ტაძარი (IX ს.) რესტავრაციამდე.**
XX საუკუნის დასაწყისის ფოტო.

103. **რესტავრაციის პირველი ეტაპის შემდეგ.**
1987 წლის ფოტო.

104. **რესტავრაციის დასრულების შემდეგ.**
2002 წლის ფოტო.

რესტავრაცია

ძეგლის არსებული ქსოვილის აღდგენა თავდაპირველი სახით დანამატების მოშორებისა ან არსებული ნაწილების შეერთების გზით. რესტავრაციის მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ მისი ფიზიკური დაცვა, არამედ მისი თავდაპირველი მხატვრული გადაწყვეტის უკეთ წარმოჩენა. ის ემყარება ფიზიკურ და დოკუმენტურ ინფორმაციას და წყდება იქ, სადაც იწყება ვარაუდი.

რეკონსტრუქცია

ხელახლა აშენება. გამოიყენება იმ სამუშაოების აღსანიშნავად, რომელიც გულისხმობს თანამედროვე და ძველი მასალის ცალკე ან ერთად გამოყენებას დანგრეული ნაწილების ახლად აშენების მიზნით. რეკონსტრუქცია ისევე, როგორც რესტავრაცია, დაფუძნებული უნდა იყოს ზუსტ არქიტექტურულ და არქეოლოგიურ დოკუმენტაციასა და ფაქტებზე და არა ვარაუდზე.

იკორთის ტაძარი (XII ს.)

105. 1991 წლის მიწისძვრის შემდეგ.

106. ტაძრის რესტავრაციის და გუმბათის რეკონსტრუქციის პროცესი.

107. ტაძრის რეკონსტრუქცია 2003 წლის ფოტო.

108. **ზაბაბურგის ციხე-სიმაგრე (XIV ს.) (გერმანია) ადაპტაცია.**
2013 წლის ფოტო.

109. **თბილისი, ბეთლემის აღმართი 16ბ, XVIII ს-ის საცხოვრებელი სახლის ადაპტაცია.**

ადაპტაცია

ძეგლში ცვლილებების შეტანა მისთვის ახალი ფუნქციის მოსარგებად. ადაპტაცია მისაღებია მაშინ, როდესაც სხვანაირად ვერ მიიღწევა ძეგლის კონსერვაცია. ადაპტაციის დროს არ უნდა შეიბღალოს ძეგლის კულტურული ღირებულება.

ძეგლის მენეჯმენტი (მართვა)

ძეგლისა და მისი ღირებულებების დაცვისათვის საჭირო ზომების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი.

ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობა

ძეგლის ფიზიკური მდგომარეობისა და მისი კონსერვაციისათვის საჭირო სათანადო მექანიზმების არსებობა.

ავთენტურობა

ავთენტურობა (ნამდვილობა) – კულტურული მემკვიდრეობის ავთენტურობის შეფასება ხდება იმ წყაროების სანდოობის მიხედვით, რომლებიც განსაზღვრავს ამ მემკვიდრეობის ფასეულობას.

110-111. **საცხოვრებელი სახლი ავთენტური სახით და ყალბი რეაბილიტაციის შემდეგ. თბილისი, ციხისუბანი.**
2010 წლის ფოტოები.

112. ავთენტურობის დაკარგვა, არატრადიციული მასალის (ბლოკი) გამოყენება. ყალბი რესტავრაცია. თბილისი, ციხისუბანი.
2010 წლის ფოტო.

ბუნებიდან გამომდინარე, ნამდვილობა ანუ ავთენტურობა დაკავშირებულია სანდო წყაროებთან. წყარო შეიძლება ეხებოდეს ფორმას და მის გადაწყვეტას, მასალას და მის შემადგენლობას, გამოყენებასა და ფუნქციას, ტრადიციასა და ტექნიკას, მდებარეობასა და გარემოს, სულისკვეთებასა და არსს ისევე როგორც სხვა ასპექტებს. ამ წყაროთა გამოყენება იძლევა შესაძლებლობას, წარმოჩნდეს კულტურული მემკვიდრეობის სპეციფიკური მხატვრული, ისტორიული, სოციალური და სამეცნიერო განზომილება.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტი

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ერთეული ნიმუში;

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტი, რომელსაც დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის/ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი.

113-114. კალატოზები ძეგლის რესტავრაციის პროცესში

სავარჯიშო 1
საველე სავარჯიშო: კონსერვაციის მდგომარეობა და საკონსერვაციო სამუშაოები

საკონსერვაციო სამუშაოები

მიუხედავად იმისა, რომ მრავალ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა თუ ისტორიული მნიშვნელობის შენობას ჩაუტარდა, დღეისთვის მაინც რჩება ბევრი ისეთი ძეგლი, რომლებიც ყურადღების მიღმა აღმოჩნდა. აუცილებელია, გვესმოდეს შერჩეული ძეგლის არსებული კონსერვაციის მდგომარეობა.

მიზნები	• მოსწავლეთა დაკვირვებისა და ძეგლის არსებული ფიზიკური მდგომარეობის შეფასების უნარის სტიმულირება; • ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობის შესწავლა და ილუსტრირება; • მოსწავლეების წახალისება, წამოაყენონ საკუთარი წინადადებები აღმოჩენილ პრობლემათა დასაძლევად; • მოსწავლეთათვის მართვის ძირითადი პროცესებისა და იმ შესაძლო მეთოდების გაცნობა, რაც დადებითად აისახება ძეგლის მდგომარეობაზე.
ადგილმდებარეობა	• საკლასო ოთახი; • ძეგლი.
აღჭურვილობა	• პროექტორი, ბლოკნოტი / ფურცელი; • ფანქრები / ფერადი ფანქრები.
მიმდინარეობა	კლასში, ველზე გასვლამდე: • დაურიგეთ მოსწავლეებს სია (აჩვენეთ სლაიდები, ფოტომასალა, თუკი ეს შესაძლებელია), რომელშიც ჩამოთვლილია ადამიანის ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ძეგლის დაზიანების თვალსაჩინო მაგალითები, როგორიცაა: გრაფიტი, ვანდალიზმი, ურბანული განვითარება და არასწორად ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოები. ველზე: • ძეგლის მენეჯერთან შეთანხმებით დაათვალიერებინეთ მოსწავლეებს ძეგლის ის ნაწილები, სადაც თვალნათლივ ჩანს სხვადასხვა სახის დაზიანების კვალი; • სთხოვეთ მოსწავლეებს, ძეგლის გეგმის ფოტოასლებზე მონიშნონ მათ მიერ აღმოჩენილი დაზიანებები და შეადარონ მათთვის კლასში დარიგებულ დაზიანებათა სიას. კლასში, საველე გაკვეთილის შემდეგ: • სთხოვეთ მოსწავლეებს, დაასახელონ მათ მიერ აღმოჩენილი დაზიანებების შესაძლო მიზეზები (მაგ.: ძეგლზე სათანადო პერსონალის არარსებობა, ბუნებრივი წარმომავლობის მიზეზები); • სთხოვეთ მოსწავლეებს, იპოვონ გამოსავალი გამოვლენილი პრობლემებიდან.

4

სავარჯიშო 2

პრაქტიკული სავარჯიშოები: მიმდინარე საკონსერვაციო სამუშაოებში მონაწილეობა ან დაკვირვება

მიზნები	• მოსწავლეთა ჩართვა მარტივ მოვლა-პატრონობის პროცედურებში ძეგლის მენეჯერთა ან კონსერვაციის სპეციალისტთა მეთვალყურეობის ქვეშ; • მოსწავლეების დახმარება, გაიგონ ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა და მისი კონსტრუქციული გამაგრების გზები და შეძლონ, ფიზიკურად ჩაერთონ ძეგლზე მიმდინარე სამუშაოებში.
ადგილმდებარეობა	• შერჩეული ძეგლი; • საკლასო ოთახი.
აღჭურვილობა	• რვეული/სახატავი რვეული; • კალამი / ფანქარი; • ფოტოაპარატები; • ხელსაწყოები და აღჭურვილობა, რომლითაც ისინი უნდა უზრუნველყოს ძეგლის მენეჯერმა/კონსერვაციის სპეციალისტმა.
მიმდინარეობა	ვიზიტამდე: • გაარკვიეთ ძეგლის მენეჯერთან ან კონსერვაციის სპეციალისტთან ძეგლზე ელემენტარული საველე სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობები; • შეუთანხმდით მენეჯერს ან კონსერვაციის სპეციალისტს, აჩვენონ მოსწავლეებს ძეგლზე მიმდინარე დაცვითი და საკონსერვაციო სამუშაოები. ძეგლზე: • დაყავათ კლასი ორ ან მეტ პატარა ჯგუფად, რაოდენობიდან გამომდინარე, გააცანით მოსწავლეებს ის სამუშაოები, რომელსაც აწარმოებს სპეციალისტი ძეგლზე და სთხოვეთ, ჩაინიშნონ მისი კომენტარები, გადაიღონ მიმდინარე სამუშაო პროცესი და ჩამოწერონ იქ გამოყენებული ხელსაწყოები და აღჭურვილობა. კლასში: • სთხოვეთ მოსწავლეებს, პლაკატის საშუალებით აღწერონ ძეგლზე ჩატარებული ერთი ან ორი ოპერაცია მათ მიერ გაკეთებული ჩანახატებისა და ფოტოების გამოყენებით; • სთხოვეთ მოსწავლეებს, გააკეთონ კომენტარები ძეგლზე მიღებული პრაქტიკული გამოცდილების შესახებ.

სავარჯიშო 3
საველე სავარჯიშო: დამთვალიერებელთა შთაბეჭდილების შეფასება

ძეგლის პრეზენტაცია გულისხმობს სხვადასხვა საშუალების გამოყენებას: ნახაზები, ჩანახატები, აბრები, ფირნიშები, მოდელები, სამგანზომილებიანი რეკონსტრუქციები, შემეცნებითი შინაარსის ფილმები, გზამკვლევები, ბროშურები, რუკები და სხვა. ამ ინფორმაციის წარდგენა მნახველთათვის მენეჯერისა და მისი გუნდის პასუხისმგებლობაა.

მიზნები	• ძეგლის წარდგენისას გამოყენებული მეთოდებისა და მასალების ეფექტურობაზე მსჯელობის სტიმულირება და დამთვალიერებელთა მიერ მიღებული შთაბეჭდილებების გაანალიზება და შეფასება – რა შეიტყვეს მათ ძეგლის ისტორიის, მისი ფასეულობებისა და არქიტექტურის შესახებ; • მოსწავლეებისთვის იმის გაცნობიერება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძეგლის ეფექტურად პრეზენტაციას;
ადგილმდებარეობა	• საკლასო ოთახი; • ძეგლი (სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილები).
აღჭურვილობა	• რვეული / სახატავი რვეული; • კალამი / ფანქარი.
მიმდინარეობა	**საველე გაკვეთილამდე** – შეათანხმეთ ძეგლის მენეჯერთან ხელსაყრელი დრო და მარშრუტის მონაკვეთი დამთვალიერებელთაგან ინტერვიუს აღების მიზნით. **კლასში** – მოსწავლეები აყალიბებენ ვიზიტორებისთვის ინტერვიუს დროს დასასმელ კითხვებს. სავარაუდო ნუსხა შეიძლება იყოს ასეთი: • რატომ ესტუმრეთ სწორედ ამ ძეგლს? • რა მანძილზე მოგიწიათ მგზავრობა ამ ძეგლის დასათვალიერებლად? • რა იცოდით ამ ძეგლის შესახებ აქ მოსვლამდე? • თქვენი აზრით, რა არის ამ ძეგლის ყველაზე საინტერესო მახასიათებლები? • რატომ ფიქრობთ, რომ ეს ძეგლი მნიშვნელოვანია? • მოგეწოდათ საკმარისი ინფორმაცია ძეგლის შესახებ? • როგორ მიიღეთ ეს ინფორმაცია? • თქვენი აზრით, კარგად არის გადმოცემული ინფორმაცია? • როგორ ფიქრობთ, ძეგლზე ბევრი რამაა გასაკეთებელი? • რას ფიქრობთ ძეგლის ამჟამინდელ მდგომარეობაზე? • გაქვთ რაიმე სხვა განსაკუთრებული შენიშვნა? • შეგიძლიათ რაიმეს შემოთავაზება ძეგლის მდგომარეობის გასაუბჯობესებლად? • გსურთ კონკრეტული კომენტარის გაკეთება? **ძეგლზე** – სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩაატარონ ინტერვიუ წყვილებად. თითოეულმა წყვილმა აიღოს სამი ინტერვიუ და ჩაიწეროს გამოკითხულთა პასუხები. **საველე გაკვეთილის შემდეგ** – მოსწავლეები ადარებენ გამოკითხულთა პასუხებს და განიხილავენ გამოკითხვის დადებით და უარყოფით ასპექტებს; მათ შეუძლით მიღებული შედეგები ასახონ პროცენტებში (მაგ.: გამოკითხულთა 80% ფიქრობს, რომ მათ ადგილზე ვერ მიიღეს საკმარისი ინფორმაცია ძეგლის შესახებ); მოსწავლეები ამ გამოკითხვაზე დაყრდნობით ამზადებენ სპეციალურ ანგარიშს ძეგლის მენეჯერისათვის და ასევე წარმოადგენენ წინადადებებს ძეგლის არსებული მდგომარეობის შესაძლო გამოსწორებისთვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნება გამოკითხულთა მიერ გამოთქმული პრაქტიკული რჩევებიც.

სავარჯიშო 4
დისკუსია: ტურისტული ინფრასტრუქტურის მართვა

მიზნები	• დაეხმარეთ მოსწავლეებს, გაიგონ, რომ რაციონალურად ორგანიზებული ტურისტული ინფრასტრუქტურა და მნახველთა კმაყოფილება ძალიან მნიშვნელოვანია ძეგლისათვის წარმატების მოსატანად. მიუხედავად ამისა, ამ მიზნის მიღწევის გზაზე არ უნდა დაირღვეს ძეგლის მთლიანობა. კითხვისა და შენიშვნების გაკეთების უნარ-ჩვევების განვითარება და დახმარება, გაარჩიონ ძეგლის მართვისა და დაცვის კუთხით განხორციელებული წარმატებული და წარუმატებელი ინიციატივები.
ადგილმდებარეობა	• ძეგლი (ძირითადი მარშრუტი).
აღჭურვილობა	• რვეული; • ძეგლის რუკები ან ძეგლის და მისი შემოგარენის ჩანახატების/ნახაზების ასლები; • ფანქრები, ფურცელი; • ფოტოკამერა (სასურველია).
მიმდინარეობა	• მოსწავლეები თავიანთ რუკებზე აღნიშნავენ ძეგლზე ვიზიტორთათვის დადგენილ ტრადიციულ მარშრუტს; • მოსწავლეები იღებენ ფოტოებს რაიმე კონკრეტული საკითხის ილუსტრირების მიზნით (პოზიტიური ან ნეგატიური ასპექტი); • დაურიგეთ მოსწავლეებს ქვემოთ მოყვანილი სავარჯიშო ფურცელი და სთხოვეთ, უპასუხონ შეკითხვებს.

სავარჯიშო ფურცელი

1. დაიტანეთ ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია თქვენს რუკებზე და დანომრეთ ისინი შემდგომში მითითების მიზნით: ძეგლის მანიშნებლები, ავტოსადგომი, ბილეთების ჯიხური, გიდების მომსახურება, ძეგლის გზამკვლევები, საინფორმაციო აბრები/ფირნიშები (მაგ.: 6ა, 6ბ, 6გ, 6დ და ა. შ.), სუვენირები, კაფე, ტუალეტები, ნაგვის ურნები, სხვა მომსახურების ობიექტები, სახიფათო ადგილები, რისკის შემცველი ადგილები.

2. გადაწყვიტეთ, თუ რამდენად მოსახერხებლად არის ძეგლის ტერიტორიაზე განთავსებული სტუმრებისთვის განკუთვნილი პირობითი ნიშნები და ინფორმაცია და რამდენად ხელსაყრელია ძეგლის წარმატებით დათვალიერებისათვის. როგორი იქნება თქვენი შეთავაზებები დამთვალიერებელთა უკეთესი ორიენტაციისთვის ძეგლზე? მონიშნეთ რუკაზე, სად არის არასაკმარისი ინფორმაცია და სად შეიტანდით კორექტივებს.

3. ბლოკნოტებში ჩაწერეთ ასევე მომსახურების სფეროს სხვა ობიექტის შესაბამისი ნომრებიც და გადაწყვიტეთ, თუ რამდენად ხელსაყრელია მათი განლაგება. თუ ფიქრობთ, რომ განლაგება არასწორია, მიუთითეთ რატომ.

4. ჩაინიშნეთ დამთვალიერებელთა მარშრუტის კონკრეტული ან ნებისმიერი მონაკვეთი, სადაც შეიმჩნევა ხალხმრავლობა. დაითვალეთ ხალხის დაახლოებითი რაოდენობა ამ ადგილებში, თუ მიგაჩნიათ, რომ მათი სიმრავლე საფრთხეს უქმნის ძეგლის ელემენტებს.

5. მონიშნეთ ნებისმიერი ისეთი პუნქტი ან ადგილი, სადაც დამთვალიერებელთა უპასუხისმგებლო, არასათანადო ქცევამ შეიძლება გამოიწვიოს ძეგლის დაზიანება.

თავი 5

სოციალურ-ეკონომიკური და ტურისტული განვითარება

გაკვეთილის მიზანი

ამ თავის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს:

- გააცნობიეროს, თუ რა კავშირია კულტურულ მემკვიდრეობასა და ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას შორის;
- გამოარკვიოს ძეგლით დაინტერესული ჯგუფები/პირები და გააცნობიეროს, რატომ არის აუცილებელი მათთან თანამშრომლობა;
- გაარკვიოს ტურიზმის სასარგებლო და საფრთხის შემცველი მხარეები;
- გააცნობიეროს, რომ ქალაქის არასაკმარისმა დაგეგმარებამ შესაძლოა, გამოიწვიოს არასასურველი განვითარება, რასაც შეუძლია დააზიანოს ან დაანგრიოს კიდეც მემკვიდრეობის ძეგლი.

115. ბეთლემის უბნის ფესტივალი 2012

ინსტრუქციები მასწავლებლებისათვის

ეს თავი უნდა დაეყრდნოს მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გავრცელების არეალის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებულ კვლევას, რომელმაც უნდა გამოავლინოს, თუ რამდენად შეუწყო ხელი ძეგლის არსებობამ რეგიონის ეკონომიკურ, ურბანულ და/ან ტერიტორიულ განვითარებას და ძეგლით დაინტერესებული რამდენი ჯგუფი არსებობს. მოკვლევის დაწყებამდე, მასწავლებელი უნდა დაუკავშირდეს დაგეგმარებაზე პასუხისმგებელ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რათა მოიპოვოს შეძლებისდაგვარად ამომწურავი ინფორმაცია კონკრეტული ძეგლის დაცვის საკანონმდებლო აქტებსა თუ ურბანული განვითარების მარეგულირებელ დოკუმენტაციაზე. თუ შესაძლებელია, უნდა შეგროვდეს ძეგლის და მისი შემოგარენის ამსახველი მასალის (ძველი ფოტოები, ნახაზები და ჩანახატები, რუკები) ასლები კლასში სამუშაოდ.

ამას გარდა მასწავლებელმა ძეგლის მენეჯერისგან უნდა მოიპოვოს ძეგლის არეალით დაინტერესებულ მხარეთა სია. კვლევის პროცესში მოსწავლეებმა უნდა აღნუსხონ ძეგლის ან მის მიმდებარედ განხორციელებული ყველა სახის საზოგადოებრივი თუ სხვა ხასიათის აქტივობა, და შეაფასონ ამ აქტივობის შესაძლო დადებითი ან უარყოფითი ზეგავლენა მემკვიდრეობის ძეგლზე.

მასწავლებელმა ძეგლის მენეჯერთან ან მისი გუნდის წევრთან ერთად უნდა მოამზადოს შეხვედრა მოსწავლეებსა და ინტერესთა ჯგუფებს შორის (მაგ.: ტუროპერატორი, მაღაზიის მეპატრონე, დეველოპერები, კონსერვაციის სპეციალისტი, ურბანული დაგეგმარების სპეციალისტი – ქალაქმშენებელი). შეხვედრა შეიძლება დაიგეგმოს როგორც მრგვალი მაგიდის ტიპის დისკუსია (სავარჯიშო 4: პროცედურა 1) და ჩატარდეს სკოლაში; შეხვედრის მიზანია მოსწავლეებმა გაიგონ, თუ რა როლი აკისრიათ მრგვალ მაგიდაში მონაწილე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს ამ ტერიტორიის დაგეგმვასა და მართვის განვითარებაში. მსგავსი შეხვედრა ხელს შეუწყობს სკოლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კავშირის დამყარებას.

ალტერნატიულად, მოსწავლეებს შეუძლიათ, ნებაყოფლობით წარმართონ საკუთარი მოკვლევა და პირადად დაუკავშირდნენ ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებს მათთან ინდივიდუალური შეხვედრისა და ინტერვიუს მოწყობის მიზნით (სავარჯიშო 4: პროცედურა 2). ამ შემთხვევაში, სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან შეხვედრისთვის მოსწავლეებს დასჭირდებათ წინასწარი დახმარება კითხვარის შესადგენად. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, უნდა მოხდეს მოსწავლეთა აქტიური წახალისება, ჩამოაყალიბონ საკუთარი კითხვები ლოგიკური თანმიმდევრობით და გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები გასაუბრების დასრულებისას.

სახელმძღვანელოს ეს თავი ემსახურება მოსწავლეებისთვის ერთგვარი ბაზისის შექმნას, რომ მათ ჩამოაყალიბონ საკუთარი რეკომენდაციები და საზოგადოებამდე მისატანი გზავნილები.

საბაზისო ცოდნა

ბევრი ქვეყნისთვის ტურიზმი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინდუსტრიაა. კულტურულ მემკვიდრეობას არსებითი როლი აკისრია ტურიზმის განვითარებაში და ორივე ერთმანეთზეა დამოკიდებული. მემკვიდრეობის ძეგლების მონახულება, ისევე, როგორც ადგილობრივი ადათ-წესების, დღესასწაულების, ფოლკლორის, სამზარეულოსა და ხალხური რეწვის ნაწარმის გაცნობა, დღესაც ერთ-ერთი წამყვანი მოტივაციაა მოგზაურთათვის. ტურისტებს განსაკუთრებით იზიდავს არქეოლოგიური ძეგლები, რაც ერთნაირად შემოსავლიანია ინვესტორებისა თუ ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

კულტურის ძეგლი (როგორც არქეოლოგიური მემკვიდრეობის ძეგლი, ასევე ისტორიული ცენტრი) ზოგადად ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, რამდენადაც ქმნის სამუშაო ადგილებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის და სთავაზობს ახალი ტიპის მომსახურებას როგორც თვით ძეგლზე, ასევე მის შემოგარენში, კერძოდ: სასტუმროები, რესტორნები, კაფეები, წიგნის მაღაზიები, სუვენირების მაღაზიები, ტურისტული მარშრუტები გიდის მომსახურებით და სატრანსპორტო საშუალებები (მანქანის გაქირავება, ავტობუსები და ხანდახან აეროპორტში გადაყვანაც).

ამასთან, ისეთი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, როგორიცაა: სამზარეულო და ხალხური რეწვის ნაწარმი, პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ განვითარებასთან, მათი გაყიდვით მიღებული შემოსავალი ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, რეგიონულ განვითარებას და ეკონომიკურ კეთილდღეობას.

116. **დამთვალიერებლები სვანეთის მუზეუმში.**

117. **საქართველოს მუზეუმის შიდა ეზო.**

118. **დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი.**

5

119. **გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ.**

120. **პრომეთეს მღვიმე.**

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობა ხელს უწყობს მატერიალური ძეგლისა თუ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გავრცელების არეალის მიმდებარე ტერიტორიისა ან რეგიონის ეკონომიკურ, ურბანულ განვითარებასა და ეკოლოგიის დაცვას. თუკი კარგად ორგანიზებულ ტურიზმს დადებითი შედეგი მოაქვს რეგიონისთვის, უკონტროლო და მასობრივი ტურიზმი შეიძლება მეტად წამგებიანი აღმოჩნდეს და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მემკვიდრეობის ძეგლს ან გახდეს მისი თვითმყოფადი გარემოს განადგურების მიზეზიც კი; არადა სწორედ ეს გარემო არის ხშირად ის, რისთვისაც ტურისტები სტუმრობენ ამა თუ იმ ძეგლს.

უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით, ტურისტული განვითარება უნდა განიხილებოდეს დაბალანსებული ურბანული გეგმის ერთიან კონტექსტში, რომელიც ითვალისწინებს როგორც ძეგლის და მისი ფასეულობების დაცვასა და შენარჩუნებას, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ მოთხოვნილებებს. ეს მოითხოვს კოლექტიურ ძალისხმევას, რომელშიც ჩართული უნდა იყვნენ სხვადასხვა ინტერესტთა ჯგუფების წარმომადგენლები: ძეგლის მენეჯერები, არქეოლოგები, ურბანული დაგეგმარების სპეციალისტები, ადგილობრივი ხელისუფლება, ტურისტული სააგენტოები და ტუროპერატორები, ინვესტორები, ადგილობრივი მოსახლეობა და თავად ვიზიტორებიც კი. რეალურად, მხოლოდ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციათა თანამშრომლობას, ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას შეუძლია, დაეხმაროს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ძეგლის დაცვაში. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, რომ კულტურული მემკვიდრეობა გახდეს ადგილობრივი (მუნიციპალური) სივრცის დაგეგმარების ერთიანი გეგმის შემადგენელი ნაწილი.

ინტეგრირებული მიდგომა გულისხმობს:

- ისეთი წესებისა და რეგულაციების შემოღებას, რაც აწესრიგებს ურბანულ განვითარებას და განსაზღვრავს ძეგლის სიახლოვეს განლაგებული ნაგებობების მაქსიმალურ სიმაღლეს, ფერთა გამას და სამშენებლო მასალებს; ასევე შესაძლოა ძეგლის ირგვლივ ერთგვარი ბუფერული ზონის შექმნა თანამედროვე მშენებლობების შემოტევისგან ძეგლის დაცვის მიზნით.

ავტოსადგომები, რესტორნები და მომსახურების სხვა ობიექტები უნდა დაიგეგმოს როგორც ერთი მთლიანი პროექტის ნაწილი ძეგლის მენეჯერებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციების შედეგად;

- სპეციფიკური გეგმების შედგენას ძეგლისა და მისი გარემოს დასაცავად, მაგალითად, ნებისმიერი ადგილობრივი სამრეწველო საქმიანობის აკრძალვით, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ჰაერის დაბინძურება და გზატკეცილების მშენებლობის შეზღუდვით, რაც მინიმუმამდე შეამცირებს გაზების გამონაბოლქვებსა და მავნე ვიბრაციას;
- ადგილობრივი წარმოების საქონლისა და მომსახურების სფეროს წახალისებას.

ტურიზმის წარმატებული განვითარება კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში დამოკიდებულია მემკვიდრეობის მენეჯერების, ტურ-ოპერატორების, ადგილობრივი მოსახლეობის და სხვა ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენელთა განსხვავებული მოსაზრებების ცოდნაზე, რაც ნაყოფიერ საფუძველს შექმნის ურთიერთთანამშრომლობისთვის. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ტურიზმის ნეგატიური ზეგავლენის შემცირება და ძეგლების შენარჩუნება მომავალი თაობებისთვის.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ძეგლის კონსერვაცია, როგორც პროცესი, წინ უსწრებს ტურიზმს. ასევე, გასათვალისწინებელია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ბუნებრივად შენარჩუნების საკითხი და მისი მხოლოდ „ტურისტულ ატრაქციონად“ ქცევის საფრთხე.

მას შემდეგ, რაც კონსერვაციის ექსპერტები დაადასტურებენ, რომ ძეგლის და მომსახურების სფეროს ობიექტების მდგომარეობა შეესაბამება სტანდარტებს და აკმაყოფილებს სხვა აუცილებელ კრიტერიუმებს სტუმრების მისაღებად, ტურ-ოპერატორებს შეუძლიათ დაიწყონ აქტიური მუშაობა ტურისტების მოსაზიდად; სტუმრებისგან მიღებული შემოსავალი უნდა მოხმარდეს ძეგლის სისტემატიურ კონსერვაციას, დაცვას, ინტერპრეტაციას და ძეგლის სამომავლო განვითარებას.

ტერმინები

ტურიზმი

დასვენების, სასიამოვნო შთაბეჭდილების მიღების, თავისუფალი დროის გატარების ან საქმიანი მიზნით მგზავრობის თეორია და პრაქტიკა. ასევე ტურისტების მოზიდვის ბიზნესი და მათი უზრუნველყოფა საცხოვრებლითა და ყველა აუცილებელი მომსახურებით.

კულტურული ტურიზმი

ტურიზმი, რომელიც ორიენტირებულია გარკვეული ადგილის კულტურულ საკითხებზე (მაგ.: ადგილობრივი მოსახლეობის კულტურა და ცხოვრების წესი – ეთნოტურიზმი, მუზეუმებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მონახულება, კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება).

გასტრონომიული ტურიზმი

ტურიზმი, რომელიც ორიენტირებულია სხვადასხვა ქვეყნისა თუ რეგიონის სამზარეულოს, ღვინის და ა. შ. დაგემოვნებასა და მათთან დაკავშირებული კულტურული კონტექსტის გაცნობაზე.

ეკოლოგიური ტურიზმი

ტურისტული და სათავგადასავლო აქტივობები ბუნებრივ გარემოში ან ტურიზმი, რომელიც შეისწავლის ბუნებრივი მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტებს.

მდგრადი ანუ სიცოცხლისუნარიანი ტურიზმი

ის, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ბუნებრივი და კულტურული გარემოს მთლიანობისთვის ზიანის მიყენების გარეშე ხორციელდება და ემსახურება აწმყოსა და მომავალ ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობას. მდგრად ტურიზმს შეუძლია, სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნოს გრძელვადიან პერსპექტივაში, ვინაიდან რეალური მოგება მოაქვს იმ სოციალური, ეკონომიკური, ბუნებრივი და კულტურული გარემოსთვის, სადაც ის ხორციელდება.

დაინტერესებული მხარე

პიროვნება ან ადამიანთა ჯგუფი (კომპანია, დაწესებულება, ადგილობრივი მოსახლეობა), რომელიც პერსონალურად ან ფინანსურად არის ჩართული ბიზნესში ან წარმოებაში.

121. ქვევრის ღვინო.

სავარჯიშო 1
საკლასო დისკუსია: ტურიზმის სარგებელი და საფრთხეები

მიზნები	• ისტორიული ძეგლებისთვის ტურიზმის უპირატესობებისა და პოტენციური საფრთხეების გარკვევა.
ადგილმდებარეობა	• საკლასო ოთახი.
აღჭურვილობა	• თეთრი დაფა/დიდი ზომის ფურცელი; • ფლომასტერები.
მიმდინარეობა	• დაყავით მოსწავლეები ორ ჯგუფად; • სთხოვეთ პირველ ჯგუფს, ჩამოწეროს, თუ რა სარგებლობა მოაქვს ტურიზმს ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისთვის; • სთხოვეთ მეორე ჯგუფს, ჩამოწერონ ურბანული ცენტრისთვის ტურიზმით გამოწვეული საფრთხეები; • სთხოვეთ ყოველი ჯგუფის თითო წარმომადგენელს, ანახოს კლასს ფურცელზე/დაფაზე ჩამოწერილი ორივე სია (პოზიტივი და ნეგატივი); • შეეკითხეთ პირველი ჯგუფის მოსწავლეებს, თუ შეუძლიათ რაიმე სხვა უპირატესობების/საფრთხეების დამატება მეორე ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მონაცემებისთვის და პირიქით; • განიხილეთ ჩამოწერილი პუნქტები და გააკეთეთ მონახაზი, თუ რა გზებით შეიძლება არსებული საფრთხეების შემცირება ან მეტი სარგებლის მიღება.

სავარჯიშო 2

როგორია კულტურის ძეგლების წვლილი ეკონომიკურ განვითარებაში

მიზნები	• დაეხმაროთ მოსწავლეებს იმის გაგებაში, რომ ძეგლზე და მის გარშემო განთავსებულ ტურისტულ და კომერციულ ობიექტებს სარგებელი მოაქვთ ადგილობრივი ეკონომიკისთვის, თუმცა, ამავე დროს, საჭიროა სიფრთხილე გამოვიჩინოთ ამ ობიექტების დაგეგმარებაში, რათა რისკის ქვეშ არ დავაყენოთ ძეგლის რომელიმე კომპონენტი და მისი მთლიანობა.
ადგილმდებარეობა	• ძეგლი და მისი მიმდებარე ტერიტორია (წასვლა ავტობუსით ან ფეხით, ძეგლის მასშტაბიდან გამომდინარე);
აღჭურვილობა	• ძეგლის და მისი მიმდებარე ტერიტორიის რუკა; ძეგლის ზუსტი გეგმა (არსებობის შემთხვევაში); • ფოტოაპარატი (შესაძლებლობის შემთხვევაში); • ფურცელი, ფანქრები.
მიმდინარეობა	**ძეგლზე და მის შემოგარენში** მოსწავლეები ათვალიერებენ ძეგლს და მის გარემომცველ არემარეს და ჩამოწერენ: 1 ყველა კომერციულ დაწესებულებას, რომლისთვისაც სარგებლობა მოაქვს ძეგლის ამ სივრცეში არსებობას (სასტუმროები, რესტორნები, ბარები, მაღაზიები, სუვენირების ჯიხურები); 2 ყველა ტიპის ინფრასტრუქტურას, რაც სპეციალურად აშენდა ამ სივრცეში ტურისტების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით (მაგ.: ახალი გზები და გზატკეცილები, ავტოსადგომები, ბილეთების ჯიხური, ტუალეტები, საინფორმაციო შინაარსის ფირნიშები, სანაგვე ურნები და ა. შ). **კლასში** დათვალიერების შემდეგ მოსწავლეები: • განიხილავენ ძეგლის ღირებულებებს ფოკუსით მის ვიზუალურ და ესთეტიკურ ასპექტებზე; • განიხილავენ, თუ როგორი ზეგავლენა იქონია ძეგლის და მისი მიმდებარე ტერიტორიის განვითარებამ და ახალმა მშენებლობებმა ძეგლის ღირებულებებზე; • ჩამოთვლიან ამ ზეგავლენის პოზიტიურ ასპექტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პრიორიტეტების მიხედვით; • ჩამოთვლიან ამ ზეგავლენის ნეგატიურ ასპექტებს მათი სერიოზულობის/მნიშვნელობის მიხედვით; • წარმოადგენენ საკუთარ წინადადებებს; რა ზომები უნდა გატარდეს ნეგატიური გავლენის შემცირებისა და არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად. მოსწავლეებს შეუძლიათ თავიანთი კვლევის შედეგების ილუსტრირება ფოტოებითა და ჩანახატებით.

5

სავარჯიშო 3
როლის შესრულება: ვინ არის ძეგლით დაინტერესებული?

მიზნები	• მოსწავლეთა ინფორმირებულობა, თუ რამდენი ინტერესის ჯგუფია ჩართული ძეგლის განვითარებაზე ზრუნვაში (ეს შესაძლოა იყოს არქეოლოგიური ძეგლი ან ურბანული ცენტრი); • მოსწავლეთა წახალისება, მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რაც უზრუნველყოფს ძეგლის მთლიანობის (ერთიანი იერსახის) შენარჩუნებას.
ადგილმდებარეობა	• საკლასო ოთახი.
აღჭურვილობა	• რვეული/თაბახის ფურცელი.

მიმდინარეობა	• სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩამოაყალიბონ, მათი აზრით რა საფრთხეები ემუქრება ძეგლის ღირებულებებს და შეადარეთ მათი პასუხები;
	• წარმოიდგინეთ, რომ მიმდინარეობს განხილვა ძეგლთან დაკავშირებული სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებს შორის და ითამაშეთ ასეთი ჯგუფების წარმომადგენლების როლი; გაითამაშეთ სცენა, სადაც ხაზგასმული იქნება იმ კონკრეტული ჯგუფის ინტერესები, რომელსაც თქვენ ასრულებთ. მოსწავლეებს შეუძლიათ შეასრულონ შემდეგი როლები:
	  • კონსერვაციის სპეციალისტი;
	  • არქეოლოგი;
	  • ტურ-ოპერატორი;
	  • ურბანული დაგეგმარების სპეციალისტი;
	  • მაღაზიის მეპატრონე;
	  • დეველოპერი;
	  • არალეგალური არქეოლოგიით დაკავებული პირი (მაგ.: ოქროს და რაიმე სხვა ფასეულობათა ან სიმდიდრის მაძიებელი);
	  • ტურისტი;
	  • ადგილობრივი მცხოვრები;
	  • პოტენციური ინვესტორი.
	• შეადარეთ მათ მიერ მსჯელობისას გამოთქმული განსხვავებული მიზნები. შეესაბამება თუ არა ეს მიზნები ძეგლის დაცვის მიზანს? რა როლი ეკისრება ასეთ შემთხვევაში ძეგლის მენეჯერს?

სავარჯიშო 4

მრგვალი მაგიდა ან ინტერვიუ: ძეგლით დაინტერესებული ინტერესთა ჯგუფების ანალიზი

მასწავლებლებს და მოსწავლეებს შეუძლიათ გამოარკვიონ, თუ რამდენი განსხვავებული ჯგუფია დაინტერესებული ძეგლის ბედით; ძეგლის კონსერვაციის პროცესმა შესაძლოა, ბევრი ასეთი ჯგუფის თუ კერძო პირის გეგმებს შეუშალოს ხელი. მთავარი გამოწვევაა, მოიძებნოს ბალანსი ძეგლის დაცვასა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებას შორის.

მიზნები	• მოსწავლეებმა გაიცნონ ძეგლთან დაკავშირებული დაინტერესებული სხვადასხვა ჯგუფები, პირები და ძეგლის დაცვით დაკავებული მხარეები; • გაარკვიონ ასეთი ჯგუფების მოთხოვნები და ინტერესები; • შეაფასონ, რა გავლენას იქონიებს ამ ჯგუფების საჭიროებათა დაკმაყოფილება ძეგლის მთლიანობაზე.
ადგილმდებარეობა	• სკოლის შეკრებების ოთახი (პროცედურა 1) ან დაინტერესებული ჯგუფის მიერ შერჩეული ადგილი – ძეგლი, ურბანული ცენტრი (პროცედურა 2).
აღჭურვილობა	• ძეგლის და მისი მიმდებარე ტერიტორიის რუკა; • საწერკალმები, ფანქრები, ფლომასტერები; • თეთრი დაფა.
მიმდინარეობა	**პროცედურა 1** (განხილვა – მრგვალი მაგიდა) • ყოველი მოწვეული სტუმარი დაინტერესებული ჯგუფიდან განმარტავს თავის ინტერესებს ძეგლთან დაკავშირებით; • მოსწავლეებს შეუძლიათ, დაუსვან სტუმრებს კითხვები ნებისმიერი გაუგებარი საკითხის ირგვლივ; • მოწვეულ სტუმრებთან დიალოგის წამოწყების და/ან განხილვის ხელშეწყობის მიზნით მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ ქვემოთ მოყვანილი კითხვარი (ახალი კითხვარი იქნება საჭირო ყოველი ახალი დაინტერესებული ჯგუფის წარმომადგენლისათვის). **პროცედურა 2** (ინტერვიუ წარმომადგენლებთან) • დაყავით კლასი ორ ჯგუფად და სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, ინტერვიუს აღება ორი ან მეტი მოწვეული მონაწილისაგან (უნდა შეარჩიოს მასწავლებელმა); • ინტერვიუს ასაღებად და/ან განხილვის ხელშეწყობის მიზნით მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ ქვემოთ მოყვანილი კითხვარი (ახალი კითხვარი იქნება საჭირო ყოველი ახალი დაინტერესებული ჯგუფის წარმომადგენლისაგან ინტერვიუს ასაღებად); • სთხოვეთ მოსწავლეებს, კიდევ ერთხელ გადაამოწმონ და განიხილონ თითოეული წარმომადგენლისგან აღებული მონაცემები და ერთ დაფაზე ჩამოწერონ ძეგლისთვის საფრთხის შემცველი ყველა პუნქტი; • განიხილეთ კლასში, თუ რა ხერხებით უნდა მოხდეს ამ განსხვავებული ინტერესების ურთიერთშეჯერება ძეგლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაცვისა და შენარჩუნების მიზნით.

კითხვარი

(მოსწავლეებს შეუძლიათ, სურვილისამებრ დაამატონ სხვა კითხვებიც)

ინტერესის ჯგუფის სახელწოდება

სპიკერის (პროცედურა 1) ან ინტერვიუერის (პროცედურა 2) სახელი

---

1. რა ფასეულობების გამო არის ძეგლი მნიშვნელოვანი?

2. როგორ შეაქვს ძეგლს თავისი წვლილი მიმდებარე არეალის ეკონომიკურ განვითარებაში?

3. რა სარგებელს აძლევს თქვენს ორგანიზაციას ძეგლის ხანგრძლივვადიანი დაცვის გარანტია?

4. რა სახის დახმარების აღმოჩენა შეუძლია თქვენს ორგანიზაციას ან ჯგუფს?

5.

5.

სავარჯიშო 5

დისკუსია თემაზე: როგორ შეიძლება, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტი დაუკავშირდეს ძეგლს და მოიზიდოს მეტი ტურისტი

მოსწავლეებმა უნდა განიხილონ მათი რეგიონის ან კუთხისათვის ყველაზე მეტად გავრცელებული და გამორჩეული რამდენიმე ტიპის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტი და მოძებნონ ტურისტისათვის მიმზიდველი ისეთი საშუალება, რაც ორგანულად დააკავშირებს ამ ელემენტებს მათთვის ხელსაყრელ ადგილას არსებულ ძეგლთან.

მიზნები	• მოსწავლეებმა მოიძიონ და დააფიქსირონ მათ რეგიონში, კუთხეში გავრცელებული ისეთი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამორჩეული ელემენტები, რომლებიც საუკეთესოდ ასახავს მათი კუთხის თავისებურებას; • გააანალიზონ და დაასაბუთონ შერჩეული ელემენტების უპირატესობა; • მოიფიქრონ, რა გზითა და საშუალებებით არის შესაძლებელი ამ ელემენტების შეთავაზება ტურისტებისთვის; • ორგანულად დაუკავშირონ შერჩეული ელემენტი ძეგლს.
ადგილმდებარეობა	• საკლასო ოთახი.
აღჭურვილობა	• საწერი ფურცლები, კალმები.
მიმდინარეობა	• დაავალეთ მოსწავლეებს, მოიძიონ ის განსაკუთრებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტები, რომლებიც მხოლოდ მათი კუთხისათვის არის დამახასიათებელი; • გაკვეთილის მსვლელობისას, განიხილეთ მოძიებული ელემენტები და დააჯგუფეთ აკმ-ს სფეროების მიხედვით (ზეპირსიტყვიერება, საშემსრულებლო ხელოვნება, კულინარია, ტრადიციული რეწვა, დღესასწაულები, რიტუალები და ა.შ.); • დაყავით მოსწავლეები რამდენიმე ჯგუფად და შესთავაზეთ თითოეულ ჯგუფს, იმსჯელოს შერჩეულ ელემენტებზე სფეროების მიხედვით, გააანალიზოს მისი გამოყენების შესაძლებლობები ტურისტისათვის; • გამოყავით ერთი ან რამდენიმე ყველაზე მეტად მიმზიდველი ელემენტი და დაავალეთ ჯგუფებს, მოიფიქრონ ამ ელემენტის ტურისტისთვის შეთავაზების სხვადასხვა ფორმები ძეგლთან მიმართებაში.

თავი 6

ინფორმირებულობა და პოპულარიზაცია

გაკვეთილის მიზანი

ამ თავის დასრულების შემდეგ მოსწავლეს:

- გაცნობიერებული ექნება საკუთარი როლი კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში;
- შეძლებს, მკაფიო გზავნილი გადასცეს საზოგადოებას მემკვიდრეობის ძეგლის მნიშვნელობისა და მისი ფაქიზი ბუნების შესახებ;
- ექნება უნარი, მიიღოს შესაბამისი ზომები მემკვიდრეობის ძეგლის გაუმჯობესებისა და დაცვისათვის.

122. **სემინარი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების მნიშვნელობისა და მათი დაცვის შესახებ, მცხეთის მეორე საჯარო სკოლის აღსაზრდელები.**

ინსტრუქციები მასწავლებლებისათვის

საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის აუცილებლობა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სპეციალისტთა მიზანია არა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის მომავალი თაობებისთვის შენარჩუნება, არამედ მისი სათანადოდ გამოყენებისათვის პირობების შექმნა ისე, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი კულტურული მემკვიდრეობის საფრთხეები და ძეგლის დაზიანების რისკები. მნიშვნელოვანია, დაბალანსდეს ძეგლის ესთეტიკის სრული აღქმისა და მისი დაცვის საჭიროებანი. საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება მემკვიდრეობის დაცვის საქმეში მხოლოდ საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების გზით არის შესაძლებელი. მემკვიდრეობის დაცვაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისთვის ინფორმაციის სისტემატიური მიწოდება. საზოგადოების გათვითცნობიერების ამაღლება გულისხმობს შემდეგ ფაქტორებს:

- **ძეგლის ღირებულების შეფასება**
  რა თავისებურებებით ხასიათდება ძეგლი? რა არის უფრო მეტად მნიშვნელოვანი – ძეგლის ისტორია, ლანდშაფტის სილამაზე, რელიგიური მნიშვნელობა, მხატვრული გადაწყვეტის ღირებულება, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტისა თუ ძეგლის მნიშვნელობა ადგილობრივი თემის იდენტობისა და კულტურული მრავალფეროვნების ფორმირებაში, თუ ტურიზმის შედეგად მიღწეული ეკონომიკური განვითარება?

- **გარკვეული წესების მნიშვნელობის განმარტება**
  მაგ., არ შეეხოთ, არ გადაიღოთ ფოტოები, არ აცოცდეთ მთებზე. უბრალო შეხებითაც კი შესაძლებელია შესამჩნევი ზიანის მიყენება. ერთი შეხება შესაძლოა, უმნიშვნელოდ მოგვეჩვენოს, მაგრამ მილიონ ასეთ შეხებას შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს, მაგალითად, ბრინჯაოს ქანდაკებას. ნოტიო თითების მცირედ ნაკვალევსაც კი, დროთა განმავლობაში, შეუძლია ბრინჯაოს ზედაპირს ნელ-ნელა შემოაცალოს პატინა და ფოლადის კოროზიის მიზეზი გახდეს.

- **ძეგლის კონსერვაციის ასპექტებზე მუდმივად ყურადღების გამახვილება**
  მნიშვნელოვანია, ხალხს ვასწავლოთ, რომ აუცილებელია, დაკვირდნენ და გაეცნონ ძეგლის კონსერვაციის არსებულ მდგომარეობას, რის შედეგადაც ისინი მეტად გაუფრთხილდებიან მას.

- **საზოგადოების ინფორმირება ძეგლის სარესტავრაციო სამუშაოებისა და მისი მოვლა-პატრონობის ღირებულების შესახებ**
  ხალხმა უნდა იცოდეს, რომ მათი მემკვიდრეობის დაცვა მოითხოვს სოლიდურ ეკონომიკურ და მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსს.

123-124. **აკრძალვების პირობითი ნიშნები ძეგლზე ვიზიტისას.**

6

- **საზოგადოებასთან თანამშრომლობა მემკვიდრეობის დაცვის მიზნით**
  მემკვიდრეობის ძეგლის დაცვა არ შეიძლება იყოს მხოლოდ სპეციალისტთა საქმე, იგი უნდა განხორციელდეს საზოგადოების დახმარებით.

- **იმ ღონისძიებების ყველა დონეზე მხარდაჭერა, რაც გაზრდის ინფორმირებულობას მემკვიდრეობის მოწყვლადობის შესახებ**
  ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ მემკვიდრეობა სათუთი და მყიფეა, რაც შეცვლის მათ დამოკიდებულებას მემკვიდრეობის ღირებულებების მიმართ.

- **საზოგადოების ჩართვა არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვაში**
  საზოგადოების ინფორმირება არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტისა თუ ძეგლის მნიშვნელობაზე ადგილობრივი თემის იდენტობისა და კულტურული მრავალფეროვნების ფორმირებაში, ასევე კვლევის, ინვენტარიზაციის და სწავლების აქტუალობაზე.

საბაზისო ცოდნა

მემკვიდრეობის დაცვა ყოველ ჩვენგანს ეხება

ისტორიული ძეგლები გადაურჩა მიწისძვრებს, ომებს, ხანძარს, მტრის შემოსევებსა და ძარცვას. ზეპირსიტყვიერი ტრადიციები კი საუკენეების განმავლობაში გადაეცემოდა თაობიდან თაობას და აყალიბებდა ჩვენს ეროვნულ იდენტობასა და კულტურულ მრავალფეროვნებას. კულტურული, ისტორიული, არამატერიალური თუ ნებისმიერი სხვა ტიპის მემკვიდრეობა კვლავაც დაუცველია კლიმატური პირობების ცვლილებების, მჟავაწვიმების, ატმოსფერული დაბინძურების, ვანდალიზმის, სოციალური პროცესების, ქურდობის, გადატვირთული ტრანსპორტის, ურბანული განვითარებისა და ეკონომიკური ცვლილებების ზეგავლენისგან.

ბოლო წლებში ტურიზმის აქტიური ზრდა არღვევს ერთგვარ წონასწორობას და სერიოზულ პრობლემებს ქმნის მემკვიდრეობის კონსერვაციის, დაცვის და მეთვალყურეობის საქმეში. შეგიძლით წარმოიდგინოთ, რას უნდა ველოდოთ, როცა ათასობით ადამიანი ყოველდღიურად ფეხით ტკეპნის ათასწლოვან ქვებს? რა დარჩება ნანგრევებისგან, თუკი თითოეული სტუმარი მარმარილოს და მოზაიკის თუნდაც ერთ ნამტვრევს სახლში სუვენირად წაიღებს ან ამოკაწრავს საკუთარ სახელს ძეგლის სვეტსა თუ კედელზე?



იცით, რა ზიანის მოტანა შეუძლია ქანდაკების ხელით უნებლიე შეხებას ან ძეგლზე აცოცებას ფოტოს გადასაღებად, როცა ეს ათასგზის მეორდება? ნუ იფიქრებთ, რომ ეს მხოლოდ უბრალო შეხებაა, არამედ იფიქრეთ იმ ზიანზე, რომელიც ათასობით ასეთ შეხებას შეიძლება მოჰყვეს.

თუ აცნობიერებთ, რაოდენ დიდ ძალისხმევას მოითხოვს იმ ძეგლის სათანადოდ მომსახურება და შენახვა, რომელსაც სტუმრობთ და რა სახსრები იხარჯება ამაზე? წარსულის მემკვიდრეობა არ არის ამოუწურავი რესურსი და მისი დაცვა არ ხდება ავტომატურად. ეს მოითხოვს სპეციალიზებულ აღჭურვილობასა და დაფინანსებას, ასევე მუდმივ ყურადღებას და პრევენციული ღონისძიებების გატარებას მოსალოდნელი დაზიანების ან განადგურების რისკების თავიდან ასაცილებლად.

საჭიროა კოლექტიური ძალისხმევა. ეს ყველა ჩვენგანის ვალია. ის იწყება შენით, შენი ოჯახით და შენი მეგობრებით. რა თქმა უნდა, პროფესიონალი სპეციალისტები ყოველთვის იქნება საჭირო, მაგრამ თქვენ გარეშე მათი ძალისხმევა უშედეგო იქნება. შეეკითხე საკუთარ თავს:

რა შემიძლია გავაკეთო ჩემი მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად?

125. მცხეთის ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის მოსწავლეთა მიერ შექმნილი პლაკატი მცხეთის ძეგლების დაცვის თემაზე.

126. მოსწავლეთა სემინარების მონაწილეთა ჩანთის დიზაინი.

სავარჯიშო 1
დისკუსია: წესების მნიშვნელობა და დანიშნულება

ძეგლის გადარჩენა ნაწილობრივ დამოკიდებულია სტუმრების ქცევაზე. აკრძალვაზე (არ შეეხოთ, არ ირბინოთ, არ გადაიღოთ ფოტოები და სხვ.) უფრო ეფექტური შესაძლოა, აღმოჩნდეს ამ წესებისა და ინ-სტრუქციების მნიშვნელობისა და მათი საჭიროების ახსნა. ასეთ შემთხვევაში, ხალხი გაცილებით მეტად გაუფრთხილდება მემკვიდრეობას.

მიზნები	• გარკვეული წესებისა და ინსტრუქციების მნიშვნელობის და საჭიროების გაცნობიერება; • ძეგლზე წარმოდგენილი ინფორმაციის გაანალიზება და იმის დადგენა, თუ რამდენად უკავშირდება იგი ძეგლის დაცვისა და შენარჩუნების სკითხებს.
ადგილმდებარეობა	• საკლასო ოთახი; • ძეგლი.
აღჭურვილობა	• რვეული/თაბახის ფურცელი; • საწერკალამი/ფანქარი.

მიმდინარეობა	• დაიწყეთ კლასში იმის განხილვა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება ტურისტების გარკვეული ქმედებების საზიანო შედეგების შესახებ. რა სახის ინფორმაცია მიიღეს მოსწავლეებმა ძეგლზე? მიაჩნიათ თუ არა ეს ინფორმაცია საკმარისად?
	• სთხოვეთ მოსწავლეებს, ახსნან შემდეგი ინსტრუქციების შემოღების მიზეზები:
	  • არ შეეხოთ
	  • არ აცოცდეთ ძეგლებზე
	  • არ მოტეხოთ ქვის ან მოზაიკის ნაწილები
	  • არ იაროთ მოზაიკაზე
	  • ნუ შეიძენთ საეჭვო წარმოშობის ნივთებს
	  • არ დაწეროთ და არ დახატოთ ძეგლებსა და კედლებზე
	• სთხოვეთ მოსწავლეებს, შეიმუშაონ სქემა, რომელშიც ასახული იქნება ადამიანის ქმედებით გამოწვეული ზიანის მიყენების შესაძლო ვარიანტები – შესაძლებელია სქემის ნახატებით ილუსტრირება. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაურიგონ სქემები სტუმრებს ძეგლზე შესვლისას;
	• სთხოვეთ მოსწავლეებს, არ გამოიყენონ გამოთქმა „არ შეიძლება“.

სავარჯიშო 2
პლაკატის შექმნა

პლაკატების შექმნა მემკვიდრეობის დაცვასა და ზრუნვაში ახალგაზრდების უშუალო ჩართვის კარგი საშუალებაა. ეს სტიმულს აძლევს მათ შემოქმედებით პოტენციალს და განაწყობს მათ, რომ იფიქრონ კონკრეტულ პრობლემებზე. პლაკატების კამპანიის წარმოებისას შესაძლოა ყურადღების გამახვილება ისეთ თემებზე, როგორიცაა: „ჩვენი წარსული საფრთხეშია“, „ტრეფიკინგის ხელოვნება – სიძველეებით არალეგალური ვაჭრობა: როგორ გავძარცვოთ ქვეყანა მისი ისტორიული წარსულისგან“, „გრაფიტი* – ვანდალიზმის ხელოვნება?“ ან „მემკვიდრეობა ყველა ჩვენგანს ეხება?“ და სხვა.

მიზნები	• მემკვიდრეობის წინაშე მდგარი შესაძლო საფრთხეების გაცნობა ახალგაზრდებისათვის; • მკაფიო გზავნილის შემცველი პლაკატების შექმნის გზით მოსწავლეების ჩართვა საზოგადოების გათვითცნობიერების კამპანიაში.
ადგილმდებარეობა	• საკლასო ოთახი; • ძეგლი.
აღჭურვილობა	• A1 ან A3 თაბახის ფურცლები; • საწერკალამი/ფანქარი; • ფერადი მარკერები, აკვარელები; • მაკრატელი, მშრალი წებო, გაზეთი.
მიმდინარეობა	• დაიწყეთ კლასში იმაზე მსჯელობით, თუ რისი თქმა სურთ მოსწავლეებს და განიხილეთ ამ აზრის გამოხატვის საუკეთესო ფორმა; • სთხოვეთ მოსწავლეებს, მოიყვანონ რეკლამის ის მაგალითები, რამაც განსაკუთრებით მიიპყრო მათი ყურადღება; • განიხილეთ, თუ რომელი კომპონენტია გადამწყვეტი წარმატებული პლაკატის შექმნისთვის – დიზაინი, ლოზუნგი, თვითმყოფადი იდეა თუ დამაჯერებელი ფორმა და გამოსახულება; • დაყავით მოსწავლეები პატარა ჯგუფებად; • სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, შექმნას პლაკატი, რომელიც გადმოსცემს მათ შეშფოთებას ძეგლის მოსალოდნელ საფრთხეებზე; • შესთავაზეთ მოსწავლეებს, გამოიყენონ ნათელი და კაშკაშა ფერები, მკაფიო შრიფტი (ასოები გარკვევით უნდა ჩანდეს შორი მანძილიდან) და იფიქრონ შესატყვის და ძლიერ ლოზუნგზე; • მოაწყვეთ პლაკატის გამოფენა სკოლაში ან თვითონ ძეგლზე – მეორე შემთხვევაში, მასწავლებელმა და მენეჯერმა ერთად უნდა მოიფიქრონ გამოფენის თემატიკა და მოაწყონ სპეციალური ღონისძიება ადგილობრივი სკოლებისთვის (მაგ.: „მემკვიდრეობის დღე“ ან ღია კარის დღე) ძეგლზე თავისუფალი დასწრებით.

6

* **გრაფიტი** – Graffiti [græ'fiːtɪ],Graffito [græ'fiːtəu] – წარწერები, ნახატები ძეგლებზე ან საზოგადოებრივ სივრცეში (ხშირად უხამსი შინაარსის მქონე) წარმოადგენს დაზიანების მიზეზს. ძველ დროში, საუკუნეების წინ შესრულებული გრაფიტი ხშირად მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს წარმოადგენს.

სავარჯიშო 3
ძეგლზე მზრუნველობა

ეს სავარჯიშო წარმოადგენს წინა მოსამზადებელი ფაზის დასკვნით ეტაპს, რომელიც მოიცავდა ძეგლზე და მუზეუმში სტუმრობას; ასევე სხვა თავებში შემოთავაზებული თემების განვითარებას (მემკვიდრეობის ფასეულობები, საფრთხეების წინაშე მდგარი მემკვიდრეობა, კონსერვაციის პრინციპები, ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან.). მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ახლოს გაეცნობიან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ყველა ასპექტს, მათ უნდა შეძლონ ძეგლის სათანადოდ მოვლა და მათი თანატოლების ჩართვა ძეგლზე მზრუნველობასა და დაცვაში.

მიზნები	• მოსწავლეებსა და მემკვიდრეობის ძეგლს ან ქალაქს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება, ერთ კონკრეტულ ძეგლზე მზრუნველობის აღების მიზნით ამ პროექტის განხორციელებაში შესაძლებელია ერთზე მეტი კლასის ჩართვა.
ადგილმდებარეობა	• საკლასო ოთახი; • ძეგლი.
აღჭურვილობა	• რეზინის ხელთათმანი; • საყოფაცხოვრებო ნარჩენების პარკები; • კეპები ან სამკერდე ნიშნები სკოლის სახელწოდებით.
მიმდინარეობა	• ძეგლის მენეჯერთან ერთად გამოაცხადეთ „მოხალისეთა დღე“, რომლის დროსაც მოსწავლეები იზრუნებენ ერთ კონკრეტულ ძეგლზე – მენეჯერი მოსწავლეებს შესთავაზებს კონკრეტული ძეგლის საჭიროებებიდან გამომდინარე პრაქტიკულ საქმიანობას – ამ ამოცანის შესრულებაში მოსწავლეებს დაეხმარებიან ძეგლის ადმინისტრაციის თანამშრომლები; • დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად და სთხოვეთ მათ, შეარჩიონ კონკრეტული ძეგლი, რომლის მოვლასაც აპირებენ; • სთხოვეთ მოსწავლეებს, შეაგროვონ საჭირო ინფორმაცია ძეგლის და მისი ცალკეული ობიექტების შესახებ და გააკეთონ შესაბამისი წერილობითი ანგარიში, რომელიც წარმოდგენილი იქნება ერთგვარი გზამკვლევის ფორმით, თანდართული ნახატებით და რეკომენდაციებით (მაგ.: დიაგრამა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტუმრებისათვის); • „მოხალისეთა დღეს“ თითოეული ჯგუფი პასუხისმგებელია მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ძეგლის სისუფთავეზე ან მენეჯერის მიერ წინასწარ განსაზღვრულ რაიმე სხვა სახის სამუშაოზე; • მთელი დღის განმავლობაში მოსწავლეები შეასრულებენ გიდის ფუნქციებს; ისინი დახვდებიან სტუმრებს (სხვა კლასებიდან ან სკოლებიდან), მიაწვდიან მათ ინფორმაციას ძეგლის ისტორიის შესახებ და განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებენ კონსერვაციის ასპექტებზე; • მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე გიდები ადვილად ამოსაცნობნი იყვნენ თავიანთი ჩაცმულობით, მაგალითად, კეპებით ან სამკერდე ნიშნებით, რომლებზეც მითითებული იქნება მათი სკოლა. ეს ყოველივე დაეხმარება მათ, უფრო კარგად გაიაზრონ მათი როლის მნიშვნელობა ძეგლის დაცვის საქმიანობაში.

სავარჯიშო 4
როგორ შეიძლება დაეხმარონ ადამიანები საფრთხეში მყოფ ძეგლებს

მე-4 თავში მოსწავლეებმა გაიგეს, თუ რამდენი განსხვავებული ჯგუფია დაინტერესებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ბედით. ამ ძეგლებზე დაგეგმილმა საკონსერვაციო სამუშაოებმა შესაძლოა, ბევრი ადამიანის გეგმის განხორციელებას შეუშალოს ხელი. კანონმდებლობა ხშირად არ შეესაბამება საფრთხეში მყოფი ძეგლის დაცვის აუცილებელ მოთხოვნებს. როგორ შეიძლება ავიცილოთ თავიდან იმის საფრთხე, რომ კერძო ინტერესებს არ შეეწიროს ძეგლის დაცვა?

მიზნები	• მოსწავლეთა წახალისება, თავად მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რა ზომების გატარებაა საჭირო მემკვიდრეობის ძეგლის მთლიანობის შესანარჩუნებლად; • გააცნობიერონ, თუ რა როლი აკისრია მედიასა და საზოგადოებას საფრთხეში მყოფი ძეგლის გადასარჩენად.
ადგილმდებარეობა	• საკლასო ოთახი.
აღჭურვილობა	• რვეული/თაბახის ფურცლები; • სტატიები ჟურნალ-გაზეთებიდან.
მიმდინარეობა	• წარმოიდგინეთ, რომ ტურიზმის განვითარების პოლიტიკური კურსის შესაბამისად, დამტკიცდა უზარმაზარი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა უშუალოდ ძეგლის ტერიტორიაზე ან მის შორიახლოს; • შეეკითხეთ მოსწავლეებს, თუ როგორი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს მსგავსმა მშენებლობამ ძეგლის ღირებულებებზე. შეადარეთ და განიხილეთ მათი პასუხები; • განიხილეთ, რა სახის ზომები უნდა იქნეს მიღებული ამ მშენებლობის შეჩერების მიზნით (კამპანია მედიაში, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მხარდაჭერა და სხვა); • სთხოვეთ მოსწავლეებს, მოიყვანონ მათ რეგიონში განხორციელებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მხარდაჭერის წარმატებული მაგალითები, თუ კი ეს შესაძლებელია, მოიტანონ სტატიები ამ თემის ირგვლივ კლასში განსახილველად.

სავარჯიშო 5

საველე სავარჯიშო: აკმ-ს ელემენტების მოძიება და მისი ფიქსაცია, აკმ-ს განსაკუთრებული მატარებლის გამოვლენა

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტის ფიქსაცია მისი დაცვის ერთ-ერთი მექანიზმია და გულისხმობს ელემენტის შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის შეგროვებასა და ჩაწერას. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს როგორც ელემენტის აღწერილობას, ისე ცნობებს მისი გამოყენების, გარემოს თუ მატარებლების შესახებ. თქვენი დაინტერესება ამა თუ იმ ელემენტით, თუ მისი მატარებლით გაზრდის საზოგადოების ყურადღებას ამ ელემენტის მიმართ.

მიზნები	• არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტის მოძიება; • ელემენტის გარშემო კვლევის ჩატარება; • ელემენტთან დაკავშირებით ბიბლიოთეკაში არსებული მასალის მოძიება და გაცნობა; • საზოგადოების ჩართულობა ელემენტის ფიქსაციის პროცესში.
ადგილმდებარეობა	• სოფელი, უბანი თემი, კუთხე, ქუჩა (თქვენი სურვილისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით); • საკლასო ოთახი.
აღჭურვილობა	• საწერკალამი, საწერი ფურცლები, ფერადი ფანქრები, ფოტოაპარატი, ხმის ჩამწერი აპარატურა, ვიდეოკამერა (ელემენტის სპეციფიკის გათვალისწინებით).
მიმდინარეობა	**საველე გაკვეთილი** **პირველი ვარიანტი** – დაყავით მოსწავლეები 2-3-კაციან ჯგუფებად და წინასწარ შედგენილი მარშრუტის და კითხვარების მიხედვით დაავალეთ მათ, გამოკითხონ ადგილობრივი მოსახლეობა და მოიძიონ აკმ-ს საინტერესო კუთხისათვის ნიშანდობლივი ელემენტები; **მეორე ვარიანტი** – დაყავით მოსწავლეები 2-3-კაციან ჯგუფებად და წინასწარ შედგენილი მარშრუტისა და შერჩეული ელემენტის (ან სფეროს) მიხედვით დაავალეთ, გამოკითხონ ადგილობრივი მოსახლეობა და მოიძიონ ინფორმაცია ამ ელემენტზე. ინფორმაციის ფიქსაციისთვის მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ სხვადასხვა საშუალებები: ჩაწერონ, ჩახატონ, აღწერონ, გადაიღონ მხოლოდ ფოტომასალა და ა. შ. აკმ-ს ელემენტზე ინფორმაციის სრულყოფილად მოსაძიებლად მოსწავლეებმა წინასწარ უნდა შეადგინონ კითხვარები. სავარაუდო კითხვების ნუსხა შესაძლოა ასეთი იყოს: • აკმ-ს ელემენტის დასახელება (თუ ცნობილია სხვა დასახელებებიც, მიუთითეთ) • ელემენტის გავრცელების არეალი • ელემენტის წარმოშობის ეპოქა

	• ელემენტის თავდაპირველი ფუნქცია • ელემენტის ამჟამინდელი ფუნქცია • ელემენტის სპეციფიკა სეზონთან/დროსთან მიმართებაში • ელემენტთან დაკავშირებული პროფესიები/პირები/სპეციფიკა (გენდერული ან სხვ.) • ელემენტის აღწერა **კლასში** • მოსწავლეები მსჯელობენ და აანალიზებენ მიღებულ შედეგებს, ადარებენ ელემენტის შესახებ ბიბლიოთეკაში მოძიებულ და საკუთარ ინფორმაციას. გამოთქვამენ ვარაუდებს ელემენტის სახეცვლის მიზეზების თაობაზე; • მსჯელობის შედეგად გამოავლენენ მათ კუთხეში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებული მატარებლის ვინაობას; • ცალკე პროექტის სახით შესაძლებელია, დაიგეგმოს რაიმე აქტივობა მატარებლის ცოდნისა და უნარ-ჩვევების პოპულარიზაციისათვის.

სავარჯიშო 6

მრგვალი მაგიდა: არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტების გადარჩენის გზები

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა თავისი არსითა და ბუნებით მეტად ფაქიზი და მყიფეა. გარდა ზოგადად, კულტურული მემკვიდრეობისათვის დამახასიათებელი საფრთხეებისა, არამატერიალურ კულტურას სხვა, ყოფასთან, ტექნიკურ პროგრესთან, გარემოსა და ყოფის შეცვლასთან დაკავშირებული საფრთხეებიც ემატება. ამიტომ მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა დაინახონ და გააანალიზონ რეალურად არსებული საფრთხეები და იმსჯელონ მათ შესახებ.

მიზნები	• მოსწავლეებმა გამოავლინონ ის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტები, რომლებმაც სერიოზული სახეცვლილება განიცადეს ან გაქრობის საფრთხე დაემუქრა უკანასკნელი 20-30 წლის მანძილზე; • გამოავლინონ გაქრობისა და სახეცვლილების მიზეზები; • შეიმუშაონ წინადადებები ელემენტის შენარჩუნებისათვის; • შეადგინონ გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტების კალენდარი.
ადგილმდებარეობა	• ველზე მუშაობა – თემში (სოფელში, უბანში, ოჯახში, გვარში, ქალაქში) ჩაატარონ საველე კვლევა; • სკოლაში გამართონ მრგვალი მაგიდა.

აღჭურვილობა	• კალამი, ფურცელი; • ხმისჩამწერი, აუდიო-ვიდეოგადამღები (შესაძლებლობის ფარგლებში); • თეთრი დაფა – ქაღალდის დიდი ფორმატი.
მიმდინარეობა	პირველ ეტაპზე მოსწავლეები კითხვარის საშუალებით ჩაატარებენ საველე კვლევას და გამოავლენენ იმ ელემენტებს, რომლებსაც ემუქრება გაქრობა. მოსწავლეთა 2-3-კაციანი ჯგუფები, წინასწარ შემუშავებული მარშრუტების მიხედვით, შეისწავლიან გამოყოფილ დასახლებულ ადგილს (ქალაქი, თემი, სოფელი, ქუჩა და ა. შ.). გამოსაკითხად კი უპირატესობას მიანიჭებენ ხანდაზმულ მოსახლეობას. კითხვარი შესაძლებელია, შედგეს შემდეგი ტიპის კითხვებისაგან: • ჩამოთვალეთ თქვენს რეგიონში დღეს გავრცელებული ტრადიციები; რიტუალები; წეს-ჩვეულებები; ხელსაქმის სახეობები; ხელოსნობის დარგები; დღესასწაულები. • გამოყავით ის ელემენტები, რომლებიც დაკავშირებულია სეზონურობასთან. მიანიშნეთ მათი სიხშირე/სეზონურობა. • როგორ ფიქრობთ, რატომ აღარ ტარდება მივიწყებული და მხოლოდ მოხუცების ხსოვნაში შემორჩენილი ესა თუ ის რიტუალი? • გაიხსენეთ და აღწერეთ ის ტრადიციები, რომლებიც კავშირშია ბუნებასთან, კერძოდ: ტყესთან; მთასთან; მიწათმოქმედებასთან; მცენარეულობასთან (სამკურნალო და საკვები მცენარეული); გასტრონომიასთან (როგორ შეიცვალა თქვენი ოჯახის ყოველდღიური კვების რაციონი, რა სახის საკვები აღარ იხმარება თანამედროვეობაში); ნადირობა-მეთევზეობასთან. • შეადგინეთ თქვენ მიერ ჩამოთვლილი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტების კალენდარი. **კლასში** – შეგროვებული მასალა გააანალიზეთ. დისკუსია წარმართეთ რამდენიმე მოსაზრებაზე კონტრარგუმენტების წინ წამოწევით. სთხოვეთ მოსწავლეებს, განიხილონ თითოეული ელემენტის საფრთხეების გამომწვევი მიზეზები, ერთ დაფაზე ჩამოწერეთ ყველა მიზეზი და შემდეგ დაალაგეთ ისინი მზარდობის მიხედვით. შეხვედრის ბოლოს შეადგინეთ საფრთხის ქვეშ მყოფი ელემენტების კალენდარი. დაგეგმეთ წლის მანძილზე განსახორციელებელი სამუშაო (პროექტი, აქცია, პლაკატი ან სხვ.) ამ ელემენტების მხარდასაჭერად.

6

127. **ქალაქ მცხეთის საშუალო სკოლებში ჩატარებული სემინარების მონაწილეთა დაჯილდოება.**
2013 წლის ფოტო.

თავი 7

მსოფლიო მემკვიდრეობა

128. **მცხეთის წმინდა ჯვრის დიდი ტაძარი, სამხრეთი ფასადი.**
2007 წლის ფოტო.

გაკვეთილის მიზანი

ამ თავის დასრულების შემდეგ მოსწავლეს:

- გაცნობიერებული ექნება ტერმინის – „გამორჩეული საყოველთაო ღირებულება“ მნიშვნელობა კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობასთან მიმართებაში;
- გააზრებული ექნება, თუ რა როლი აკისრია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციას გამორჩეული ღირებულების მქონე კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაში;
- გაცნობიერებული ექნება, რაში მდგომარეობს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კონვენციის არსი და მისი როლი მსოფლიო კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებაში.

ინსტრუქციები მასწავლებლებისათვის

ეს თავი ძირითადად ეძღვნება იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციისა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კონვენციის მიმოხილვას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სიტყვა „მემკვიდრეობის“ მნიშვნელობას და მისი გამოყენების ფართო ასპექტს, როგორც კულტურულ მემკვიდრეობას და როგორც ბუნებრივ მემკვიდრეობას.

სასურველია, რომ გაკვეთილების ჩატარებამდე, მასწავლებელი დაუკავშირდეს იუნესკოს ადგილობრივ ოფისს (იუნესკოს საქმეთა საქართველოს ეროვნული კომისია) ან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იუნესკოსთან ურთიერთობის სამსახურს და გამოითხოვოს ნებისმიერი სახის არსებული მასალა, რაც დაეხმარება მას გაკვეთილების ჩატარებაში (მაგ.: მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების რუკები, პლაკატები, ბროშურები, ანიმაციური ფილმების კომპაქტდისკები და სხვ.).

მასწავლებელს ასევე შეუძლია, ისარგებლოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის ვებ-გვერდით (http://whc.unesco.org), სადაც აუცილებლად მიაკვლევს მისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას. აქვეა შესაძლებელი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის საკითხებზე ბავშვების ჩართულობით შექმნილი ანიმაციური ფილმების „პატრიმონიტო“ სერიების ჩამოტვირთვა http://whc.unesco.org/en/patrimonito/. ინტერნეტის საშუალებით მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, დაამყარონ უშუალო კონტაქტი სხვა სკოლის მოსწავლეებთან მთელ მსოფლიოში და გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი წუხილი თუ შეხედულება მემკვიდრეობის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

საბაზისო ინფორმაცია

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია

გასული საუკუნის პირველ ნახევარში პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა ბევრი ისტორიული ქალაქი გაანადგურა. დაზიანდა და დაინგრა მნიშვნელოვანი ძეგლები. ამის საპასუხოდ, ერთა ლიგამ, რომელიც შემდგომში გაერთიანებული ერების ორგანიზაციად გარდაიქმნა, მთელ მსოფლიოს მოუწოდა, ეთანამშრომლათ კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად. სწორედ ამ ამოცანის შესრულების მიზნით 1945 წელს შეიქმნა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია *(იუნესკო – UNESCO)*.

მას შემდეგ იუნესკომ შეიმუშავა არაერთი საერთაშორისო კონვენცია* თუ რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებს მემკვიდრეობის დაცვას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. *ტერმინი „მსოფლიო მემკვიდრეობა“* გაჩნდა ეგვიპტეში ასუანის კაშხლის მშენებლობისას, როცა საფრთხე დაემუქრა მდ. ნილოსის ხეობაში მდებარე ძველი ეგვიპტის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ძეგლს – აბუ სიმბელის ტაძრებს. იუნესკომ წამოიწყო მისი გადარჩენის საერთაშორისო კამპანია, რომელმაც უბიძგა საერთაშორისო საზოგადოებრიობას, დაეფინანსებინა ძეგლის გადარჩენა. იუნესკოს მიმართვას 50 სახელმწიფო გამოეხმაურა, რომელთაც 80 მილიონი აშშ დოლარი გაიღეს ამ ტაძრების გადარჩენისათვის. ძეგლები ქვა-ქვა დაიშალა და ხელახლა აღიმართა ნილოსის ადიდების რისკისგან დაცულ კუნძულ აგილკიაზე.

აბუ სიმბელისადმი გამოხატულმა მყისიერმა საერთაშორისო რეაქციამ დაადასტურა, რომ არსებობს ძეგლები, რომელთაც გააჩნია გამორჩეული უნივერსალური ღირებულება. მათი დაცვა ეხება არა მხოლოდ ქვეყანას, სადაც ის მდებარეობს, არამედ მთელ საერთაშორისო საზოგადოებრიობას. ამ შემთხვევამაც შეუწყო ხელი მსოფლიო მემკვიდრეობის იდეის ჩამოყალიბებას და დასაბამი მისცა მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენციას, რომელსაც უბრალოდ მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციადაც მოიხსენიებენ.

7

* ჰაგის 1954 წლის კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ; რეკომენდაციები კულტურული მემკვიდრეობის არაკანონიერი იმპორტის, ექსპორტის და საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის ზომების შესახებ (1964); იუნესკოს კონვენცია წყალქვეშა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (2001).

*მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია** წარმოადგენს საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც მიიღო იუნესკოს გენერალურმა კონფერენციამ 1972 წელს, როგორც ბუნებრივი, ასევე კულტურული მემკვიდრეობის (მატერიალური მემკვიდრეობა) დაცვის მიზნით. კონვენცია სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც არეგულირებს ბუნებისა და კულტურის კონსერვაციას.

ეს კავშირი კულტურასა და ბუნებას შორის გამოხატულია *მსოფლიო მემკვიდრეობის ემბლემაზე* – წრე, რომელიც გარს ეკვრის მის ცენტრში განთავსებულ კვადრატს. ეს ემბლემა სიმბოლურად განასახიერებს მსოფლიოს ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნების ურთიერთდამოკიდებულებას.

ცენტრში განთავსებული კვადრატი სიმბოლურად ადამიანის უნარისა და შთაგონების მიღწევებს აღნიშნავს, წრე კი ბუნების სიმდიდრის გამომხატველია. ემბლემა მრგვალია დედამიწის მსგავსად, რომელიც განასახიერებს მთელი კაცობრიობის მემკვიდრეობის გლობალურ დაცვას.

ბუნება და კულტურა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია; სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ მსოფლიო მემკვიდრეობა მოიცავს კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობას, როგორც ადამიანის ცხოვრების განუყოფელ ელემენტებს.

ქვეყნები, ანუ *კონვენციის წევრი სახელმწიფოები,* ამ სამართლებრივი ინსტრუმენტის საშუალებით, ნებაყოფლობით იღებენ პასუხისმგებლობას დაიცვან მემკვიდრეობის ძეგლები, რომლებსაც ისინი წარადგენენ მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში მოსახვედრად. *მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის* ძირითადი მიზნებია:

- მსოფლიო მემკვიდრეობის განსაზღვრა იმ ძეგლების ნუსხის შედგენის საშუალებით, რომელთა „*გამორჩეული უნივერსალური ღირებულება*“ დაცული უნდა იყოს მთელი კაცობრიობისათვის (მსოფლიო მემკვიდრეობის სია);
- ამ სიაში შეტანილი ძეგლების დაცვის უზრუნველყოფა ხალხთაშორის მჭიდრო ურთიერთანამშრომლობის მეშვეობით;
- ეროვნულ დონეზე იმ ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა, რომელიც წევრ ქვეყანას აკისრია თავისი ძეგლების დასაცავად.

გთხოვთ, გაითვალისწინეთ: თუკი რომელიმე ძეგლი ან ღირსშესანიშნაობა არ შედის მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი არ წარმოადგენს დაცვის საგანს. ყველა ქვეყანას აქვს ადგილობრივი და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები, ნაგებობები და სამუზეუმო კოლექციები, რომელთა დაცვაც მოითხოვს სათანადო მოპყრობას და სამართლებრივი საფუძვლის გამოყენებას. მსოფლიო მემკვიდრეობისა და სხვა დანარჩენი მემკვიდრეობის დაცვის სტანდარტი სხვადასხვა არ არის, მათ მიმართ მიდგომა ერთია.

© UNESCO/ Francesco Bandarin

© UNESCO/ Francesco Bandarin

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის ძეგლები:

129. ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი, პოლონეთი

130. ტიმბუქტუ, მალი

* მაშინ, როდესაც კაცობრიობის ძალისხმევას მატერიალური მემკვიდრეობის დასაცავად არეგულირებს საერთაშორისო კონვენციები, კვლავინდებურად გაქრობის საფრთხე ემუქრება არამატერიალურ მემკვიდრეობას (ზეპირი ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, მუსიკა, ცეკვები და სხვა). კულტურული მემკვიდრეობის ჩამოთვლილ ფორმებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უმცირესობებისა და მკვიდრი მოსახლეობის თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. არამატერიალური მემკვიდრეობა მეტად მყიფეა და დაუცველი გლობალიზაციის, გარემოს დეგრადაციის და ხალხის ცხოვრების წესის გარდაუვალი ცვლილებების წინაშე. არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის კონვენციას ხელი მოეწერა 2003 წლის 3 ნოემბერს, ხოლო კონვენციის ტექსტი მიღებულ იქნა გენერალური კონფერენციის მიერ 32-ე სესიაზე. არამატერიალური მემკვიდრეობა მოიცავს „ცოცხალი“ მემკვიდრეობის მუდმივ ევოლუციაში მყოფ კომპლექსურ და მრავალფეროვან ფორმებს: კარნავალები, ტრადიციული წარმოდგენები, სოციალური პრაქტიკა, რიტუალები, საზეიმო ღონისძიებები, ჩვეულებები, ადათ-წესები, კულტურული სივრცეები და ა. შ.

© UNESCO/Francesco Bandarin

© UNESCO/ Francesco Bandarin


© Ko Hon Chiu Vincent

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის ძეგლები:

131. ანკორის სატაძრო კომპლექსი, კამბოჯა

132. ვეზერეს ხეობის პრეისტორიული ძეგლი, საფრანგეთი

133. იუნგანგის მღვიმეები, ჩინეთი

მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხა

მსოფლიო მემკვიდრეობის სია ყოველწლიურად იზრდება ახალი ნომინაციებისა და კონვენციის ახალი წევრების შედეგად. ამჟამად (2014) ნუსხა მოიცავს 981 მემკვიდრეობის ძეგლს 160 წევრ სახელმწიფოში. მათ შორის 759 ძეგლი წარმოადგენს კულტურულ მემკვიდრეობას, 193 – ბუნებრივს, ხოლო 29 – შერეულ ძეგლს.

საქართველო 1992 წელს შეუერთდა მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციას და წარდგენილ იქნა პირველი ნომინაციები. საქართველოდან მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესულია სამი ძეგლი:

- ბაგრატის კათედრალი და გელათის მონასტერი (1994)
- მცხეთის ისტორიული ძეგლები (1994)
- ზემო სვანეთი (1996)

მემკვიდრეობის ძეგლის შეტანა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ბევრი საფეხურის გავლას გულისხმობს. პირველი ასეთი ნაბიჯია კონვენციის ხელმოწერა და წევრი ქვეყნის სტატუსის მოპოვება.

შემდეგ საფეხურზე წევრი სახელმწიფო ამზადებს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული იმ კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების სიას, რომელთაც მიიჩნევს *„გამორჩული უნივერსალური ღირებულების“* ძეგლებად. აღნიშნული სიიდან ქვეყანა არჩევს კონკრეტულ ძეგლებს, რომელსაც წარადგენს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში მოხვედრის მიზნით. ამავდროულად წევრმა ქვეყანამ უნდა დაამტკიცოს, რომ შეთავაზებულ ძეგლზე მენეჯმენტი სწორად ხორციელდება და მისი ავთენტურობა შენარჩუნებულია სათანადო მოთხოვნების შესაბამისად. წელიწადში ერთხელ მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი იკრიბება წარდგენილი ნომინაციების შესაფასებლად და ნუსხაში ახალი ძეგლების შესატანად.

134. **გელათის მონასტერი, საერთო ხედი, XII-XIII სს.**
2009 წლის ფოტო.

135. **გელათის მონასტერი, ღმრთისმშობლის შობის ტაძრის საკურთხევლის მოზაიკა, XII ს.**
1984 წლის ფოტო.

როდესაც მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში არსებულ ძეგლს საფრთხე ემუქრება, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, ის გადაჰყავთ „საფრთხეში მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში“, რაც გულისხმობს განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობასა და კონკრეტულ ქმედებებს ძეგლის დაცვის მიზნით.

საქართველოდან მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში არსებული 3 ძეგლიდან 2 გადატანილია საფრთხეში მყოფი მემკვიდრეობის ნუსხაში*. ესენია: 1. მცხეთის ისტორიული ძეგლები, რომელთა აღნიშნულ ნუსხაში გადატანის (2009) მიზეზი გახდა მცხეთის ისტორიული ძეგლების მიმდებარე ტერიტორიების მართვაში არსებული ხარვეზები და გარკვეული ძეგლების არაადეკვატური კონსერვაციის მდგომარეობა. 2. ბაგრატის კათედრალი და გელათის მონასტერი – 2010 წელს, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილე-

136. **ბაგრატის კათედრალი X-XI სს-ის მიჯნა.**
1982 წლის ფოტო.

* 2014 წლის თებერვლის მდგომარეობით.

ბით, ეს ძეგლიც შეიტანეს საფრთხეში არსებული მემკვიდრეობის ნუსხაში. ამის მიზეზი გახდა 2009 წელს დაწყებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები ბაგრატის კათედრალზე. აღნიშნული სამუშაოების შედეგად, რომელიც 2012 წელს დასრულდა, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა მიიჩნია (2012), რომ ბაგრატის ტაძარმა დაკარგა ავთენტურობა და ის ვეღარ აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომელთა გამოც ის შეტანილ იქნა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში 1994 წელს. კომიტეტმა მოუწოდა წევრ სახელმწიფოს, დაასაბუთოს გელათის მონასტრის გამორჩეული უნივერსალური ღირებულება ბაგრატის ტაძრისგან დამოუკიდებლად. 2014 წლის ზაფხულში მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი განიხილავს საქართველოს მხარის მიერ მომზადებულ ხელახალ ნომინაციას, რომელიც შეეხება მხოლოდ გელათის მონასტერს.



137. **სვეტიცხოველი 1010-1029**

138. **ზემო სვანეთი, ჩაჟაშის თემი.**

მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში მოსახვედრად ძეგლი უნდა აკმაყოფილებდეს კომიტეტის მიერ შემუშავებულ მოთხოვნათა ერთ კრიტერიუმს მაინც, კერძოდ, აღნიშნულ სიაში ძეგლი მოხვდება, როცა

I. წარმოადგენს ადამიანის შემოქმედებითი გენიის ნიმუშს (მაგ.: ეგვიპტის პირამიდები ან ათენის აკროპოლისი საბერძნეთში);
II. მიუთითებს დროის გარკვეულ მონაკვეთში ან მსოფლიოს რომელიმე კულტურული არეალის ფარგლებში არქიტექტურის, მონუმენტური ხელოვნების, ქალაქგეგმარების ან ლანდშაფტური არქიტექტურის განვითარების სფეროში ადამიანურ ფასეულობათა მნიშვნელოვან ურთიერთგაცვლაზე (მაგ.: კორდოვას ისტორიული ცენტრი, ესპანეთი; შუა საუკუნეების ქალაქი როდოსი, საბერძნეთი);
III. წარმოადგენს რომელიმე კულტურული ტრადიციის, ან დღესაც არსებული ან გამქრალი ცივილიზაციის ამსახველ უნიკალურ ან განსაკუთრებულ ნიმუშს;
IV. წარმოადგენს ნაგებობის, არქიტექტურული ანსამბლის ან ლანდშაფტის ღირსშესანიშნავ მაგალითს, რომელიც ასახავს კაცობრიობის ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპს (მაგ.: მცხეთის ისტორიული ძეგლები);
V. არის ტრადიციული საცხოვრისის ან მიწათმოქმედების გამორჩეული მაგალითი, რომელიც წარმოადგენს რომელიმე კულტურას (კულტურებს), განსაკუთრებით მაშინ, თუკი ეს კულტურა საფრთხის წინაშეა შეუქცევადი ცვლილებების გავლენის გამო (სანაას ძველი ქალაქი, იემენი);
VI. არის უშუალოდ ან თვალსაჩინოდ დაკავშირებული განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე მოვლენებთან, ყოფით ტრადიციებთან, იდეებთან, რწმენასთან,

მხატვრულ და ლიტერატურულ ნაწარმოებებთან (მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტს მიაჩნია, რომ ამ კრიტერიუმმა მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში ან სხვა კულტურული და ბუნების კრიტერიუმებთან თანხვედრისას შეიძლება განაპირობოს ღირსშესანიშნავი ადგილის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანა, ასეთ ძეგლებს განეკუთვნება, მაგ., ჰიროსიმას მშვიდობის მემორიალი – გენბაკუს გუმბათი, იაპონია; ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი, პოლონეთი; დამასკოს ძველი ქალაქი, სირია);

VII. შეიცავს განსაკუთრებული ბუნებრივი სილამაზის და ესთეტიკური მნიშვნელობის ბუნებრივ ფენომენს ან ადგილებს;

VIII. არის გამორჩეული მაგალითი, რომელიც წარმოადგენს დედამიწის ისტორიის ძირითად ეტაპებს, სიცოცხლის დამადასტურებელი მონაცემების ჩათვლით, რელიეფის ფორმაციების განვითარების მნიშვნელოვან მიმდინარე გეოლოგიურ პროცესებს ან მნიშვნელოვან გეომორფოლოგიურ ან ფიზიოგრაფიულ მახასიათებლებს;

IX. არის გამორჩეული მაგალითი, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან მიმდინარე ეკოლოგიურ და ბიოლოგიურ პროცესებს ხმელეთის, მტკნარი წყლის, სანაპიროსა და ზღვის ეკოსისტემების, ცხოველებისა და მცენარეების ჯგუფების ევოლუციასა და განვითარებაში;

X. შეიცავს ყველაზე მნიშვნელოვან ბუნებრივ ჰაბიტატებს ბიომრავალფეროვნების *in-situ* კონსერვაციისთვის, იმ საფრთხეში მყოფი ჯიშების ჩათვლით, რომლებსაც გააჩნიათ ზოგადსაკაცობრიო განსაკუთრებული ღირებულება მეცნიერების ან კონსერვაციის თვალსაზრისით.

მსოფლიო მემკვიდრეობის სია მრავალფეროვანია, იგი მოიცავს ბუნების ძეგლებს, კულტურულ ლანდშაფტებს, არქიტექტურის შედევრებს, ისტორიულ თუ არქეოლოგიურ ძეგლებს ისევე, როგორც ინდუსტრიულ კომპლექსებს, ბოტანიკურ ბაღებს, საკონცენტრაციო ბანაკსა თუ ატომური აფეთქებიდან გადარჩენილ ნანგრევებსაც კი.

ყველა ეს ძეგლი სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია კაცობრიობისთვის და გვაწვდის განსხვავებული შინაარსის ისტორიულ ცოდნას, რომელიც დავიწყებას არ უნდა მიეცეს. სიტყვა „მონუმენტი“ წარმოდგება ლათინური ზმნისგან „*მონერე*“, რომელიც შეხსენებას ნიშნავს.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია

2003 წელს იუნესკომ მნიშვნელოვნად გააფართოვა კულტურული მემკვიდრეობის მანამდე არსებული გაგება და იგი ძეგლებისა და კოლექციების გარდა გაავრცელა არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაზე. თავის მხრივ, კონვენციის მიღებას წინ უსწრებდა სხვადასხვა აქტივობა (მაგ.: UNESCO-ს მიერ 2001 წლის 18 მაისს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ხელთუქმნელი შედევრების ნუსხის დამტკიცება), რომლებიც გლობალიზაციის საფრთხის წინაშე მყოფი არამატერიალური კულტურული მემკვიდროების ტრადიციების დაცვისკენ და ამ გზით

კულტურული მრავალფეროვნებისა და იდენტობის შენარჩუნებისკენ იყო მიმართული.

,,თაობიდან თაობას გადაცემული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა გამუდმებით, ხელახლა იქმნება. თემების, ჯგუფების მიერ გარემო პირობების, ბუნების ზემოქმედებისა და მათი ისტორიის შესაბამისად აყალიბებს იდენტობისა და მემკვიდრეობითობის განცდას, ხელს უწყობს კულტურის მრავალფეროვნებასა და პიროვნების შემოქმედებას“ – აღნიშნულია კონვენციაში.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთეული გამოხატულებებით. შესაბამისად, იუნიესკოს მიდგომაც კომპლექსურია, ითვალისწინებს რა აღნიშნული სფეროს მრავალმხრივობას.

კონვენციის მიხედვით, არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად აღიარებულ იქნა ზეპირსიტყვიერი ტრადიციები, მათ შორის ენა, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გადაცემის საშუალება, საშემსრულებლო ხელოვნება, საზოგადოებრივი პრაქტიკა, რიტუალები, დღესასწაულები, ტრადიციული თამაშობები, კულინარია, ადგილობრივი ცოდნა და პრაქტიკა, რომელიც ბუნებასა და სამყაროს უკავშირდება, ტრადიციული ხელოსნობა, მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კულტურული სივრცეები.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კონცეფციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ერთი მხრივ, ტრადიციულობა და ამავდროულად, მისი თანამედროვე ყოფაში გამოყენება, მეორე მხრივ კი, საზოგადოების, თემებისა და ჯგუფების გაზრდილი როლი. ამ მემკვიდრეობის აღიარება პირდაპირ კავშირშია მათ მიერ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტის საკუთარ იდენტობასთან ასოცირებასთან და მათ მიერ ამა თუ იმ ტრადიციის საკუთარ მემკვიდრეობად გააზრებასთან. სწორედ ამიტომ, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების გამოვლენის, დოკუმენტირების, დაცვისა და აღორძინების საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ფართო საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობას.

ვინაიდან არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, მატერიალური კულტურული მემკვიდროებისგან განსხვავებით, წარმოადგენს ცოცხალ ტრადიციას, რომელიც თავის თავში მოიცავს მუდმივ ინტერპრეტაციას და მისი დაცვის მექანიზმიც სრულიად განსხვავდება მატერიალური ძეგლების კონსერვაციული მიდგომისგან. შესაბამისად, კონვენცია „დაცვაში“ ძირითადად მოიაზრებს კვლევას და ინვენტარიზაციას, საზოგადოებაში პოპულარიზაციას და უმთავრესად, ფორმალური და არაფორმალური სწავლების ხელშეწყობას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს თაობიდან თაობაზე გადაცემას და ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობას.

კონვენცია განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ტრადიციის ცოცხალ მატარებლებზე, ვინაიდან არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სიცოცხლისუნარიანობა სწო-

იუნესკოს ლოგო;

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის ემბლემა;

ჰააგის კონვენციის ემბლემა;

მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ემბლემა.

139. **ფოლკლორული ანსამბლი „მზეთამზე“**
2004 წლის ფოტო.

140. **ფირუზ მახათელაშვილის გუნდი „თელაველები“.**
1950-იანი წლების ფოტო.

141. **მოხუცი რთველში**

რედ ამ ტრადიციის მატარებლებზეა დამოკიდებული. ამასთან კონვენცია აღიარებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებულ როლს სოციალური კავშირების მდგრადობის, განსხვავებული კულტურული იდენტობის მიმართ პატივისცემის ამაღლების, კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების მიმართულებით.

შესამაბისად, კონვენცია არ აღიარებს ტრადიციებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს. ასევე უარყოფს ყოველგვარ იერარქიას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტებს შორის.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ორ – ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ხორციელდება. ეროვნულ დონეზე, კონვენციის წევრი ქვეყანა უზრუნველყოფს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელი ელემენტების იდენტიფიცირებას; საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების, ინსტიტუციების, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და აღორძინებაში.

იუნესკოს 2003 წლის კონვენციას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ საქართველო შეუერთდა 2007 წელს, რითაც სახელმწიფომ აღიარა არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობა და იკისრა კონვენციით გავთვალისწინებული ვალდებულებები, რაც გულისხმობს: არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, მის იდენტიფიკაციას, დოკუმენტირებას, კვლევას, შენახვას, დაცვას, აღორძინებას, პოპულარიზაციას, ფორმალური და არაფორმალური განათლების მეშვეობით ახალგაზრდა თაობისათვის მის გადაცემას, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტის აღორძინებას.

საქართველოდან იუნესკოს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანილია:

- ქართული პოლიფონიური სიმღერა;
- ქვევრის ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული უძველესი მეთოდი.

სავარჯიშო 1

სამუშაო ფურცელი – მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები საქართველოსა და ევროპაში

მიზნები	დაეხმარეთ მოსწავლეებს, მოახდინონ საქართველოსა და ევროპის რეგიონიდან მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში მყოფი ძეგლების იდენტიფიცირება და გაერკვნენ მათი შერჩევის კრიტერიუმებში.
ადგილმდებარეობა	საკლასო ოთახი
აღჭურვილობა	მსოფლიო მემკვიდრეობის რუკის რამდენიმე ასლი
მიმდინარეობა	ახსენით, თუ რას გულისხმობს ტერმინი – ***„გამორჩეული უნივერსალური ღირებულება“*** და ის გარემოება, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის კონსერვაცია ბევრად არის დამოკიდებული საერთაშორისო თანამშრომლობაზე. დაყავით კლასი პატარა ჯგუფებად და დაურიგეთ მსოფლიო მემკვიდრეობის რუკები. სთხოვეთ, რუკის დახმარებით მოახდინონ მემკვიდრეობის ძეგლების იდენტიფიცირება საქართველოსა და ევროპაში. სთხოვეთ, მიანიშნონ ძეგლის კატეგორიაზე – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლი ან შერეული – კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლი.

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სახელი	**წევრი სახელმწიფო**	**ძეგლის ტიპი**

დისკუსია: შეეკითხეთ მოსწავლეებს, რამდენი ძეგლია შეტანილი მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში საქართველოდან და ევროპიდან? რატომ შეიტანეს სიაში სწორედ ეს ძეგლები? ჰკითხეთ, ვინ იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა უნდა შევიდეს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში? რა პრივილეგიას იძლევა ძეგლის სიაში შეტანა? შეეკითხეთ, არის თუ არა საქართველო სიაში სათანადოდ წარმოდგენილი? არსებობს სხვა, კულტურული ან ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლები საქართველოში, რომელთაც ისინი შეიტანდნენ სიაში? მონაწილეობს თუ არა ადგილობრივი მოსახლეობა გადაწყვეტილების მიღებაში? ფიქრობენ თუ არა, რომ ახალგაზრდობას თავისი როლი უნდა ჰქონდეს ამ პროცესში?

სავარჯიშო 2
სამუშაო ფურცელი – მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხა

მიზნები	მოსწავლეთა ინფორმირება სიაში შეტანილი ძეგლების მრავალფეროვნების შესახებ
ადგილმდებარეობა	საკლასო ოთახი
აღჭურვილობა	რამდენიმე ცალი მსოფლიო მემკვიდრეობის რუკა
მიმდინარეობა	დაყავით კლასი ჯგუფებად და სთხოვეთ, შეისწავლონ მსოფლიო მემკვიდრეობის რუკა. ზემოთ ჩამოთვლილ ყოველ ერთ კრიტერიუმს სთხოვეთ, მიუსადაგონ თითო რეგიონიდან სამი ძეგლი. შეადარეთ სამუშაო ფურცლები და ერთად იმსჯელეთ შერჩევის კრიტერიუმების შესახებ.

გეოგრაფიული რეგიონი	**კრიტ. I**	**კრიტ. II**	**კრიტ. III**	**კრიტ. IV**	**კრიტ. V**	**კრიტ.VI**
აფრიკა						
არაბული სახელმწიფოები						
ლათინური ამერიკა						
ევროპა						
აზია და ოკეანია						
ჩრდილოეთი ამერიკა						

142. **სვანეთი, პეიზაჟი.**
2005 წლის ფოტო.

მცხეთა

სწავლება მაგალითით

ამ თავში მოცემული სავარჯიშოები და საინფორმაციო ფურცლები უკავშირდება მცხეთას. პედაგოგებს შეუძლიათ, გამოიყენონ აქ მოცემული სავარჯიშოების იდეები და მიუსადაგონ სხვადასხვა ძეგლს თავიანთ რეგიონში.

143. **მცხეთის წმინდა ჯვრის დიდი ტაძარი.**
2007 წლის ფოტო.

სწავლება კონკრეტული მაგალითით – მცხეთა

ყოველი თავი შეიცავს პრაქტიკულ სავარჯიშოებს ძეგლზე. მოსწავლეებს დაურიგდებათ მათი ცოდნისა და აღქმის უნარის შესამოწმებელი ტესტები.

საველე პრაქტიკულ გაკვეთილამდე პედაგოგებმა ძეგლის მენეჯერებთან ერთად უნდა შეარჩიონ ძეგლის დათვალიერების მარშრუტი და ის ცალკეული ძეგლები, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს დაზიანებისა და კონსერვაციის თვალსაზრისით. ძეგლის მენეჯერები დაეხმარებიან მასწავლებლებს პრაქტიკული სავარჯიშოების მსვლელობასა და ხელსაყრელი ადგილების შერჩევაში;

- მემკვიდრეობა არის მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ემსახურება მოსწავლის ანალიტიკური აზროვნების პოტენციალის ზრდას და დაკვირვების უნარის განვითარებას. ის ხელს უწყობს კლასში ფუნდამენტური ხასიათის პრობლემებზე მსჯელობას და სათანადო გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს უვითარებს მოსწავლეს;
- შესაძლებელია ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის დამყარება მასწავლებლებსა და ძეგლის მენეჯერებს შორის;
- მოსწავლეებს შესწევთ უნარი, გააცნობიერონ ისეთი კომპლექსური შინაარსის მატარებელი საგნები, როგორიცაა: დაზიანება თუ კონსერვაცია. მთავარია, ინფორმაცია მიწოდებული იყოს მათთვის მარტივ და გასაგებ ენაზე;
- ახალგაზრდა მონაწილეებს შეუძლიათ იმის გაცნობიერება, რომ მემკვიდრეობაზე ზრუნვა და მისი დაცვა მათ პასუხისმგებლობაშიც შედის.

სავარჯიშოების მიზანი

ქვემოთ მოყვანილი სავარჯიშოების შედეგად მოსწავლე შეძლებს:

- აღწეროს ძეგლი და გააცნობიეროს მისი ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური ღირებულება;
- გამოავლინოს ძეგლით დაინტერესებული ჯგუფები და ინტერესთა ჯგუფები (არქეოლოგი, კონსერვაციის სპეციალისტი, რესტავრატორი, არქიტექტორი, ადგილობრივი მოსახლეობა, ტურისტული კომპანია და ა. შ.);
- გაარკვიოს, თუ რა საფრთხე ემუქრება კულტურულ მემკვიდრეობას და რა საშუალებები არსებობს მისი კონსერვაციისათვის;
- გაიაზროს, თუ რაში მდგომარეობს ტურიზმის შედეგად მიღებული სარგებელი და საფრთხე;
- დაინახოს ისტორიულ და ბუნებრივ გარემოს შორის არსებული კავშირები;
- გააცნობიეროს, რომ მემკვიდრეობის დაცვა და მასზე ზრუნვა მისი პასუხისმგებლობაცაა.

© UNESCO/ Ron Van Oers

© UNESCO/ Junaid Sorosh-Wali

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის ძეგლები:

144. ალეპო, სირია

145. ვენეცია და ლაგუნა, იტალია

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია

სავარჯიშოს მიზანი

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის როლის გაცნობიერება, როგორც კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის ინსტრუმენტი.

აქტივობა 1

პედაგოგი აკეთებს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის მოკლე პრეზენტაციას (შერჩევის კრიტერიუმები, საქართველოს მემკვიდრეობის ძეგლები მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში).

აქტივობა 2

ტერმინის *მსოფლიო მემკვიდრეობა* განხილვა კითხვარის საფუძველზე (სავარჯიშო ფურცელი 1.1 – კითხვები მსოფლიო მემკვიდრეობის თემაზე).

აქტივობა 3

თითოეული ჯგუფი წარადგენს მოკლე პრეზენტაციას იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამენ ისინი მსოფლიო მემკვიდრეობას.

რეკომენდებული საკითხავი ლიტერატურა

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია – მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილი ობიექტების ნუსხა.

სავარჯიშო ფურცელი 1.1

კითხვები და მსჯელობა მსოფლიო მემკვიდრეობის საკითხებზე

1. როგორც იცით, არსებობს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლები. ამათგან რომელს შეხვდებით თქვენს ქვეყანაში? დაასახელეთ ეს ძეგლები.

2. რატომ ვზრუნავთ ძეგლებზე და ვიცავთ მათ დაზიანებისაგან?

3. გსმენიათ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის შესახებ? იცით, როგორ ხდება მემკვიდრეობის ძეგლების შეტანა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში?

4. შეგიძლიათ დაასახელოთ ფოტოებზე აღბეჭდილი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები? (პედაგოგის მიერ ხდება მსოფლიო მემკვიდრეობის შერჩეული ცნობილი ძეგლების პროეცირება ეკრანზე ან მათი ამობეჭდილი ფოტოების ჩვენება)

5. მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ძეგლების შესატანად იყენებენ რამდენიმე კრიტერიუმს. რომელი კრიტერიუმით იქნა შერჩეული მცხეთის ისტორიული ძეგლები მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად? (პედაგოგი აჩვენებს ამ კრიტერიუმებს სლაიდებზე)

6. დაასახელეთ კიდევ ერთი ძეგლი საქართველოდან, რომელიც მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი. თქვენი აზრით, რატომ შევიდა სიაში სწორედ ეს ძეგლი?

7. რამდენი ძეგლია შესული მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში საქართველოდან? როგორ გგონიათ, არის თუ არა საქართველოს მემკვიდრეობა სათანადოდ წარმოდგენილი მსოფლიო მემკვიდრეობის რუკაზე? (გაშალეთ მსოფლიო მემკვიდრეობის რუკა ან გახსენით იგი მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის ვებ-გვერდიდან http://whc.unesco.org/en/list/)

8. რას აღნიშნავს მსოფლიო მემკვიდრეობის ემბლემა? (აჩვენეთ ემბლემა)

9. მსოფლიო მემკვიდრეობის ზოგიერთი ძეგლი საფრთხის წინაშე დგას. საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებიდან ორი ძეგლი გადატანილია საფრთხის ნუსხაში (აჩვენეთ სურათები). განიხილეთ რა სახის საფრთხე ემუქრება ამ ძეგლებს?

10. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოვახდინოთ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციის მდგომარეობის მონიტორინგი?

11. ინტერნეტში გიძებნიათ ინფორმაცია მსოფლიო მემკვიდრეობის სხვა ძეგლების შესახებ?

12. თუ კი, გვითხარით რომელი ვებ-გვერდი იძლევა ინფორმაციას მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებზე?

მცხეთა – ისტორიული მიმოხილვა

გაკვეთილის მიზანი
მცხეთის საკრალური, პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობის გაცნობიერება.

სავარჯიშო 1

რეკომენდებული საკითხავი ლიტერატურა:
გამონახეთ დრო ძეგლის დათვალიერებამდე და წაიკითხეთ საინფორმაციო ფურცელი 2.1 (ისტორიული საკითხები).

სავარჯიშო 2

ჯგუფური სავარჯიშო, რომელიც ეყრდნობა ისტორიული ხასიათის შეკითხვებს მცხეთის ისტორიის შესახებ. ტესტი 2.1 (შეკითხვები) და ტესტი 2.2 (სწორია თუ შეცდომაა).

დამატებითი საკითხავი ლიტერატურა: იხ. დანართი 1 (ძირითადი ლიტერატურა)

146. **მცხეთა, სვეტიცხოველი.** XIX-XX სს-ის მიჯნის ფოტო.

ტესტი 2.1

ცოდნის შესამოწმებელი კითხვები

1. რომელი სატომო სახელიდან მომდინარეობს მცხეთის სახელწოდება?
2. როდიდან სახლობდნენ მესხთა ტომები მცხეთასა და მის მიდამოებში?
3. ვის მიაწერს ქართული საისტორიო ტრადიცია მცხეთის წარმოშობას?
4. რომელი მდინარეების შესართავთან ააშენა მცხეთოსმა ქალაქი მცხეთა?
5. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გარდა, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი მცხეთის სატახტო ქალაქად ჩამოყალიბებას?
6. დაასახელეთ წარმართულ მცხეთასა და მის მიდამოებში არსებული ქართლის უზენაეს ღვთაებათა სახელები.
7. ქართველების გარდა, რომელი ერის წარმომადგენლები სახლობდნენ წარმართული პერიოდის მცხეთაში?
8. რომელ უცხოურ საისტორიო წყაროებშია დაცული ცნობები ქართლის გაქრისტიანების შესახებ?
9. რომელ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაშია მოხსენიებული მცხეთის პირდაპირ არსებულ მთაზე ღია ცის ქვეშ აღმართული დიდი ჯვარი, რომელიც მცხეთიდან კარგად ჩანდა?

147. **მცხეთა, სვეტიცხოველი.** 1952 წლის ფოტო.

ტესტი 2.2

სწორია თუ შეცდომაა *(გთხოვთ შემოხაზოთ სწორი პასუხი)*

1. ილია ჭავჭავაძემ გააკრიტიკა სამთავროს გათხრების სამეცნიერო დასკვნები.

   სწორია **შეცდომაა**

2. XX საუკუნის შუა წლებში რეალურად დადასტურდა ქართულ საისტორიო წყაროებში მოხსენიებული ცნობები მცხეთაში ეკლესიის აგების შესახებ, რომელიც წინ უსწრებდა 1010-1029 წლებში აგებული სვეტიცხოვლის გუმბათიანი ტაძრის მშენებლობას.

   სწორია **შეცდომაა**

3. ვახტანგ გორგასლის მიერ V საუკუნეში აგებული ეკლესია მცხეთაში წარმოადგენდა გუმბათიან ნაგებობას.

   სწორია **შეცდომაა**

4. სვეტიცხოვლის ტაძარში მდებარე პატარა გუმბათიანი სამლოცველო (XVს.) იერუსალიმის წმინდა საფლავის ეკლესიის სიმბოლური ასლია.

   სწორია **შეცდომაა**

5. შაჰ-აბასმა დაანგრია სვეტიცხოვლის ეზოში მდებარე სამეფო და საეპისკოპოსო სასახლეები.

   სწორია **შეცდომაა**

6. 1960-1970-იან წლებში მელქისედეკ კათალიკოსის სასახლის ნაწილობრივი რესტავრაციის შემდეგ დაშალეს სვეტიცხოვლის გალავანში ჩართული სამხრეთ-დასავლეთი ბურჯი, რომელიც ახლა მხოლოდ გეგმის დონეზე იკითხება.

   სწორია **შეცდომაა**

7. „ქართველთა მეფე“ ადარნასე მეორე (888-923) მოხსენიებულია სამთავროს ტაძრის კონქის თაღზე უკანასკნელ ხანებში მიკვლეულ წარწერაში.

   სწორია **შეცდომაა**

8. იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით VI საუკუნეში მცხეთაში მოსულმა სირიელმა მამებმა პირველად მცხეთის წმინდა ჯვარი მოილოცეს.

   სწორია **შეცდომაა**

9. წმინდა ბარბარეს (ბარბარეთი) ეკლესია მცხეთაში ბაზილიკის ხუროთმოძღვრულ ტიპს მიეკუთვნება.

   სწორია **შეცდომაა**

10. მცხეთის წმინდა ჯვრის მცირე ტაძრის კონქი თავდაპირველად დაფარული იყო კედლის მხატვრობით.

    სწორია **შეცდომაა**

დაზიანებისა და ნგრევის მიზეზები

გაკვეთილის მიზანი
მოსწავლეთა წახალისება და მათთვის საჭირო დახმარების აღმოჩენა არქიტექტურის სხვადასხვა ელემენტების ამოცნობასა და შერჩეული ძეგლების კონსერვაციის მდგომარეობის გარკვევაში; მოსწავლეთა ინფორმირება იმ მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ, რაც მცხეთის კულტურულ მემკვიდრეობას ემუქრება.

სავარჯიშო 1
სლაიდების გამოყენებით მოსწავლეებს ჩაუტარეთ მოკლე საცნობარო ხასიათის პრეზენტაცია ძეგლის დაზიანების გამომწვევი მიზეზების შესახებ.

რეკომენდებული საკითხავი ლიტერატურა:
გამონახეთ დრო და წაიკითხეთ საინფორმაციო ფურცელი 3.1 (რა საფრთხეები ემუქრება მცხეთას?) და საინფორმაციო ფურცელი 3.2 (დაზიანების გამომწვევი მიზეზები).

სავარჯიშო 2
მცხეთის წმინდა ჯვრის მონასტრის შესწავლა და ანალიზი: აზომვითი სამუშაოები, ჩანახატები, ფოტოების გადაღება კონკრეტული დაზიანების ადგილებისა და კონსერვაციის ასპექტების დოკუმენტირებით.

რეკომენდებული საკითხავი ლიტერატურა:
წაიკითხეთ საინფორმაციო ფურცელი 3.3 (ძეგლების აღწერა).

სავარჯიშო 3
ჯგუფური სავარჯიშო: შეკითხვები ცალკეულ ძეგლებთან დაკავშირებით (ტესტი 3.1) – მცხეთის წმინდა ჯვრის მონასტერი.

148. **სტეფანოზ ერისმთავარი მაცხოვრის წინაშე, 586-605 კონსერვაციამდე** 2011 წლის ფოტო.

149. **რელიეფის კონსერვაციის შემდეგ** 2011 წლის ფოტო.

ტესტი 3.1:

ცოდნის შესამოწმებელი კითხვები

მცხეთის წმინდა ჯვრის მონასტერი

სავარჯიშოს დაწყებამდე მოსწავლეებმა უნდა ჩაატარონ ძეგლის ფოტო ფიქსაცია და აღწერონ ძეგლი წერილობით. შესაძლებელია, კვლევის პრეზენტაციისათვის მოსწავლეებმა შექმნან პლაკატი.

დავუსვათ მოსწავლეებს ქვემოთ მოყვანილი შეკითხვები ძეგლის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მათი ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

1. რატომ ჰქვია ძეგლს მცხეთის წმინდა ჯვრის მონასტერი?

2. რამ განაპირობა ამ ადგილზე ტაძრის აშენება?

3. რომელ ხუროთმოძღვრულ ტიპს მიეკუთვნება მცხეთის წმინდა ჯვრის დიდი ტაძარი?

4. ვისი რელიეფური გამოსახულებებია ძეგლის ფასადებზე?

7. როგორია ძეგლის კონსერვაციის ამჟამინდელი მდგომარეობა?

8. თქვენი აზრით, რა სერიოზული საფრთხეები ემუქრება ძეგლს?

9. ძეგლის რომელ კონკრეტულ ადგილას შეამჩნიეთ ვანდალიზმის ნიშნები?



150. **მცხეთის წმ. ჯვრის დიდი ტაძარი, აღმოსავლეთი ფასადი, ანაზომი.**
2007 წ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირი – „ამქარი“



151. **მცხეთის წმინდა ჯვრის მონასტერი, გენგეგმა.**
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირი – „ამქარი“

სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საკითხები

სწავლის მიზნები

ისტორიულ და ბუნებრივ გარემოს შორის არსებული კავშირების გაცნობიერება. ტურიზმის პოზიტიურ და ნეგატიურ ზეგავლენებში გარკვევა. მემკვიდრეობის ძეგლით დაინტერესებული ჯგუფების, მათი ინტერესების და მათთან შესაძლო თანამშრომლობის მიზეზებში გარკვევა.

აქტივობა 1

ძეგლის მენეჯერი აკეთებს მოკლე პრეზენტაციას თემაზე – ურბანული განვითარების ზეგავლენა გარემოზე.

აქტივობა 2

მრგვალი მაგიდა და ამ თემის ღია განხილვა მოსწავლეებსა და ძეგლით დაინტერესებულ მხარეებს ანუ ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებს შორის. ამ ჯგუფების ინტერესები მცხეთასთან მიმართებით ხშირად თვისობრივად განსხვავებულია (კონსერვაციის სპეციალისტები, არქეოლოგები, ადგილობრივი მოსახლეობა, სამღვდელოება, მრევლი, ურბანული დაგეგმარების სპეციალისტები, არქიტექტორები, ტურიზმის მენეჯერები, ტურისტული სააგენტოები, მეწარმეები), თუმცა ყველა მათგანს აერთიანებს მცხეთის დაცვის და შენარჩუნების იდეა.

აქტივობა 3

განხილვა და შეკითხვები სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით (სავარჯიშო ფურცელი 4.1).

სავარჯიშო ფურცელი 4.1: შეკითხვები

თქვენი აზრით,

1. რა არის მნიშვნელოვანი ძეგლში?
   - გარემო (ბუნება)
   - _____
   - _____
   - _____

2. როგორ ეხმარება ძეგლი რაიონის ეკონომიკურ განვითარებას?
   - ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა
   - _____
   - _____
   - _____

3. შეგიძლიათ მცხეთის ძეგლების ინტერესთა ჯგუფების იდენტიფიცირება?
   - ძეგლების მეპატრონეები
   - _____
   - _____
   - _____
   - _____

4. წინა კითხვიდან გამომდინარე დააკონკრეტეთ, თუ რა ინტერესი აქვთ კონკრეტულ ინტერესთა ჯგუფებს მცხეთასთან მიმართებაში?
   - არქეოლოგი: დაკავებულია გათხრებით წარსულზე ახალი ცნობების მოპოვების მიზნით.
   - ძეგლის მენეჯერი: _____
   - ტურ-ოპერატორი: _____
   - ადგილობრივი მოსახლეობა: _____
   - სამღვდელოება: _____
   - ტურისტები: _____

5. ზემოთ ჩამოთვლილ ინტერესთაგან რომელს შეუძლია ზიანის მიყენება ძეგლისთვის?
   - ტურისტების მოზღვავებულ რაოდენობას
   - _____
   - _____
   - _____

ინფორმირებულობა – გზავნილები საზოგადოებისთვის

სწავლის მიზნები

მოსწავლეთა ინფორმირება მემკვიდრეობის მყიფე, ფაქიზი ბუნებისა და მის დაცვასა და მოვლა-პატრონობაში მათი როლის შესახებ. მოსწავლეთა ჩართვა ძეგლის შენარჩუნებისთვის გასატარებელ საქმიანობაში: ამ მიზნის მისაღწევად მოსწავლეებმა უნდა შეიმუშაონ საზოგადოებისთვის გადასაცემი მკაფიო და დამაჯერებელი გზავნილები პლაკატების და/ან სხვა მედიასაშუალებების გამოყენებით.

აქტივობა 1

მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად მსჯელობენ და არკვევენ, თუ როგორია ტურისტების წვლილი ძეგლის დაზიანებასა თუ დაცვაში; რა ტიპის გზავნილებით უნდა მოხდეს საზოგადოების ინფორმირება და მათი დარწმუნება მცხეთის კულტურული ლანდშაფტის მყიფე ბუნების შესახებ?

რეკომენდებული საკითხავი ლიტერატურა:
გამონახეთ დრო და წაიკითხეთ საინფორმაციო ფურცელი 5.1 (SOS მცხეთას საფრთხე ემუქრება!) და საინფორმაციო ფურცელი 5.2 (რას უნდა მოვერიდოთ).

აქტივობა 2

გზავნილის/ლოზუნგის ფორმულირება, რომელიც მიეწოდება მნახველებსა და ახალგაზრდებს და გათვითცნობიერებულობის ინსტრუმენტის შექმნა (მაგ., პლაკატი, რომელიც გამოხატავს მათ შეშფოთებას ძეგლის მომავლის შესახებ).

აქტივობა 3

მოსწავლეთა მიერ ფორმულირებული რეკომენდაციები.

ისტორიული საკითხები

სადღეისოდ ძირითადად მიღებულია, რომ მცხეთის სახელწოდება მესხთა სატომო სახელიდან მომდინარეობს. მესხები ძვ. წელთაღრიცხვის VIII საუკუნიდან სახლობდნენ მცხეთასა და მის მიდამოებში.

ქართული საისტორიო ტრადიცია მცხეთის წარმოშობას მიაწერს ქართველთა ლეგენდარული ეთნარქის, ქართლოსის ვაჟს მცხეთოსს. მცხეთის სატახტო ქალაქად ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ბუნებრივმა პირობებმა და მნიშვნელოვანი სავაჭრო მაგისტრალების გადაკვეთაზე არსებობამ. მცხეთის მრავალეროვან მოსახლეობას, ქართველების გარდა, შეადგენდნენ ბერძნები, ასირიელები, სომხები, სპარსელები, იერუსალიმიდან დევნილი ებრაელები. მატიანეთა მიხედვით, მცხეთა – არმაზის წარმართული პანთეონის უზენაეს ღვთაებათა სახელებია: არმაზი, ზადენი, გაცი, გაიმი, აინინა, დანინა.

ქართლის გაქრისტიანების შესახებ ცნობები დაცულია ქართულ, ბერძნულ, რომაულ და სომხურ საისტორიო წყაროებში. როგორც ცნობილია, IV საუკუნის 20-იან წლებში კაპადოკიიდან მცხეთაში მოსული, მოციქულთა სწორი წმინდა ნინოს მოღვაწეობის შედეგად

152. **სვეტიცხოველი, იატაკის გახსნის პროცესი, 1970-იან წლებში.**

153. **სვეტიცხოველი, კედლის გახსნის პროცესი 1970-იან წლებში.**

ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. მისი მითითებით მცხეთის პირდაპირ, მაღალ მთაზე დაიდგა ხის დიდი ჯვარი, რომელიც მოხსენიებულია VI საუკუნის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა."

ლიტერატურული წყარო როგორც გვაუწყებს, იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით საქართველოში მოსულმა ათცამეტმა სირიელმა მამამ მცხეთაში ჩამოსვლის შემდეგ (VI ს.) ჯერ წმინდა ჯვარი მოილოცეს და ამის შემდეგ ავიდნენ მთაზე.

545-586 წლებში ქართლის ერისმთავარმა გუარამმა ჯვრის ჩრდილოეთით ააგო ეკლესია (წმინდა ჯვრის მცირე ეკლესია), რომლის კონქი მორთული იყო მოზაიკური კომპოზიციით.

მცხეთა მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით. 1872 წლიდან სამთავროში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ავსტრიელი არქეოლოგი ფრიდრიხ ბაიერნი. თავის დროზე მისი სამეცნიერო დასკვნები ილია ჭავჭავაძემ გააკრიტიკა პუბლიცისტურ ნაშრომში „აი ისტორია"(1889).

1968-1972 წლებში სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მიმდინარე არქეოლოგიური და სარესტავრაციო სამუშაოების დროს (ხელმძღვანელი ვახტანგ ცინცაძე) აღმოჩნდა ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული სამნავიანი ბაზილიკის მოზრდილი ფრაგმენტები, რომელიც ჩართულია ახლანდელი, 1010-1029 წლებში აგებული სვეტიცხოვლის გუმბათიან ტაძარში.

მკვლევართა აზრით, სვეტიცხოვლის ტაძარში მდებარე პატარა გუმბათიანი ეკლესია იერუსალიმში, წმ. აღდგომის ტაძარში არსებული უფლის საფლავის სამლოცველოს სიმბოლური ასლია, თუმცა გარეგნულად მისგან სრულიად განსხვავდება. XV საუკუნეში აგებული სვეტიცხოვლის სამლოცველო ძველ ქართულ საეკლესიო ნაგებობას წააგავს.

სვეტიცხოვლის არქიტექტურული კომპლექსის შემადგენელი ნაგებობების დიდი ნაწილი ამჟამად განადგურებულია. ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით იდგა მელქისედეკ კათალიკოსის XI საუკუნის სასახლე. ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, პლატონ იოსელიანის გადმოცემით, თავის დროზე მისი აღდგენა განუზრახავს გიორგი მეთორმეტეს, მაგრამ მეფის გარდაცვალების გამო საეპისკოპოსო სასახლე განუახლებელი დარჩენილა. პლატონ იოსელიანისავე სიტყვებით, იგი დაუნგრევია „...ისტორიისა და ქვეყნისა სიძველეთა უმეცარსა...", საქართველოს ეგზარქოს ისიდორეს. იმავე მიზეზით დააქციეს სვეტიცხოვლის კომპლექსში მდებარე სამეფო სასახლე (პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978, გვ., 86).

მელქისედეკ კათალიკოსის XI საუკუნის სასახლის ფრაგმენტი ამჟამად ჩართულია სვეტიცხოვლის გალავანში. მის წარმოსაჩენად მიღებულ იქნა რესტავრაციის ისეთი მეთოდი, რომელიც გულისხმობს ნაგებობის ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდის წარმოჩენას მხატვრულად და ისტორიულად ნაკლებად ღირებულის ხარჯზე. 1970-იან წლებში რესტავრირებული XI საუკუნის სასახლის ფრაგმენტის

უკეთ ექსპონირებისათვის დაშალეს გვიანი შუა საუკუნეების ბურჯი, რომელიც ახლა გეგმის დონეზე იკითხება.

მცხეთა ჯერ კიდევ მრავალ საიდუმლოს ინახავს. უკანასკნელ ხანებში მიაკვლიეს სამთავროს ტაძრის კონქის თაღზე არსებულ წარწერას, სადაც მოხსენიებულია „ქართველთა მეფე“ ადარნასე მეორე კურაპალატი (888-923), რაც აღნიშნული ტიტულის („ქართველთა მეფე“) ხსენების პირველი შემთხვევაა.

გარდა გუმბათიანი ტაძრებისა, მცხეთაში ვხვდებით უმარტივესი ხუროთმოძღვრული კომპოზიციის – დარბაზული ტიპის ეკლესიის ნიმუშებს. მათ შორისაა წმ. ბარბარეს სამლოცველო.

154. **სვეტიცხოველი, მელქისედეკ კათალიკოსის აღდგენილი სასახლის ფრაგმენტი**
2009 წლის ფოტო.

დაზიანების მიზეზები

რა ემუქრება მცხეთას?

ბუნებრივი მიზეზით გამოწვეული საფრთხეები

- მიწისძვრები, წყალდიდობები
- ხანძარი, ქარითა და წვიმით გამოწვეული ეროზია
- კლიმატური ცვლილებები
- ხსნადი მარილები
- ცხოველები, მცენარეული საფარი
- მიკროორგანიზმები

ადამიანური მიზეზით გამოწვეული საფრთხეები

- ძარცვა, ვანდალიზმი
- მიტოვება, მოვლა-პატრონობის ნაკლებობა (უყურადღებობა)
- ტურიზმი
- უკონტროლო ურბანიზაცია
- არასწორი რესტავრაცია

დაზიანების მიზეზები მცხეთის ისტორიულ ძეგლებზე

- ქვის დაშლა
- მჟავაწვიმები
- არასათანადო მოვლა-პატრონობა
- ვანდალიზმი
- ტურიზმით გამოწვეული საფრთხე
- არასწორი განვითარების წნეხით გამოწვეული საფრთხე

მცხეთას და მის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს დიდი ზიანი მიადგა 2010 – 2011 წლებში უკანონოდ დაწყებული მშენებლობით ორი უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული შედევრის (სვეტიცხოვლის კათედრალი, წმ. ჯვრის მონასტერი) არეალში. 2012 წლის სამთავრობო გადაწყვეტილებით, სამშენებლო საქმიანობის წარმოება დაშვებულად გამოცხადდა არა მარტო აღნიშნულ ტერიტორიაზე, არამედ სამთავროს მიმდებარე არქეოლოგიურ ზონაშიც, რაც დიდი საფრთხეების შემცველია. მათ შორისაა: კულტურული ლანდშაფტის ფასეულობების შელახვა, მცხეთის უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული ძეგლების აღქმის მკვეთრი გაუარესება, არქეოლოგიური ფენების განადგურება, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამორიცხვა.



155. **მცხეთა, საერთო ხედი მცხეთის წმ. ჯვრის მონასტრიდან.**
2013 წლის ფოტო.

მცხეთის წმინდა ჯვრის მონასტერი

მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე მთაზე ჯვრის აღმართვა და ეკლესიების აგება საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპებს ემთხვევა. 545-586 წწ-ში ქართლის ერისმთავარმა გუარამ დიდმა მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე მთაზე აღმართული წმ. ჯვრის ჩრდილოეთით ააგო ეკლესია (მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესია), რომელიც დგას სპეციალურად გამართულ საფუძველზე, სადაც სამარხებია მოწყობილი. ნაგებობის ცენტრალურ, ოდესღაც ჯვრული კამარით დახურულ ბირთვს ჩრდილოეთიდან ეკვრის ეგვტერი, ხოლო სამხრეთიდან – აღმოსავლეთიდან გახსნილი სამგანყოფილებიანი კარიბჭე.

მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესიის გვერდით ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზ პირველმა 586-605 წწ-ში ააგო გუმბათიანი ეკლესია (მცხეთის ჯვრის დიდი ეკლესია), რომლის შიგნით მოექცა წმ. ჯვარი. მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი მიეკუთვნება ტეტრაკონქის ხუროთმოძღვრულ ტიპს, სადაც ნაგებობის გეგმის ცენტრალურ კვადრატს ოთხივე მხრიდან ერწყმის აფსიდები. ტაძრის ფასადებზე წარმოდგენილია ფიგურული რელიეფები. სკულპტურული გამოსახულებების თანმხლები ასომთავრული წარწერების მიხედვით ირკვევა, რომ აქ გამოსახული არიან ეკლესიის ქტიტორები და მათი ოჯახის წევრები.

მცხეთის წმ. ჯვრის დიდი და მცირე ტაძრები დასავლური და აღმოსავლური კულტურული ღირებულებების შეთვისებისა და ადგილობრივ გარემოში განვითარების ახალ ეტაპზე აყვანის მკაფიო მაგალითია.

განხილვის თემები

რატომ ვზრუნავთ მცხეთაზე?

იმიტომ, რომ:

- მცხეთა ერთადერთია და განუმეორებელი
- მცხეთა მთელი კაცობრიობის მონაპოვარია
- მცხეთა მდიდარია იქ დაცული ფასეულობებითა და წარსულის ცნობებით
- მცხეთა მყიფე და ფაქიზი ბუნებისაა და მოწყვლადი
- მცხეთა მნიშვნელოვანი ეკონომიკური წყაროა ადგილობრივი მოსახლეობისა და მთელი ქვეყნისათვის

განხილვის თემები

როგორ შეგვიძლია დავიცვათ მცხეთის ისტორიული ძეგლები?

- ძეგლის დაცვის მიზნით შექმნილი ადეკვატური კანონმდებლობის აღსრულებით;
- ძეგლის მთლიანობის შენარჩუნების მიზნით საერთო პოლიტიკის შემუშავებაში მცხეთით დაინტერესებული სხვადასხვა ორგანიზაციების (ინტერესთა ჯგუფები) მონაწილეობით;
- მცხეთის ისტორიული ნაწილის ტერიტორიაზე მიწის მართვის რეგულირებით;
- ძეგლის მუდმივი და კვალიფიციური მოვლა-პატრონობით;
- ტურიზმის სწორი მართვითა და რეგულირებით;
- ძეგლის მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებით ყველა დონეზე.

ინფორმირებულობის ამაღლება

S.O.S. – მცხეთას საფრთხე ემუქრება

მცხეთის წმინდა ჯვრის მონასტერი – მოსალოდნელი საფრთხე

საუკუნეთა მანძილზე მცხეთის წმინდა ჯვრის მონასტრის ნაგებობები დაზიანდა.

X საუკუნეში ჩამოიქცა დიდი ტაძრის გუმბათის სფეროს ნაწილი. იგი მალევე აღადგინეს, მაგრამ ნაგებობის მდგრადობა შეილახა. XX საუკუნის დასაწყისში ძეგლის მდგომარეობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. 1914 წელს სათაურით – „უნდა ვუშველოთ ჯვარის მონასტერს!“ გამოქვეყნდა ექვთიმე თაყაიშვილის სტატია, რომელიც შემდეგი მიმართვით სრულდება: „ყველამ გამოვიღოთ წვლილი, დიდმა და პატარამ, ერმა და ბერმა, განათლებულმა და გაუნათლებელმა. გვეყოფა ამდენი გულგრილობა ჩვენი ძვირფასი ნაშთებისადმი! მომავალი თაობა არ გვაპატიებს, თუ ეს ძეგლი ჩვენს თვალს წინ დაინგრა“ (გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1914 წ., N31).

იმავე სულისკვეთებითაა გამსჭვალული გიორგი ჩიტაიას 1924 წელს გამოქვეყნებული წერილი, რომელშიც ავტორი აღნიშნავს: „ეს ძეგლი იმათ ღირს, რომ მასზე თავი ავიტკიოთ, ხელი გავანძრიოთ და საშვილიშვილო საქმე გავაკეთოთ და თუ... რაიმე მოსაზრებისა გამო მთავრობა არ იკისრებს ამ საქმის შესრულებას, ჩვენ ვფიქრობთ, არც ერთი შეგნებული ქართველი არ დაიზარებს თავისი წვლილი გაიღოს ჯვარის მონასტრის გადასარჩენად...“

1924 წელს ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები ჯვრის მონასტერში. ამ დროს განახლდა დიდი ტაძარი, მიახლოებით აღდგა გუმბათის გადახურვის პირვანდელი მოყვანილობა. 1938 წელს ჩატარდა სარემონტო-გამაგრებითი სამუშაოები, ხოლო 1970-იანი წლების დასასრულს და 1980-იან წლებში გუმბათის ზედაპირი განთავისუფლდა გვიანდელი დანამატებისაგან და დაიფარა რკინა-ბეტონის ფილით. გუმბათის ყელი გამაგრდა რკინა-ბეტონის სარტყელით (პროექტის ავტორი ვახტანგ ცინცაძე, ინჟინერ-კონსტრუქტორი – ირაკლი ღუდუშაური).

მცხეთის ჯვარი, როგორც გამორჩეული უნივერსალური ღირებულების ძეგლი, 1994 წელს შეტანილ იქნა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. ძეგლის თავდაპირველი სახელწოდება – „მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი“ 2005 წელს შეიცვალა შემდეგი დასახელებით – „მცხეთის ისტორიული ძეგლები“ (ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი, სამთავრო).

2004 წელს ჯვრის მონასტერი წარდგენილ იქნა World Monuments

Fund-ის პროგრამის – „მსოფლიო ძეგლთა ზედამხედველობა“ კონკურსზე, რის შემდეგაც იგი „მსოფლიოში 100 ყველაზე დაზიანებულ ძეგლთა“ ნუსხაში აღმოჩნდა. 2006-2007 წლებში ჯვრის მონასტრის მდგომარეობა კრიტიკულად იქნა შეფასებული სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და პროფესიული ჯგუფების მიერ. ერთ-ერთი მათგანია ICOMOS-ის (ძეგლებისა და ღირშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო) მიერ დაარსებული პროგრამა „Heritage at risk“ (მემკვიდრეობა რისკის წინაშეა). ამ პროგრამის ფარგლებში ჯვრის მონასტერს მიეძღვნა სპეციალური სტატია.

2009 წლიდან მცხეთის ისტორიული ძეგლები (მათ შორის წმ. ჯვრის მონასტერი) შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხეში მყოფ ძეგლთა ნუსხაში. განსაკუთრებით პრობლემურია დიდი ტაძრის რელიეფური გამოსახულებების დაცვა. ამ მხრივ სასიკეთო ნაბიჯები გადაიდგა 2010-2011 წლებში, როდესაც იკრომის საერთაშორისო ექსპერტებისა და თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტების დახმარებით მოხდა მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის რელიეფების გამაგრება.

მცხეთის ჯვრის მონასტერი იმ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც მუდმივ ზედამხედველობას და მოვლა-პატრონობას მოითხოვს.

საზოგადოება არ არის ინფორმირებული მცხეთის ჯვრის მონასტრის მძიმე მდგომარეობის შესახებ. აუცილებელია ამ მხრივ, მეტი აქტიურობა, რამაც, კარგად მართვის შემთხვევაში, შეიძლება დადებითი ეფექტი მოიტანოს. მნიშვნელოვანია, რომ დაცვით სამუშაოებში ჩართული იყოს ძეგლით დაინტერესებული ყველა ჯგუფი თუ მხარე.

წარსულის მემკვიდრეობა არ არის განახლებადი და მისი დაცვა არ ხდება ავტომატურად. ის მოითხოვს სპეციალურ დაგეგმვას და სათანადო ფინანსებს ისევე, როგორც მუდმივ ყურადღებასა და პრევენციული ღონისძიებების გატარებას დაზიანებისა და შემდგომი ნგრევის მიზეზების თავიდან აცილების მიზნით.

მოითხოვს ერთობლივ ძალისხმევას:

- ის ყველა ჩვენგანის საზრუნავია.
- იწყება შენგან, შენი ოჯახისგან და მეგობრებისგან.

რა თქმა უნდა, სპეციალისტები ყოველთვის იქნება საჭირო, თუმცა თქვენ გარეშე მათი ძალისხმევა უშედეგო იქნება. ჰკითხე შენს თავს:

რა შემიძლია, გავაკეთო მე ჩემი მემკვიდრეობის დასაცავად?

განხილვის თემები

- მცხეთის გადარჩენა ყველა ჩვენგანის ვალია.
- ეს დამოკიდებულია ჩვენს ქმედებებზე.



რა არ უნდა გავაკეთოთ?

- ძეგლებზე ასვლა ფოტოს გადასაღებად;
- საკუთარი სახელის ამოტვიფვრა სვეტებსა და კედლებზე;
- მცენარეების მოჭრა;
- ქვის ნატეხების აღება სუვენირად;

იმის გათვალისწინებით, რომ მცხეთა მყიფე და ფაქიზი ბუნებისაა, შეგიძლიათ, რომ დამატებით სხვა ისეთი ქმედებები შემოგვთავაზოთ, რაც ხელს შეუწყობს მის დაცვასა და შენარჩუნებას?

ბიბლიოგრაფია

ისტორიულ-არქიტექტურული მიმოხილვისთვის გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963.
2. ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.
3. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, ტ. 1, 1960.
4. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, ტ. 2, 1963.
5. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.
6. დ. ბერძენიშვილი, ძველი საქართველოს ციხესიმაგრეთა ზოგიერთი სახეობა წერილობითი წყაროების მიხედვით, ანალები, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, ჟურნალი ეძღვნება აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის 85 წლის იუბილეს, თბ., 2008.
7. თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის ისტორიიდან, თბ., 2007.
8. თ. კვირკველია, ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1971.
9. მცხეთა, საქართველოს ძველი ქალაქები, თბ., 2006.
10. დ. მუსხელიშვილი, ქიზიყის ძველი ისტორია, თბ., 1997.
11. დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბ., 2003.
12. დ. მუსხელიშვილი, საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, ანალები, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, თბ., 2009.
13. მცხეთის წმ. ჯვრის ტაძარი, წიგნი გამოსაცემად მოამზადა დ. ხოშტარიამ, შესავალი ტექსტი: დ. თუმანიშვილი და თ. ხუნდაძე, სურათების ანოტაციები: დ. ხოშტარია, თბ., 2008.
14. ვ. ნიკოლაიშვილი, არმაზციხე, ქართლის სამეფოს რეზიდენცია, თბ., 2011.
15. ლ. რჩეულიშვილი, საბა ტუსიშვილის სასახლე სოფ. ნინოწმინდაში, ქართული ხელოვნება, 3, 1950.
16. ვ. სილოგავა სამთავროს ძველი ქართული წარწერები, თბ., 2011.
17. მ. სურგულაძე, მცხეთიშვილები, ანალები, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, ჟურნალი ეძღვნება აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის 80 წლის იუბილეს, თბ., 2009.
18. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
19. ვ. ცინცაძე, მცხეთის ჯვრის რესტავრაციის საკითხისათვის, ლიტერატურა და ხელოვნება, 1990, 1, გვ., 208-235.
20. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, თბ., 1964.
21. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1, ტფ., 1936.
22. გ. ჩუბინაშვილი, არმაზის საგანძური, ტექსტი ქართულად თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა კ. მაჩაბელმა, თბ., 2007.
23. Н. Аладашвили, Монументальная скульптура Грузии, М. 1977.
24. Г. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тб. 1948.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში არსებული ქართულენოვანი პუბლიკაციები:

1. თ. ამაშუკელი, ც. ელისაშვილი, *ურბანული მემკვიდრეობის დაცვის საკანონმდებლო პრობლემები და სამართალდარღვევები,* თბ., 2013.
2. რ. გვერდწითელი: „წმინდა მარიამის“ ეკლესია თბილისში, ანჩისხატი. თბ., 2001.
3. ი. ელიზბარაშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი, მ. სურამელაშვილი, ხ. ჭურღულია: არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში, თბ., 2012.
4. *თბილისი, კალა ბეთლემის უბნის რევიტალიზაცია,* ICOMOS საქართველო – პროგრამის ანგარიში 2000-2010 თბ., 2011.
5. *საზოგადოება და ისტორიული გარემო;* კონფერენციის მასალები, თბ., 2012, ICOMOS საქართველო
6. ს. სალაძე, *რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა – ბათუმის რეაბილიტაცია,* თბ., 2013, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.
7. *ურბანული მემკვიდრეობის დაცვა: ძველი თბილისის იდენტობა და სული;* კონფერენციის მასალები, 2010 წლის 3-6 ივნისი, თბილისი.
8. ქალაქის სათუთი განახლება და ძველი თბილისის რეაბილიტაცია 2009 წლის 9 ივნისს საქართველოს გოეთეს ინსტიტუტში ჩატარებული სიმპოზიუმი – „ისტორიული ქალაქის სათუთი განახლება და სამოქალაქო საზოგადოება“, მოხსენებები და საგამოფენო მასალა, თბილისი, 2010, საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი.
9. რ. გვერდწითელი, არქიტექტურის ძეგლების რესტავრაცია, თბ.,1991.

ნათარგმნი ლიტერატურა:

1. კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო, ურბანული რეაბილიტაციის სახელმძღვანელო, მემკვიდრეობის შეფასების სახელმძღვანელო, 2008, თბილისი
   http://ancientgeorgia.files.wordpress.com/2011/09/urbanuli-1.pdf
2. ჰერბ სტოველი: რისკითვის მზადყოფნა – მსოფლიო კულუტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის სახელმძღვანელო, 2007, თბილისი
   http://ancientgeorgia.files.wordpress.com/2011/09/riski-book.pdf
3. იუკა იოკილეტო, არქიტექტურის კონსერვაციის ისტორია, 2009, თბილისი
   http://ancientgeorgia.files.wordpress.com/2012/05/conservation-history-jukka.pdf
4. ბერნარ მ. ფილდენი, იუკა იოკილეტო: მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის სახელმძღვანელო პრინციპები, 2005, თბილისი
   http://ancientgeorgia.files.wordpress.com/2011/09/martva-book.pdf
5. ხუროთმოძღვრების კონსერვაცია: პრინციპები, მოსაზრებები, 2007, თბილისი
   http://ancientgeorgia.files.wordpress.com/2011/09/konservacia-book.pdf
6. ანნა-სოფია ჰიგენი: კულტურული მემკვიდრეობის მართვის სახელმძღვანელო პრინციპები და წესები
   http://ancientgeorgia.files.wordpress.com/2012/02/martvis-saxelmdzgvanelo-principebi.pdf

ქვემოთ მოყვანილი გამოცემები და ელექტრონული რესურსები ხელს შეუწყობს ცოდნის ამაღლებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში:

1. Blondé, A. (2000). *Jeunes et sauvegarde du patrimoine / Youth and the Safeguard of Heritage,* Rome, ICCROM.
2. Brisbane, M. & Wood, J. (2000). *A Future for Our Past?,* London, English Heritage.
3. Corbishley, M. (1995). *The City beneath the City/La ville sous la ville,* Council of Europe/ICCROM
4. De Troyer, V. (2005). *Heritage in the Classroom – Practical Manual for Teachers,* Antwerp, Garant.
5. Durbin, G., Morris, S., Wilkinson S. (1993). *Learning from Objects, a Teacher's Guide,* London, English Heritage.
6. Museum & Galleries Commission (1997). *Ours for Keeps? A resource pack for raising awareness of conservation and collection care,* London, Museum & Gallery Commission.
7. National Institute For The Conservation Of Cultural Property (1996). *SOS! Maintenance Information Kit, Save Outdoor Sculpture,* Washington DC.
8. Newbery, E. (1993). *Your Past Our Future, the Conservation of Historical Buildings,* London, English Heritage.
9. Newbery, E. (1994). *Your Past Our Future, Guidelines for Teachers,* London, English Heritage.
10. Newbery, E. & Fecher, S. (1994). *In the Nick of Time. A practical guide to teaching about conservation of objects,* London, Newbery & England and Museum & Galleries Commission.
11. Stanley-Price, N., Talley, M.K., Melucco-Vaccaro, A. (1996). *Historical and Philosophical Issues in the Conservation of Cultural Heritage,* Los Angeles, J. Paul Getty Trust.
12. Stanley-Price, N. (1995). *Conservation on Archaeological Excavations,* Rome, ICCROM.
13. UNESCO (2002). *World Heritage in Young Hands: To know cherish and act – An Educational Resource Kit for Teachers,* Paris, UNESCO.
14. Wheatley, G. (2001). *World Heritage Sites,* London, English Heritage.

ქარტიები და კონვენციები:

- ICOMOS-ის კონსერვაციისა და რესტავრაციის ქარტიები
  http://www.international.icomos.org/charters/charters.pdf
- იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები
  http://whc.unesco.org/documents/publi-basictexts-en.pdf
- იკომოსის ბურას ქარტია
  http://australia.icomos.org/wp-content/uploads/BURRA-CHARTER.pdf
- იუნესკოს კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, პარიზი, 2003
  http://ancientgeorgia.files.wordpress.com/2012/11/convention-aramaterialuri.pdf

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ICCROM-ის მიერ გამოცემული პუბლიკაციების ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია ICCROM-ის ვებ-გვერდზე:
http://www.iccrom.org/ifrcdn/eng/02info-en/02-04pdf-pubs-en.shtml

კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
ათონელის ქ. №27
საქართველო, თბილისი 0105
ტელ./ფაქსი +995 32 932411
ელ-ფოსტა: info@heritagesites.ge
http://heritagesites.ge/

საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო
გ. გულუას ქ. №6
საქართველო, 0114 თბილისი
ტელ./ფაქსი: +995 322 75 23 53; 2 75 38 87. *8888
E-mail: info@apa.gov.ge
http://www.apa.gov.ge/ge/

საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისია
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
შ. ჩიტაძის ქ. №4
0118, თბილისი
ტელ./ფაქსი +995 2945000 (1912)
ელ-ფოსტა: unesco@mfa.gov.ge
ვებ-გვერდი: georgia.comnat.unesco.org

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი
ათონელის ქ. N9, 0105, თბილისი
ტელეფონი: (+995 32) 931338, (+995 32) 931538
ელ-ფოსტა: research@gch-centre.ge
http://www.gch-centre.ge

ICOMOS საქართველო
ბეთლემის აღმართი 16ბ
0105, თბილისი
ტელ./ფაქსი: +995322 9845 27
ელ-ფოსტა: info@icomos.org.ge
ვებ-გვერდი: icomos.org.ge

ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი IUCN
თბილისის ოფისი
ელ-ფოსტა: marika.kavtarishvili@iucn.org.ge
T +995 32 222 29 72/85

ICOM საქართველო
სანაპიროს ქ. 4, 0105, თბილისი
ტელ./ფაქსი:+995 32 2990 285
+995 577 725 450, +995 593 165 256
ელ-ფოსტა:ingakaraia@gmail.com, mburchuladze@yahoo.com
ვებ-გვერდი: http://www.georgianmuseums.ge https://sites.google.com/site/icomgeorgia/

ლურჯი ფარის საერთაშორისო კომიტეტის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
ელ-ფოსტა: info@blueshield.ge
ვებ-გვერდი: www.bluehsield.ge

ასოციაცია „საზოგადოება და კულტურული მემკვიდრეობა“
კ. მარჯანიშვილის ქ. 37 თბილისი, 0102
ტელ: +995 599625704
ელ-ფოსტა: cichach@yahoo.com

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
ნიკო ნიკოლაძის ქ. №7
თბილისი, საქართველო;
ტელ.: (995 32) 2931335,
ფაქსი: (995 32) 2921335;
ელ-ფოსტა:gacc@gaccgeorgia.org
ვებ-გვერდი: http://www.gaccgeorgia.org/index.html

„ტფილისის ჰამქარი“
დიმიტრი ბაქრაძის ქ. 21
0179 თბილისი, საქართველო
ელ-ფოსტა: tbshamkari@gmail.com
ვებ-გვერდი: http://www.hamkari.ge
http://www.scribd.com/Hamqari

„კულტურული მემკვიდრეობის არასამთვრობო მონიტორინგი“
ელ-ფოსტა: NGOmonitoring@gmail.com, monitoringi@mail.ua
Facebook:www.facebook.com/pages/კულტურული-მემკვიდრეობის-არასამთავრობო-მონიტორინგი

„ძეგლის მეგობარი“
ელ-ფოსტა: dzeglismegobari@gmail.com
ვებ-გვერდი: http://dzeglismegobari.wordpress.com/
Facebook: https://www.facebook.com/DzeglisMegobari?fref=ts

მემკვიდრეობა მომავლისთვის
ელ-ფოსტა: heritageforfuture@yahoo.com
https://www.facebook.com/heritageforfuture

ევროპის საბჭო (Council of Europe)
ევროპის საბჭოს კულტურის, მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის მუდმივმოქმედი კომიტეტი
ვებ-გვერდი: http://www.coe.int/t/dg4/cultureheritage/about/governance/CDCULT_en.asp
ტელ: +33 388 41 35 59; +33 388 41 31 54
ელ-ფოსტა: Gianluca.Silvestrini@coe.int
Alison.Helm@coe.int

ევროკომისიის განათლებისა და გენერალური დირექტორატი (DG EAC)
http://ec.europa.eu/dgs/education-culture/index-en.htm

საერთაშორისო იკომოსი
45-51, rue de la Fédération – 75015 Paris, France
ტელ.: +33 1 45676770; ფაქსი: +33 1 45660622
ელ-ფოსტა: secretariat@icimos.org
ვებ-გვერდი: www.icomos.org

იუნესკო – ასოცირებული სკოლების პროექტის ქსელი
Associated Schools Project Network (ASPnet) UNESCO
ელ-ფოსტა:aspnet@unesco.org
ვებ-გვერდი: www.unesco.org/education/asp

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი (UNESCO World Heritage Centre)
ელ-ფოსტა: wh-info@unesco.org
ვებ-გვერდი: www.whc.unesco.org

English Heritage. ბრიტანეთის მემკვიდრეობა
1 Waterhouse Square, 138 – 142 Holborn, London EC1N 2ST
ტელ/ფაქსი: 020 7973 3000 / 020 7973 3001
ელ-ფოსტა: customers@english-heritage.org.uk
ვებ-გვერდი: http://www.english-heritage.org.uk/

Getty Conservation Institute. გეტის კონსერვაციის ინსტიტუტი
1200 Getty Center Drive, Suite 700, Los Angeles, CA 90049-1684
ტელ/ფაქსი: (310) 440-7325 / (310) 440-7702
ელ-ფოსტა: gciweb@getty.edu
ვებ-გვერდი: https://www.getty.edu/

ICCROM
Via di San Michele 13, I-00153 Rome, Italy
ტელ: (+39) 06.585-531; ფაქსი: (+39) 06.585-53349
ვებ-გვერდი: http://www.iccrom.org/

ICOM-CECA – მუზეუმის საერთაშორისო საბჭოს (ICOM) განათლებისა და კულტურული საქმიანობის კომიტეტი (CECA)
http://www.ceca.icom.museum/

International Committee of the Blue Shield (ICBS). ლურჯი ფარის საერთაშორისო კომიტეტი
http://www.ancbs.org/cms/index.php/en/
http://www.ancbs.org/

ტერმინების ლექსიკონი

ანსამბლი (არქიტექტურაში) – ერთიანი არქიტექტურული იდეით და მხატვრულ-კომპოზიციურად გამთლიანებული სხვადასხვა დროის ან თანადროულ ნაგებობათა ჯგუფი.

ანფილადა – შენობა მწკრივად, ერთმანეთის მიყოლებით დალაგებული ოთახებით.

აფსიდი – გეგმით ნახევარწრიული ან ნალისებრი მოყვანილობის ნაწილი შენობაში, რომელსაც ნახევარგუმბათისებური (მეოთხედსფერო) გადახურვა გააჩნია. ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში აღმოსავლეთ მხარეს არსებული აფსიდი მოიცავს ტაძრის საკურთხეველს. გარედან აფსიდი შეიძლება იყოს კედლის სისქეში მოქცეული, ან მისგან შვერილი სახით წარმოდგენილი.

აფრა – სამკუთხა მოხაზულობის შეღრმავებული, აფრისებური მოყვანილობის სამშენებლო კონსტრუქცია, რომლის მეშვეობით ხორციელდება კვადრატული მოცულობიდან წრიულ საფუძველზე გადასვლა.

ბაზილიკა – სწორკუთხა მოხაზულობის შენობა, რომლის შიდა სივრცე დაყოფილია ერთმანეთისაგან სვეტების ან ბოძების რიგით გამოყოფილი გრძივი მოცულობებით (ნავებით). ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში ჩაისახა და განვითარდა ე. წ. სამეკლესიიანი ბაზილიკა, სადაც ნავები ერთმანეთისაგან ყრუ კედლებითაა გამიჯნული.

ბანი – ტრადიციული ტექნოლოგიით შესრულებული ბრტყელი სახურავი, რომელიც გამოიყენებოდა როგორც ხალხურ, ასევე ქალაქურ არქიტექტურაში. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს ქალაქებში ბანიანი სახლების მშენებლობა ოფიციალურად შეიზღუდა.

განაშენიანება – დასახლებულ პუნქტებში შენობათა განლაგების ხასიათი – რეგულარული, არარეგულარული, ტრადიციულად ჩამოყალიბებული, ისტორიული და სხვა.

გვირგვინი (დარბაზის) – ერდოიანგვირგვინიანი ტრადიციული ხალხური საცხოვრებლის ქვევიდან ზევით თანდათან შევიწროებული გუმბათისებური გადახურვა, რომელიც საფეხურისებურად დალაგებული ხის მორებითაა შესრულებული. საქართველოში გვხვდება ანალოგიური კონსტრუქციის მქონე ქვის გვირგვინიანი დარბაზები.

გუმბათის სფერო – ნახევარსფერული გადამხურავი კამარა, რომელსაც შესაძლოა, სხვადასხვა ფორმის გარე გადახურვა ჰქონდეს (კონუსური, ქოლგისებური, პირამიდული, ბოლქვისებური და სხვა).

გუმბათის ყელი – გუმბათის სფეროთი დაგვირგვინებული ცილინდრული ან მრავალწახნაგა არქიტექტურული მოცულობა.

დარბაზი – ტრადიციული ხალხური საცხოვრებელი დედაბოძზე დაყრდნობილი ერდოიანგვირგვინიანი გადახურვით.

დომინანტი – დასახლებული პუნქტის განაშენიანებაში გამორჩეული ნაგებობა, რომელიც თავისი ზომით და მნიშვნელობით გავლენას ახდენს მის მხატვრულ სახეზე.

ეკლექტიზმი (არქიტექტურაში) – სხვადასხვა პერიოდის არქიტექტურული სტილიდან აღებული დეტალების და არქიტექტურული მოტივების გამოყენება ახალ ნაგებობაში. ეკლექტიზმი დამახასიათებელია XIX საუკუნის მეორე ნახევრის და მომდევნო პერიოდის არქიტექტურული მემკვიდრეობისთვის.

თაღი – ორ საყრდენს შორის გადაყვანილი სხვადასხვა მოხაზულობის (ნახევარწრიული, ნალისებრი, შეისრული, სამფრთიანი და სხვ.) გადახურვა.

კამარა – მრუდი მოყვანილობის შეზნექილზედაპირიანი გადახურვა. არსებობს სხვადასხვა მოყვანილობის კამარა – ცილინდრული, შეისრული, შეკრული, ჯვრული და სხვ.

კაპიტელი – ვერტიკალური საყრდენის (სვეტი, ბოძი, პილასტრი) დამასრულებელი პლასტიკურად დამუშავებული არქიტექტურული დეტალი. ანტიკურ ეპოქაში ჩამოყალიბდა კაპიტელის სამი ძირითადი ტიპი – იონიური, დორიული და კორინთული. კაპიტელის თავისებური ტიპები ცნობილია სხვადასხვა ქვეყნების არქიტექტურულ მემკვიდრეობაში.

კარიბჭე – 1. შენობის შესასვლელთან მიშენებული, ერთი ან სამივე მხრიდან გახსნილი, ხშირად ორნამენტული დეკორით შემკული არქიტექტურული მოცულობა. 2. ციხის, ქალაქის ან სხვა სასიმაგრო ნაგებობის გალავანში ჩართული საგანგებო შესასვლელი.

კარნიზი (ლავგარდანი) – ჰორიზონტული შვერილი კედელზე, რომელსაც ეყრდნობა შენობის სახურავი და იცავს კედელს ჩამონადენი წყლისაგან, აქვს დეკორატიული მნიშვნელობა.

კონქი – გეგმით ნახევარწრიული ან ნალისებრი მოყვანულობის არქიტექტურული მოცულობის (აფსიდი, ნიში) მეოთხედსფეროს ფორმის გადამხურავი კონსტრუქცია. ქრისტიანულ არქიტექტურაში კონქი ხშირად დაფარულია მოხატულობით ან მოზაიკით.

კოშკი – ნაგებობა, რომლის სიმაღლე ბევრად აღემატება მის ჰორიზონტალურ ზომებს. კოშკი შეიძლება იყოს წრიული, ზურგიანი, სწორკუთხა, მრავალკუთხა მოყვანილობის.

ლანდშაფტი – (გერმ. „Land“ – მიწა, „Schaft“ – სახე, იერი) – ბუნებრივ-გეოგრაფიული კომპლექსი და/ან ბუნებისა და ადამიანის მოქმედებით შექმნილი, მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების მომცველი ერთიანი სისტემა.

მონუმენტური ფერწერა – არქიტექტურასთან დაკავშირებული კედლის მხატვრობა.

ნავი – ბაზილიკის ინტერიერის გრძივი ნაწილი, რომლის ერთი ან ორივე მხარე დანარჩენი სივრციდან გამოყოფილია სვეტების ან ბოძების რიგით.

პილასტრი – კედელზე მიყრდნობილი ნახევარსვეტი, კონსტრუქციული ელემენტი, რომელიც მონაწილეობას იღებს შიდა სივრცის და კედლის სიბრტყის დანაწევრებაში.

რეგულარული დაგეგმარება – დასახლებული ადგილის ან მისი ნაწილის ისეთი დაგეგმარება, სადაც ქუჩების ქსელის სისტემა ძირითადად ემყარება განსაზღვრულ გეომეტრიულობას ან რაიმე ღერძის სიმეტრიულად არის განლაგებული.

რეზიდენცია – მეფის, ერისთავის ან სხვა ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლის მუდმივი სამყოფელი; სახელმწიფოს მეთაურის ან მაღალი თანამდებობის პირის ადგილსამყოფელი.

სვეტი – ცილინდრული მოყვანილობის ვერტიკალური საყრდენი, რომელიც შედგება ბაზისის, ღეროს და კაპიტელისაგან.

ტეტრაკონქი – ოთხაფსიდიანი ნაგებობა, სადაც აფსიდები სიმეტრიულადაა განლაგებული ცენტრალური გუმბათქვეშა სივრცის ირგვლივ.

ტრომპი – თაღისებური მოყვანილობის არქიტექტურული ელემენტი, რომელიც გამოიყენება გუმბათის ყელის კვადრატული საფუძველიდან წრიულ ფორმაზე თანდათან გადასასვლელად.

ფრესკა – სველ შელესილობაზე შესრულებული კედლის მხატვრობა.

ციტადელი – ციხის ყველაზე დაცული, დამატებითი გალავნით შემოზღუდული ტერიტორია.

ციხესიმაგრე – გალავნით და კოშკებით მოზღუდული სათავდაცვო ნაგებობების კომპლექსი, რომელიც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გზების გადაკვეთაზეა აგებული.

ციხე-დარბაზი – ციხის სახეობა, რომელიც ხელისუფლის რეზიდენციას მოიცავს და გარდა სამხედრო დანიშნულების ნაგებობებისა (გალავანი, კოშკები და სხვა), კომპლექსში ჩართულია სასახლე, კარის ეკლესია, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების სათავსოები.

ჯვრული კამარა – ცილინდრული კამარების გადაკვეთით შექმნილი კამარა.

ქტიტორი – პიროვნება, რომლის ხარჯითაც შენდება რაიმე ნაგებობა.

შემოკლებები

ICCROM (იკრომი) – კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და რესტავრაციის კვლევის საერთაშორისო ცენტრი.

UNESCO (იუნესკო) – გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია.

ICOMOS (იკომოსი) – ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭო.

ICOM (იკომი) – მუზეუმების საერთაშორისო საბჭო.

IUCN – ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი.

საილუსტრაციო მასალა

ფოტოსურათები:

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი – 2, 3, 4, 6-9, 13, 15, 35, 37, 116, 117, 118, 146.
© საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო – 10, 58, 59, 60, 102, 147, 152, 153.
© საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო – 5, 23, 120.
© საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი – 139, 140.
© გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი – 1, 25, 27, 33, 61, 66, 67, 98, 135, 136, 137.
© აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემია – 36, 44.
© ICOMOS საქართველო – 19, 47, 69, 76-81, 84, 105, 106, 107, 109, 113, 114, 115, 122.
© ICCROM – 16, 17, 18, 20.
© UNESCO – 144, 145.
იოსებ ბანძელაძე – 29, 128.
გიორგი ბარისაშვილი – 121.
მერაბ ბოჭოიძე – 90, 91.
ლია ბოკუჩავა – 46.
მიხეილ გელაშვილი – 24.
მანანა თევზაძე – 28, 92, 93, 108, 123.
შალვა ლეჟავა – 21, 22.
ბესიკ მაცაბერიძე – 26, 30, 86, 103, 143.
ნანა მეფარიშვილი – 73, 119.
ვახტანგ ნავერიანი – 138, 142.
ლელა ნინოშვილი – 85, 94-97, 127, 134, 148, 149.
მანანა სურამელაშვილი – 68, 110, 111, 112.
ციცინო ჩაჩხუნაშვილი – 11, 12, 38-41, 43, 45, 49, 51, 53-57, 62-65, 70, 72, 74, 75, 100, 101, 104, 154, 155.
ზურაბ ცერცვაძე – 14, 141.
ნატო ცინცაბაძე – 42, 87.
გია ჭანიშვილი – 48.

ნახაზები და ჩანახატები

ICOMOS საქართველო – 32, 81, 82, 83.
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირი „ამქარი“ – 83, 150, 151.
ეთერ მახათელაშვილი – 31.
კონსტანტინე მელითაური – 71.

გარეკანზე გამოყენებული ანაზომების ავტორები:
ლ. ბოკუჩავა, მ. ბოჭოიძე, გ. გუგეშაშვილი, ე. მახათელაშვილი.

გარეკანზე გამოყენებულია გრიგოლ ტატიშვილის შრიფტი.

მადლობები

წიგნზე მუშაობისას გაწეული თანადგომისა და დახმარებისთვის მადლობას ვუხდით: საქართველოს ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციას, ქალბატონებს ნანა ციხისთავსა და მანანა შეყილაძეს; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების სამმართველოს უფროსს ქ-ნ მარიამ ჩიქობავას, ამავე სამმართველოს თანამშრომლებს ქ-ნ თეა ქარჩავასა და ბ-ნ ლადო ვარდოსანიძეს. განსაკუთრებული მადლობა – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის უფროს სპეციალისტს ქ-ნ მარინა თაქთაქიშვილსა და არასამთავრობო ორგანიზაციის „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ პროგრამების განვითარების მენეჯერს და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორს ქ-ნ ანა შანშიაშვილს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ დამატებების მოწოდებისათვის პუბლიკაციაში ჩასართავად.

ფოტომასალების მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით: გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის დირექტორს მარიამ დიდებულიძეს, თანამშრომლებს – მარინე ბულიას, მარინე ფანცხავას და მზია პეტაშვილს; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს და მის თანამშრომელს ლია კალმახელიძეს. ასევე, საქართველოს ფოლკლორის ცენტრს და მის თანამშრომელს სოფიო ლობჟანიძეს.

წიგნში გამოყენებულია ფოტოები
საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივიდან.